13
1944

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]

საბჭოთა პოეტების საბჭოს [illegible]

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენახულ იქნას იმ მასალების თანაბრად,
რაც არ უნდა გამოქვეყნდეს

საქართველოს სსრ

სახალხო კომისართა საბჭოს
დადგენილებანი

1944 წლის ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 748

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი 1944 წლის 1 ივლისიდან გადაეცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს, ამ დადგენილების 1 მუხლთან დაკავშირებით, მოახდინოს სათანადო ანგარიშსწორება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტთან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 1 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 749

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ახალქალაქის რაიალმასკომისათვის ხე-ტყის მასალის მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს დაამზადოს და ახალქალაქის რაიალმასკომს ჩაბაროს ბაკურიანის სატყეო მეურნეობის თორის სატყეო აგარაკში, ხელ-ცეულისა და ხმელი ხეების ხარჯზე, 200 კუბ. მეტრი მრგვალი ხე-ტყე კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის საჭიროებისათვის.

2. დაევალოს ახალქალაქის რაიალმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ავეტისოვს გამოუყოს ბაკურიანის სატყეო მეურნეობას მუშახელი და ჭაპანზიდვის ტრანსპორტი იმ რაოდენობით, რაც საჭიროა 200 კუბ. მეტრი ხე-ტყის დასამზადებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 1 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 750

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

წითელი არმიის საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოსათვის მაგარფოთლოვანი ჯიშის ხე-ტყის მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას მიმდინარე წელს დაამზადოს და დამზადების ადგილზე ჩააბაროს წითელი არმიის საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოს მაგარფოთლოვანი ჯიშის 1000 კუბ. მეტრი ხე-ტყე, აქედან:

ა) წიფლის მორი . . . . . 800 კუბ. მეტრი

ბ) თელის მორი . . . . . 200 „

2. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ხე-ტყის დამზადება აწარმოოს თელავის, გურჯაანისა და ოჩამჩირის სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში მომხმარებლის ძალებით ისე, რომ დაცულ იქნა ხე-ტყის სარგებლობის ის წესი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 2 ივლისის № 959 დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რუსტიაშვილი.

1944 წლის 1 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 751

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურ-ნეობებისათვის მარცვლის, ფქვილისა და გამომცხვარი პურის გაყიდვის და გადაცვლის აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს მარცვლის, ფქვილისა და გამომცხვარი პურის გაყიდვა და გადაცვლა მათ მიერ 1944 წლის მოსავლის პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმის შესრულებამდე.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ პურის გაყიდვა შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ნებართვით მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფოსათვის მარცვლის, მზესუმზირასა და ბრინჯის ჩაბარების გეგმის შესრულების შემდეგ შემოსავლის ყველა სახის მიხედვით (სესხის დაბრუნების, სავალდებულო ჩაბარების, წითელი არმიის პურის ფონდში ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების მიხედვით), აგრეთვე კოლმეურნეობათა მიერ სათესლე და მინიმალური საფურაჟე ფონდების შექმნის შემდეგ.

2. ამ დადგენილების დარღვევისათვის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და თანამდებობის პირნი მიცემულ იქნან სასამართლო პასუხისგებაში, პურით უკანონო ვაჭრობაში დამნაშავე კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები პირველად დაჯარიმებულ იქნან 300 მდე მანეთით, განმეორებით დარღვევისას კი მიცემულ იქნან სასამართლო პასუხისგებაში.

უკანონოდ გასაყიდად გამოტანილი პროდუქტები ჩამოერთვას და გადაეცეს დამზადებათა სახალხო კომისარიატის ორგანოებს.

3. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, მშრომელთა დეპუტატების ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს სს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მილიციის ორგანოებს, აგრეთვე სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ორგანოებს საქართველოს სს რესპუბლიკაში სისტემატური მეთვალყურეობა დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

4. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 9 ოქტომბრის № 19 413-გ განკარგულების შესაბამისად, დაწესდეს, რომ ეს დადგენილება პურით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ არ ვრცელდება დასავლეთ საქართველოს რაიონებზე.

5. ეს დადგენილება, გარდა მე-4 პუნქტისა, გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ გაზეთებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 1 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 752

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნას ამხ. ი. ა. წიკლაური საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობიდან, სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

2. შეყვანილ იქნას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ზ. ნ. კეცხოველი (კოლეგიის თავმჯდომარე).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 1 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 753

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

„ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის დიდუბის ბაზაში სამუშაოდ ქალაქ თბილისის არამომუშავე შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას დიდუბის ბაზა საჭირო რაოდენობის მუშახელით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მობილიზებულ იქნას ქალაქ თბილისის შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვიდან „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის დიდუბის ბაზაში სამუშაოდ 150 კაცი ორი კვირის ვადით.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს:

ა) მუშათა მობილიზაცია ჩაატაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 თებერვლის ბრძანებულების სრული შესაბამისობით;

ბ) მობილიზაცია დაამთავროს 1944 წლის 6 ივლისს;

გ) მობილიზაციის დამთავრება აცნობოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების პიუროს 7 ივლისს.

3. დაევალოს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს უზრუნველჰყოს მობილიზებულ მუშათა თავის დროზე მიღება, კვება და სათანადო გამოყენება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 1 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 759

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის მოსავლის თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის, ყურძნისა და გამხმარი ხილის დამზადებისა და გამოყენების სახელმწიფო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 24 ივნისის № 765 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს 1944 წლის მოსავლის დამზადების სახელმწიფო გეგმის რაიონობლივი განაწილება: ახალი თესლოვანი ნაყოფის კონტრაქტაციის დარგში—6000 ტონის, კურკოვანი ნაყოფის კონტრაქტაციის დარგში—1800 ტონის, თესლოვანი გამხმარი ხილის კონტრაქტაციის დარგში—200 ტონისა და კურკოვანი გამხმარი ხილის (შავქლიავის) კონტრაქტაციის დარგში—200 ტონის რაოდენობით და საბჭოთა მეურნეობების მიერ ახალი თესლოვანი ნაყოფის ჩაბარების გეგმა—480 ტონის, კურკოვანის ჩაბარების გეგმა—200 ტონისა და ყურძნის ჩაბარებისა—7600 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის № 1, 2 და 3 დანართების თანახმად.

2. შენარჩუნებულ იქნას 1944 წლისათვის 1943 წელს მოქმედი ახალი თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის, ყურძნისა და გამხმარი ხილის კონტრაქტაციის წესი და პირობები.

3. დაევალოს საქკონსერვხილტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს, ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას და თბილხილბოსტანვაჭრობის დირექტორს ამხ. ჭყონიას:

ა) დაუყოვნებლივ შეუდგნენ თესლოვანი, კურკოვანი ნაყოფისა და გამხმარი ხილის კონტრაქტაციას და დაამთავრონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 ივლისისა;

ბ) უზრუნველჰყონ ნაყოფის შეუფერხებელი მიღება და გადამუშავება და დამზადებათა დაწესებული გეგმების უცილობელი შესრულება, რისთვისაც დაუყოვნებლივ მოიყვანონ სრულ მზადყოფნაში დამამზადებელ-ტექნიკური ბაზა და არ დაუშვან დამზადებული პროდუქციის გაფუჭება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

4. დამტკიცდეს 1944 წელს დამზადებული ახალი თესლოვანი, კურკოვანი ნაყოფებისა და ყურძნის გამოყენების გეგმა დანიშნულებათა, მიმღებთა და დამამზადებელთა მიხედვით, № 4, 5, 6 და 7 დანართების თანახმად.

5. ქალ. მოსკოვსა და ლენინგრადში ნაყოფის გადაგზავნის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის, დაევალოს საქკონსერვხილ-ტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას ნაყოფის გადაგზავნა ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადში აწარმოონ პირველ რიგში სხვა მიმღებთან შედარებით და გადაგზავნონ ტრანსპორტაბელური და ხარისხოვანი ნაყოფი მეხილეობის ძირითადი რაიონებიდან (გორის, ტყიბულის, ქარელის, კასპისა და ლანჩხუთის რაიონებიდან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან და სხვ.).

გაფრთხილებულ იქნან ამხ. წიკლაური და ამხ. ნარსია მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში ნაყოფის გატანის დაწესებული გეგმის სრულად და თავის დროზე შესრულებისათვის.

6. თბილისმოსტანვაჭრობამ — ამხ. ჭყონიამ ნაყოფის ჩაბარება საქკონსერვხილტრეტის მრეწველობისათვის 500 ტონის რაოდენობით აწარმოოს ვანის, ასპინძისა და ნაწილობრივ ადიგენის რაიონების ფრანკო-დამამზადებელი პუნქტები.

საქკონსერვხილტრესტმა უზრუნველჰყოს ნაყოფის მიღება აღნიშნულ რაიონებში და მისი გადაგზავნა საკონსერვო ქარხნებში საკუთარი ტრანსპორტით.

7. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტების მდივნებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებსა და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიარწმუნებულებს:

ა) უზრუნველჰყონ კონტრაქტაციის თავის დროზე ჩატარება და თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის დამზადების გეგმების უცილო-

ბელი შესრულება მარტოოდენ სტანდარტულ-ხარისხოვანი ნაყოფებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სისტემატურად შეამოწმონ დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობა, მათი მზადყოფნა ნაყოფის შეუფერხებელი მიღებისა და გადამუშავებისათვის, მიიღონ კონკრეტული ზომები დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და ამ დადგენილებით დაწესებული დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **მ. ბარამია.**

1944 წლის 5 ივლისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ). ც. კ-ის 1944 წლის 5/VII № 759 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1944 წლის მოსავლის ახალი თესლოვანი ნაყოფისა და გამხმარი ხილის დამზადებისა

(ტონობით)

დამზადების რაიონები	ახალი თესლოვანი				თესლოვანი გამხმარი ხილი		
	სულ დამზადება	ა ქ ე დ ა ნ			სულ		
		ხაკონსერვ-ხილტრესტი	თბილისხილ-ბისტანგვერ-ობა	ცეკავშირი		საკონსერვხილ-ტრესტი	ცეკავშირი
1	2	3	4	5	6	7	8
გორის რაიონი	2400,0	2400,0	—	—	30,0	30,0	—
ქუთაისის „	120,0	120,0	—	—	10,0	10,0	—
წყალტუბოს „	50,0	50,0	—	—	—	—	—
სამტრედიის „	50,0	50,0	—	—	—	—	—
ტყიბულის „	300,0	300,0	—	—	40,0	40,0	—
ზუგდიდის „	50,0	50,0	—	—	—	—	—
მახარაძის „	200,0	200,0	—	—	5,0	5,0	—
ჩი ხატაფრის „	80,0	80,0	—	—	—	—	—
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	450,0	450,0	—	—	5,0	5,0	—
აფხაზეთის ასსრ	350,0	250,0	—	100,0	15,0	—	15,0
აჭარის ასსრ	300,0	200,0	—	100,0	5,0	—	5,0
ახალციხის რაიონი	400,0	—	400,0	—	—	—	—
ადიგენის „	480,0	—	480,0	—	—	—	—
ასპინძის „	100,0	—	100,0	—	—	—	—
მცხეთის „	20,0	—	20,0	—	—	—	—
ვანის „	200,0	—	200,0	—	—	—	—
ქარელის „	120,0	—	—	120,0	—	—	—
კასპის „	100,0	—	—	100,0	—	—	—
ზესტაფონის „	30,0	—	—	30,0	—	—	—
ორჯონიკიძის „	50,0	—	—	50,0	—	—	—
ცაგერის „	—	—	—	—	80,0	—	80,0
ლანჩხუთის „	150,0	—		150,0	—	—	—
ლაგოდეხის „	—	—	—	—	10,0	—	10,0
სულ კონტრაქტაციით . .	6000,0	4150,0	1200,0	650,0	200,0	90,0	110,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადების რაიონები	ახალი თესლოვანი				თესლოვანი გამხმარი ხილი		
	სულ დამზადების გეგმა	აქედან			სულ	აქედან	
		საქონსერვ-ხილტრესტი	თბილხილ-ბოსტანეულ-ირმა	ცალკშირი		საქონსერვხილ-ტრესტი	ცალკშირი
1	2	3	4	5	6	7	8
სამტრესტის საბჭოთა მეურ-ნეობების ჩაბარება (ჩაბა-რება ფრანკო-საბჭოთა მეურნეობა)							
ქარელის საბჭ. მეურ. (ბრეთი)	190,0	190,0	—	—	—	—	—
გორის „ „ (ვარიანი)	120,0	120,0	—	—	—	—	—
გორის „ „ (ქიწნისი)	90,0	90,0	—	—	—	—	—
სულ სამტრესტის საბჭოთა ძეურნეობებში	400,0	400,0	—	—	—	—	—
მცხეთის საბჭ. მეურნ. (მუხრანი)	80,0	—	80,0	—	—	—	—
სულ საბჭოთა მეურნეობ.	480,0	400,0	80,0	—	—	—	—
სულ საქართველოში . . .	6480,0	4550,0	1280,0	650,0	200,0	90,0	110,0

საქ. სსრ საბჭომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წ. 5/VII № 759 დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1944 წლის მოსავლის კურკოვანი ნაყოფის დამზადებისა

(ტონობით)

დამზადების რაიონები	სულ დამზადების გეგმა	საქონელსაწყობ-ბოლტრესტი	თბილისსავალ-ბოლტანაწილ-ობა	ცეკ-ეშრი
1. გორის რაიონი	400,0	400,0	—	—
2. ქუთაისის „	125,0	125,0	—	—
3. წყალტუბოს „	75,0	75,0	—	—
4. სამტრედიის „	150,0	150,0	—	—
5. ტყიბულის „	60,0	60,0	—	—
6. ზუგდიდის „	30,0	30,0	—	—
7. მახარაძის „	60,0	60,0	—	—
8. ჩოხატაურის „	50,0	50,0	—	—
9. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	60,0	60,0	—	—
10. აჭარის ასსრ	50,0	50,0	—	—
11. აფხაზეთის ასსრ	200,0	140,0	—	60,0
12. თბილისის რაიონი	30,0	—	30,0	—
13. მცხეთის „	30,0	—	30,0	—
14. ყარაიის „	30,0	—	30,0	—
15. ვანის „	30,0	—	30,0	—
16. ქარელის „	20,0	—	—	20,0
17. კასპის „	50,0	—	—	50,0
18. ზესტაფონის „	50,0	—	—	50,0
19. ორჯონიკიძის „	60,0	—	—	60,0
20. საჩხერის „	30,0	—	—	30,0
21. ცაგერის „	50,0	—	—	50,0
22. ლანჩხუთის „	60,0	—	—	60,0
23. წულუკიძის „	30,0	—	—	30,0
24. ამბროლაურის „	30,0	—	—	30,0
25. ლაგოდეხის „	30,0	—	—	30,0
26. ბოლნისის „	10,0	—	—	10,0
სულ კონტრაქტაციით	1800,0	1200,0	120,0	480,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადების რაიონები	სულ დაბზადების ფეხმა	საქონლური ბილეტრესტი	თბილხილ-ბისტანეფა-ნობა	ეფექტური
საბჭოთა მეურნეობების ჩაბარება				
1. ქარელის საბჭ. მეურნ. (ბრეთი) . .	10,0	10,0	—	—
2. გორის „ „ (ვარიანი) .	60,0	60,0	—	—
3. „ „ „ (ქიწნისი) .	10,0	10,0	—	—
4. სიღნაღის „ „ (ხირსა) . .	120,0	120,0	—	—
სულ სამტრესტის საბჭ. მეურნეობებში	200,0	200,0	—	—
ს უ ლ	2000,0	1400,0	120,0	480,0
კურკოვანი გამხმარი ხილი — შავეკლიავი აფეაზეთის ასსრ	200,0	200,0	—	—

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 5|VII № 759 დადგ-
ნილების დანართი № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1944 წლის მოსავლის ყურძნის ჩაბარებისა სამტრესტის, რაიალმასკომების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებსა და საქშამპანკომბინატის საბჭოთა მეურნეობებში

(ტონობით)

	საბჭოთა მეურნეობები	ჩაბარების გეგმა 1944 წლისათვის	
		რაიონ-სულ/ში	აქედან საბ-ჭოთა მეურ-ნეობებში
სამტრესტი			
თელავის რაიონი	1. წინანდლის საბჭ. მეურნ.	1350	870
	2. ნაფარეულის „ „		450
	3. თელავის „ „		30
გურჯაანის „	4. მუკუზნის „ „	630	440
	5. კარდანახის „ „		70
	6. გურჯაანის „ „		120
ყვარლის „	7. ყვარლის „ „	620	620
სიღნაღის „	8. ხირსის „ „	2150	2150
საგარეჯოს „	9. მანავის „ „	170	170
ბორჩალოს „	10. ყულარის „ „	1140	940
	11. გიაურ-არხის „ „		200
მაიაკოვსკის „	12. ვარციხის „ „	210	210
მახარაძის „	13. ბახვის „ „	30	30
სულ სამტრესტის ხაზით		6300	6300
რაიალმასკომების ადგ. მრეწვ. განყოფილება			
თელავის რაიონი		250	250
გურჯაანის „		100	100
სიღნაღის „		70	70
აფხაზღვინმრეწვი		80	80
სულ რაიალმასკომების ადგ. მრეწვ. განყ.		500	500

		ჩაბარების გეგმა 1944 წლისათვის	
	საბჭოთა მეურნეობები	სულ ერაიონში	აქედან საბჭოთა მეურნეობებში
საქშამპანკომბინატი			
ზესტაფონის რაიონი	1. ვაჩევის საბჭ. მეურნ.	395	170
	2. არგვეთის „ „		225
ჩხარის „	3. თერჯოლის „ „	115	115
კასპის „	4. აღაიანის „ „	110	110
მცხეთის „	5. მუხრანის „ „	180	180
სულ შამპანკომბინატის ხაზით		800	800
სულ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებში . .		7600	7600

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. ბ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 5/VII № 759 დადგენილების დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ მ ა

1944 წლის მოხავლის თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფისა და ყურძნის გამოყენებისა

დანიშნულება	თესლოვანი ნაყოფი				კურკოვანი ნაყოფი				სამრეწვ. და სუფრის ყურძენი			
		აქედან				აქედან				აქედან		
	სულ	საქკონსერვტრესტის დამზადებისა	ცეკავშირის დამზადებისა	თბილხბოსტანვაჭრობის დამზადებისა	სულ	საქკონსერვტრესტის დამზადებისა	ცეკავშირის დამზადებისა	თბილხბოსტანვაჭრობის დამზადებისა	სულ	სამტრესტის დამზადებისა	რაიალმასკომების ადგილ. მრეწვ. განყ. დამზადებისა	საქშპანკომბინატის დამზადებისა
სულ გამოყენებისათვის	6480	4550	650	1280	2000	1400	480	120	25600	15300	2300	8000
I. სავაჭრო ფონდი	2230	1200	350	780	400	100	180	120	900	800	—	100
აქედან:												
1. მოსკოვს გასატანი	1300	1000	300	—	—	—	—	—	—	—	—	—
2. ლენინგრადს გასატანი	200	200	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3. ადგილობრივი რეალიზაცია	830	—	50	780	400	100	180	120	900	800	—	100
II. გადამუშავება	4150	3350	300	500	1600	—	—	—	24700	14500	2300	7900
აქედან:												
1. კვების მრეწვ. სახ. კომისარიატი—საქკონსერვტრესტი	4000	3350	150	500	1400	1300	100	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულება	თესლოვანი ნაყოფი				კურკოვანი ნაყოფი				სამრეწვ. და სუფრის ყურძენი			
		აქედან				აქედან				აქედან		
	სულ	საქკონსერვტრესტის დამზადებისა	ცეკავშირის დამზადებისა	თბილხბილბოსტანვაჭრობის დამზადებისა	სულ	საქკონსერვტრესტის დამზადებისა	ცეკავშირის დამზადებისა	თბილხბილბოსტანვაჭრობის დამზადებისა	სულ	სამტრესტის დამზადებისა	რაიალმასკომების ადგილ. მრეწვ. განყ. დამზადებისა	საქშამპანკომბინატის დამზადებისა
2. ცეკავშირი	100	—	100	—	100	—	100	—	—	—	—	—
3. მთავმაცივარკომბინატი	50	—	50	—	100	—	100	—	100	100	—	—
4. სამტრესტი	—	—	—	—	—	—	—	—	14400	14400	—	—
5. რაიალმასკომების ადგ. მრეწვ. განყ.	—	—	—	—	—	—	—	—	2300	—	2300	—
6. საქშამპანკომბინატი	—	—	—	—	—	—	—	—	7900	—	—	7900

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ მ ა

1944 წლის მოსავლის კურკოვანი ნაყოფის საბაზრო ფონდის რეალიზაციისა

(ტონობით)

	სულ	აქედან დამამზადებელთა ბიზედვით		
		თბილხილ ბოსტანეგვაჭრობა	საქკონსერვ ტრესტი	ცალკეშირი
საბაზრო ფონდი—სულ	400	120	100	180
ა ქ ე დ ა ნ:				
თბილხილბოსტანეგვაჭრობა	40	40	—	—
თბილეგაჭრობის სპეცკანტორა	30	10	—	20
თბილსაჩკვებტრესტი	30	—	—	30
აკ-ის ფრონტის სამხვაჭრობა . . .	10	—	—	10
სპეცვაჭრობა	10	—	—	10
სამხფლოტვაჭრობა	10	—	—	10
გასტრონომი	5	—	—	5
ბავშვთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი	150	40	70	40
საქკონსერვტრესტის საცალო ვაჭრობა	10	—	10	—
ლიმმანტრესტის საცალო ვაჭრობა . . .	20	—	—	20
საქ. ჩაის „ „	5	—	—	5
მუშათა მომარაგების განყ.—საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის განაწილებით	30	30	—	—
აჭარის ასსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატი	10	—	5	5
აფხაზეთის „ „	10	—	5	5
ქვანახშირის მრეწვ. სახ. კომისარიატის საწარმოები	30	—	10	20

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 5|VII № 759 დადგენილების დანართი № 6

ბ ე ბ მ ა

1944 წლის მოსავლის თესლოვანი ნაყოფის საბაზრო ფონდის რეალიზაციისა

(ტონობით)

	სულ	აქედან დამამზადებელთა მიხედვით	
		თბილხილბოსტანვაჭრობა	ცეკავშირი
საბაზრო ფონდი — სულ	830	780	50
თბილხილბოსტანვაჭრობა	350	350	—
თბილვაჭრობის სპეცკანტორა	45	45	—
თბილსახკვებტრესტი	30	30	—
აქკ-ის ფრონტის სამხვაჭრობა	20	20	—
სპეცვაჭრობა	15	15	—
სამხფლოტვაჭრობა	10	—	10
გასტრონომი	10	10	—
საქკონსერვტრესტის საცალო ვაჭრობა	20	—	20
მუშათა მომარაგების განყ.—საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის განაწილებით	130	110	20
საქ. სსრ სახკომსაბჭოს რეზერვი განსაკუთრებული ვაჭრობისათვის	200	200	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ მ ა

1944 წლის მოსავლის სუფრის ყურძნის საბაზრო ფონდის რეალიზაციისა

	ს ულ	აქედან დამამზადებელთა მიხედვით				
		სამტრესტი			საქშამპანკომ-ბინატი	
		ყუთაური	ზირსა	გიაფარ-ანრი	მეტრანი	აღაიანი
საბაზრო ფონდი—სულ: . . .	900	400	200	200	70	30
ა ქ ე დ ა ნ:						
თბილხილბოსტანვაჭრობა	350	230	—	60	60	—
თბილვაჭრობის სპეცკანტორა . .	40	—	—	40	—	—
თბილსახკვებტრესტი	40	—	40	—	—	—
ა|კ-ის ფრონტის სამხვაჭრობა . . .	30	—	30	—	—	—
სპეცვაჭრობა	20	—	20	—	—	—
სამხფლოტვაჭრობა	10	—	—	—	—	10
გასტრონომი	10	—	10	—	—	—
საქკონსერვტრესტის საცალო ვაჭრობა	20	—	20	—	—	—
შამპანკომბინატის საცალო ვაჭრობა	10	—	—	—	10	—
სამტრესტის საცალო ვაჭრობა . . .	20	—	20	—	—	—
მუშათა მომარაგების განყ.—საქ. სსრ ვაჭრობის ს. ი. კომისარიატის განაწილებით	150	130	—	—	—	20
საქ. სსრ სახკომსაბჭოს რეზერვი განსაკუთრებული ვაჭრობისათვის .	200	40	60	100	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 760

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ ზოგიერთი ქალაქის არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1944—1945 სასწავლო წელს ვაჟებისა და გოგოების ცალცალკე სწავლების შემოღების შესახებ

ვაჟებისა და გოგოების ცალცალკე სწავლების სკოლათა ქსელის გაფართოებისათვის საჭირო მატერიალური ბაზისა და პედაგოგიური კადრების არსებობის გამო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. შემოღებულ იქნას 1944 წლის 1 სექტემბრიდან ვაჟებისა და გოგოების ცალცალკე სწავლება ქალაქ გორის, ხაშურის, ფოთის, ცხაკაიას, წულუკიძის, ბორჯომის, ზუგდიდის, თელავის, სიღნაღის, სამტრედიის, ზესტაფონისა და მახარაძის არასრული საშუალო და საშუალო სკოლების I—X კლასებში და მოეწყოს ამ ქალაქებში ვაჟთა და ქალთა ცალკეული სკოლები.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ წარმოდგენილი ვაჟთა და ქალთა სკოლების ქსელი და სასკოლო სადგომების განაწილება მათ შორის ქალაქ გორში, ხაშურში, ფოთში, ცხაკაიაში, წულუკიძეში, ბორჯომში, ზუგდიდში, სიღნაღში, სამტრედიაში, ზესტაფონში, მახარაძესა და თელავში (იხ. დანართი).

3. **დაევალოს** საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. კუპრაძეს:

ა) 1944 წლის 15 აგვისტომდე დაამთავროს ვაჟთა და ქალთა სკოლების დაკომპლექტება მოსწავლეებით;

ბ) ამავე ვადისათვის შეარჩიოს და დაამტკიცოს ამ სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები და დაკომპლექტოს სკოლები პედაგოგიური კადრებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) 20 აგვისტომდე მოიყვანოს სრულ მზადყოფნაში სასკოლო სადგომები და ინვენტარი, შეავსოს მოწყობილობით სასწავლო კაბინეტები (ფიზიკური, ქიმიური, სამხედრო, საბუნებისმეტყველო და სხვ.) და უზრუნველჰყოს ნორმალური მეცადინეობისათვის საჭირო პირობები;

დ) დაუგზავნოს სკოლებს მეთოდური მითითებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ვაჟებისა და გოგოების ფიზიკური განვითარების ჯეროვან დაყენებას, მათს მომზადებას შრომისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, დაუგზავნოს აგრეთვე მითითებანი მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული მომზადებისა და მათ შორის მტკიცე დისციპლინის დამყარებისათვის;

ე) მიამაჯროს საქართველოს სსრ განსახკომის პასუხისმგებელი მუშაკები სახალხო განათლების გორის, ხაშურის, ფოთის, ცხაკაიას, წულუკიძის, ბორჯომის, ზუგდიდის, თელავის, სიღნაღის, სამტრედიის, ზესტაფონისა და მახარაძის განყოფილებებს ცალცალკე სწავლების ჩატარებისათვის მომზადების უზრუნველსაყოფად.

5. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს სსრ რაიკომების მდივნებს აღმოუჩინონ სახალხო განათლების ორგანოებს დახმარება ამ დადგენილების განხორციელების უზრუნველყოფის საქმეში და 1944 წლის 20 ავისტოსათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ვაჟებისა და გოგოების ცალცალკე სწავლების განხორციელებისათვის საჭირო მოსამზადებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **მ. ბარამია.**

1944 წლის 5 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ს ე ღ ი

ვაჟთა და ქალთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისა საქართველოს სსრ-ის ქალაქებში

ქალაქების დასახელება	№№	სკოლების ძველი ნომერი	სკოლების ახალი ნომერი: ვაჟთა	ქალთა	სკოლების სრული დასახელება	რომელ სკოლებიდან კომპლექტდება	რომელი სკოლების შენობაში თავსდება
1	2	3	4	5	6	7	8
1. გ ო რ ი . . .	1	გორის 1 საშ. სკოლა	1	—	გორის ვაჟთა ქართ. საშ. სკ.	1, 2 და 4 საშ. სკ.	2 საშ. სკ.
	2	„ 6 „ „	2	—	„ „ „ „ „	3, 4 და 6 საშ. სკ.	6 „ „
	3	„ 4 „ „	—	1	„ ქალთა „ „ „	2, 4 და 6 საშ. სკ.	4 „ „
	4	„ 2 „ „	—	2	„ „ „ „ „	1 და 4 „ „	1 „ „
	5	„ 3 „ „	—	3	„ „ „ „ „	3 და 6 „ „	3 „ „
2. ხაშური	1	ხაშურის 1 საშ. სკ.	—	1	ხაშურის ქართ. ქალ. საშ. სკ.	1 და 2 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
„	2	„ 2 „ „	—	—	„ „ ვაჟთა „ „	1 და 2 „ „	1 „ „ (დროებით)
3. ფ ო თ ი . .	1	ფოთის 1 საშ. სკ.	1	—	ფოთის ქარ. ვაჟ. საშ. სკ.	1, 2, 3 და 5 საშ. სკ.	პედსასწ.
	2	„ 2 „ „	—	1	„ „ ქალთა „ „	1 და 2 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	3	„ 3 „ „	—	2	„ „ „ „ „	1, 2 3 და 5 საშ. სკ.	3 „ „
	4	„ 4 „ „	—	3	„ რუსული „ „ „	4, 5 და 1 არასრული ს. ს.	4 „ „
	5	„ 5 „ „	—	1	„ ქართ. ქალ. არას. ს. ს.	5 საშუალო სკოლა	სკოლის ქ.
	6	„ 5 „ „	1	—	„ „ ვაჟ. არას. საშ. სკ.	5 საშუალო სკოლა	„ „
	7	„ 4 „ „	2	—	„ რუს. ვაჟთა საშ. სკ.	4, 5 და 1 არასრული ს. ს.	4 საშ. სკ.

ქალაქების დასახელება	№ №	სკოლების ძველი ნომერი	სკოლების ახალი ნომერი		სკოლების სრული დასახელება	რომელ სკოლებიდან კომპლექტდება	რომელ სკოლებიდან ერევა
			ვაჟთა	ქალთა			
1	2	3	4	5	6	7	8
4. ცხაკაია	1	ცხაკაიას 1 საშ. სკ.	1	—	ცხაკაიას ქართ. ვაჟთა ს. ს.	1, 2 და 3 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	2	„ 3 „ „	2	—	„ „ „ „ „	1, 2 და 3 „ „	2 „ „
	3	„ 2 „ „		1	„ „ ქალთა „ „	1, 2 და 3 „ „	3 „ „
5. წულუკიძე . . .	1	წულუკიძის 1 საშ. სკ.	—	1	წულუკიძის ქართ. ქალ. ს. ს.	1 და 2 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	2	„ 2 „ „	—	—	„ „ ვაჟთა „ „	1 და 2 საშ. სკ.	2 „ „
6. ბორჯომი . .	1	ბორჯომის 1 საშ. სკ.	1	—	ბორჯომის ქართ. ვაჟ. ს. ს.	1 და 2 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	2	„ 2 „ „	—	1	„ „ ქალ. „ „	1 და 2 „ „	2 „ „
7. ზუგდიდი . . .	1	ზუგდიდის 1 საშ. სკ.	1	—	ზუგდიდის ქართ. ვაჟთა ს. ს.	1 3 და 5 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	2	„ 5 „ „	—	1	„ „ ქალთა „ „	1, 3 და 5 „ „	5 „ „
	3	„ 3 „ „	—	2	„ „ „ „ „	1, 3 და 5 „ „	3 „ „
8. თელავი . . .	1	თელავის 1 საშ. სკ.	1	—	თელავის ქართ. ვაჟ. საშ. ს.	1 და 4 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	2	„ 2 „ „	2	—	„ „ „ „ „	2 და 3 „ „	2 „ „
	3	„ 4 „ „	—	1	„ „ ქალ. „ „	1 და 4 „ „	4 „ „
	4	„ 3 „ „	—	2	„ „ „ „ „	2 და 3 „ „	3 „ „

ქალაქების დას.ხელება	№ №	სკოლების ძველი ნომერი	სკოლების ახალი ნომერი: ვაჟთა	სკოლების ახალი ნომერი: ქალთა	სკოლების სრული დასახელება	რომელ სკოლებიდან კომპლექტდება	რომელი სკოლების შენობებში თავსდება
1	2	3	4	5	6	7	8
9. სიღნაღი . .	1	სიღნაღის 1 საშ. სკ.	1	—	სიღნაღის ქართ. ვაჟ. ს. ს.	1 და არასრ. საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	2	„ 1 არასრ. ს. სკ.	—	1	„ „ ქალ. „ „	1 და „ „ „	1 არასრ. ს. სკ.
10. სამტრედია .	1	სამტრედიის 1 საშ. სკ.	1	—	სამტრედიის ქართ. ვაჟ. ს. ს.	1 და 2 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	2	„ 2 „ „	—	1	„ „ ქალ. ს. ს.	1 და 2 „ „	2 „ „
11. ზესტაფონი . .	1	ზესტაფონის 1 საშ. სკ.	1	—	ზესტაფონის ქართ. ვაჟ. ს. ს.	1 საშ. სკ.	ფერომარ.არს.
	2	„ 2 „ „	2	—	„ „ „ „ „	2 „ „	მე-3 საშ. სკ.
	3	„ 3 „ „	—	1	„ „ ქალ. „ „	1 „ „	1 საშ. სკ.
	4	„ 3 ფერომ. რგ არს. ს. სკ.	—	2	„ „ „ „ „	3 „ „	2 საშ. სკ.
12. მახარაძე . .	1	მახარაძის 1 საშ სკ.	1	—	მახარაძის ქართ. ვაჟ. ს. ს.	1, 2 და 3 საშ. სკ.	1 საშ. სკ.
	2	„ 2 „ „	—	1	„ „ ქალ. „ „	1, 2 და 3 საშ. სკ.	2 „ „
	3	„ 3 „ „	—	2	„ „ „ „ „	1, 2 და 3 საშ. სკ.	3 „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 761

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო ვაგზლების რემონტის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ რკინიგზის მთელი რიგი სადგურები და ვაგზლები უყურადღებო მდგომარეობაშია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს:

ა) 1944 წლის დამლევამდე ჩაატაროს სამგზავრო ვაგზლების და სავაგზლო ნაგებობათა რემონტი თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, აბაშის, ტყიბულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ხარაგოულის, ხაშურის, ბორჯომის, ბორჯომ-პარკის, წაღვერის, ბაკურიანის, გორის, სტალინირის, წნორის, კელასურის, ზუგდიდის, ქვეზანის, ცხაკაიასა და სამტრედიის სადგურებში;

ბ) ორი დეკადის განმავლობაში შეადგინოს და დაამტკიცოს I-ლ პუნქტში აღნიშნული ვაგზლების რემონტის წარმოების გრაფიკი და დაგზავნოს იგი ხაზზე;

გ) მხედველობაში მიიღოს სადგურების განაცხადები ვაგზლები სათვის ინვენტარის დამზადებაზე (სკამები, სამგზავრო დივნები, მაგიდები) და აგვისტოს დამლევამდე გაანაწილოს სათანადო დაკვეთები რკინიგზის საწარმოთა შორის.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს მიმდინარე წლის III კვარტალის დამლევამდე გამოუყოს ამიერკავკასიის რკინიგზას 50 ტონა კირი, 70 კილოგრამი სადურგლო წებო და 2800 კილოგრამი სამღებრო წებო.

3. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ამიერკავკასიის რკინიგზას სადგურების რემონტის წარმოებისა და ვაგზლების, ვაგზლისპირა მოედნებისა და მწვანე ნარგავების სანიმუშო მდგომარეობაში მოყვანის საქმეში და გამოჰყონ ამ მიზნისათვის მუშახელი და ადგილობრივი სამშენებლო მასალები.

სისტემატურად შეამოწმონ ვაგზლების რემონტის მიმდინარეობა და ხარისხი და უზრუნველჰყონ მოვლა და ფრთხილი მოპყრობა საგაზლო ნაგებობებისა და ქონებისადმი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ბარამია.**

1944 წლის 5 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 765

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მოლდავეთის სსრ-ში გაგზავნის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 24 ივნისის № 753 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა უწყების, დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელებს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს დაუყოვნებლივ გამოავლინონ და არაუგვიანეს 1944 წლის 20 ივლისისა მიავლინონ მოლდავეთის სსრ-ში მოლდავეთის სსრ-დან ევაკუირებული მიწათმოქმედების ხელმძღვანელი მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერ-მუშაკები და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა მასწავლებლები.

მოლდავეთის სსრ-დან ევაკუირებულ სოფლის მეურნეობის გამოვლინებულ სპეციალისტთა სიები და აგრეთვე მათი მივლინების ანგარიში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების ბიუროს.

2. დაევალოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ლეკიშვილს და მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ბუჩუკურს 1944 წლის 20 ივლისამდე მოახდინონ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მობილიზაცია 14 კაცის რაოდენობით და გაგზავნონ ისინი მუდმივ სამუშაოდ მოლდავეთის სსრ-ში, ჰქედან:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაიმიწგანის გამგე	2	კაცი
მტს-ის დირექტორი	2	„
ინჟინერი და მექანიკოსი	2	„
აგრონომი	4	„
ზოოტექნიკოსი	2	„
მტს-ის ბუხჰალტერი	2	„

3. მოლდავეთის სსრ-სათვის მობილიზებულ და მივლინებულ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 23 იანვრის № 89 დადგენილების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მატერიალური შეღავათები და ფულადი დახმარება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 7 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 767

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დიღმის სანერგის ნერგების ფასის შესახებ

რადგან ჯერაც არ არსებობს იმ ნერგების დამტკიცებული ფასები, რომლებსაც თბილისის საბჭოს სანერგეები იძლევიან, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაასწოროს 1944 წელს ანგარიშები იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც მიცემული აქვთ მიმდინარე წელს ნერგები დიღმის სანერგიდან, შემდეგ ფასებში:

წიწვიანი ჯიშების 5—7-წლიანი ნერგებისათვის: ტუია-6 მან., კვიპაროსი—17 მან., ელდარისა და ყირიმის ფიჭვი—29 მან., კედარი—34 მან., ფოთლოვანი ჯიშების—3—6-წლიანი ნერგებისათვის—9 მან. და 2—4-წლიანი დეკორატიული ფოთლოვანი ბუჩქნარის ნერგებისათვის 4 მანეთი.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) გადაიყვანოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ქვემდებარე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამგებლობაში არსებული ყველა სანერგე სრულ სამეურნეო ანგარიშზე;

ბ) დაწესოს ნერგების სტანდარტები და მიმდინარე წლის ოქტომბრის დამლევისათვის წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემის სანერგეების მიერ გამოშვებული სტანდარტული ნერგებისა და ყვავილების გასაყიდი ფასები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 768

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ჩაის ტრესტის ჩაისსაწნეხი ფაბრიკისათვის საწნეხი ფორმების კომპლექტების წარმოების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და კალინინის სახელობის ქარხნის არასერიოზული დამოკიდებულების შედეგად, ჩაშლილია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 6 აპრილის № 484 დადგენილების შესრულება, რომლის თანახმადაც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს უნდა დამუშავებინა და ჩაებარებინა კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ჩაის ტრესტისათვის 1943 წლის 1 აგვისტომდე 250 კომპლექტი საწნეხი ფორმები ჩაის საწნეხი ფაბრიკებისათვის.

ზემოხსენებულთან ერთად აღინიშნოს, რომ საქართველოს ჩაის ტრესტმა თვენახევრის დაგვიანებით ჩააბარა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს საწნეხი ფორმების ახალი ნახაზები და თანაც უაღრესად გაართულა ფორმების კონსტრუქცია.

ქარხანა „ცენტროლიტი" აბარებს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კალინინის სახელობის ქარხანას არახარისხოვან სხმულს ხენჯითა და დიდი მოსაგებით, რაც აძნელებს საწნეხი ფორმების დამუშავებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საყვედური გამოეცხადოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მანქანათმრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. აბრამოვს და კალინინის სახელობის ქარხნის მთავარ ინჟინერს ამხ. იზიუმსკის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ჩაის ტრესტის

ჩაის საწნეხი ფაბრიკებისათვის საწნეხი ფორმების დამუშავების დარგში მიცემული დავალების შეუსრულებლობისათვის.

2. გამოიყოს კომისია, ამხ. მ. ი. ჯაშის თავმჯდომარეობითა და ამხ. გორდეზიანის (ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატი), გაბრიჩიძის (სახ. საგეგმო კომისია), სარჯველაძის (საქ. ჩაის ტრესტი), სარიშვილის (კიროვის სახ. ქარხანა), მეშველიანის (კალინინის სახ. ქარხანა), სიხარულიძის (ქარხანა ცენტროლიტი), რუხაძისა (საქ. ჩაის ტრესტი) და მელაძის (20 კომისრის სახ. ქარხანა) შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს გულდასმით შეისწავლოს კონსტრუქცია და საქართველოს საწარმოებში საწნეხი ფორმების საქ. ჩაის ტრესტის ახალი ნახაზებით დამზადების ყველა პირობა.

კომისიამ თავისი წინადადებანი ჩაის საწნეხი ფაბრიკებისათვის საწნეხი ფორმების დამზადების უზრუნველყოფის დარგში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 10 დღის განმავლობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს **საქმეთა** მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 769

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

გორის რაიაღმასკომის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციისათვის სატვირთო ავტომანქანების თვითნებური გადაცემის შესახებ

გორის რაიაღმასკომმა დაუშვა კანონის უხეში დარღვევა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სანქციის გარეშე გადასცა რაიონის სხვადასხვა კოლმეურნეობას ლიკვიდირებული სატრანსპორტო არტელების სამი სატვირთო ავტომანქანა და გორის გამასწორებელ სახლს — ერთი სატვირთო ავტომანქანა; რაიჟანგანყოფილების კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა გადასცა სოფ. ქერეს კოლმეურნეობას, სახალხო განათლების განყოფილების სატვირთო ავტომანქანა გადასცა საქშამპანკომბინატის ატენის ღვინის ქარხნის მშენებლობას და საქვაჭრობის გორის განყოფილების კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა გადასცა სოფ. ატენის კოლმეურნეობას. გარდა ამისა, გორის სამალარიო სადგურის კუთვნილი ჩამოწერილი სატვირთო ავტომანქანა გადასცა სოფ. ახალუბნის კოლმეურნეობას და ნება დართო მას აღედგინა აღნიშნული ავტომანქანა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეთითო გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბუჯიაშვილს კანონის დარღვევის დაშვებისათვის, რაც გამოიხატა კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სანქციის გარეშე სატვირთო ავტომანქანების გადაცემაში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს სახავტოინსპექციის უფროსს (ამხ. მანსვეტოვს) შეამოწმოს გორის ავტოინსპექტორის ზაალიშვილის მუშაობა და შესცვალოს იგი უფრო ძლიერი მუშაკით, ხოლო ბოროტმოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში, მისცეს პასუხისგებაში.

3. წინადადება მიეცეს გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბუჯიაშვილს დაუყოვნებლივ დაუბრუნოს რაიჯანგანყოფილებას ავტომანქანა გაზ-აა № გს—43—25, სახალხო განათლების რაიგანყოფილებას—ავტომანქანა ზის—5 გტ—50—61 და საქვაჭრობის გორის გახყოფილებას—ავტომანქანა გაზ-აა № გს—74—79.

4. ლიკვიდირებული სატრანსპორტო არტელების ავტომანქანები: გაზ-აა № გს—42—05, გაზ-აა № გს—74—44, გაზ-აა № გს—4—18, გაზ-აა № გრ—32—33 და აგრეთვე ავტომანქანა გაზ-აა № გრ. 32—18, რომელიც წინათ გორის სამაღარიო სადგურს ეკუთვნოდა, დარჩეს იმ კოლმეურნეობებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც ისინი გადაეცა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 770

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის შუამდგომლობა ქალ. სოხუმის კეთილმოწყობის ღონისძიებათათვის დამატებითი სახსრების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს დახარჯოს 1944 წელს ქალ. სოხუმის კეთილმოწყობის გადაუდებელ ღონისძიებათათვის (ქუჩების, ტროტუარების, ხიდებისა და სხვ. რემონტი და ასფალტირება) 600 ათასი მანეთი აფხაზეთის ასსრ სოხუმის თეატრის მშენებლობის 1944 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა შემცირების ხარჯზე.

დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს უზრუნველჰყოს 1944 წელს სოხუმის თეატრის მშენებლობის დაფინანსება 3.500 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან 2900 ათასი მანეთი აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტის ხარჯზე და 600 ათასი მანეთი სახდაზღვევის მიერ სოხუმის თეატრისათვის ხანძრით მიყენებული ზარალის სადაზღვევო ანაზღაურების წესით გადაცემულ სახსართა ხარჯზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს შეამოწმოს სოხუმის საქალაქო აღმასკომის მიერ ქ. სოხუმის კეთილმოწყობის დამატებით ღონისძიებათათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვები და ტექნიკური გაანგარიშებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარია
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 771

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალ. სოხუმის თეატრისა და ქალ. ქუთაისის ადმინისტრატიული სახლისა და თეატრის მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის მიმდინარეობის შესახებ

რადგან თეატრის მშენებლობა ქალ. სოხუმში და აგრეთვე ადმინისტრატიული სახლისა და თეატრის მშენებლობა ქალ. ქუთაისში ჯერაც არაა უზრუნველყოფილი დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტითა და ხარჯთაღრიცხვებით ძირითადად ტრესტი „საქკომუნპროექტის" მიზეზით, რომელმაც გააჭიანურა დაპროექტება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს (ამხ. ქურდიანს) 10 დღის განმავლობაში მოაწყოს ექსპერტიზა და განიხილოს და დაამტკიცოს ქალ. სოხუმის თეატრის მშენებლობის ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ეგაძეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს მიერ დამტკიცებული სოხუმის თეატრის მშენებლობის ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა გადაუგზავნოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს.

2. დაევალოს ტრესტ „საქკომუნპროექტის" მმართველს ამხ. ჩაჩანიძეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ივლისისა ჩაბარაოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სოხუმის თეატრის სამშენებლო ნაწილის ყველა სამუშაო ნახაზი, ხოლო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ეგაძემ უზრუნ-

ველჰყოს სამუშაო ნახაზების შემოწმება და თავის დროზე მიცემა მშენებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ქუთაისის თეატრის მშენებლობის მთელი სამუშაო პროექტირება დაეკისროს ტრესტ „საქკომუნპროექტს“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან ხელშეკრულების დადებით.

დაევალოს ტრესტ „საქკომუნპროექტის“ მმართველს ამხ. ჩაჩანიძეს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ეგაძეს 5 დღის განმავლობაში დასდონ ხელშეკრულება ქუთაისის თეატრის მშენებლობის სამუშაო პროექტირებაზე და უზრუნველჰყონ სამუშაო ნახაზების თავის დროზე გადაცემა მშენებლობისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგვიმო კომისიას მოაწყოს ექსპერტიზა და ერთი კვირის განმავლობაში განიხილოს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრატიული სახლის მშენებლობის ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა და თავისი დასკვნა ამ პროექტის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

5. დაევალოს ტრესტ „საქკომუნპროექტს“ უზრუნველჰყოს სამუშაო ნახაზების თავის დროზე გადაცემა ქუთაისის ადმინისტრატიული სახლის მშენებლობისათვის.

დაევალოს ტრესტ „საქკომუნპროექტის“ არქიტექტორს ამხ. შავიშვილს განახორციელოს სისტემატური საავტორო ზედამხედველობა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის სახლის მშენებლობაზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ ეგაძეს დაწესოს სისტემატური ტექნიკური მეთვალყურეობა ქალაქ ქუთაისისა და სოხუმის თეატრების მშენებლობის მიმდინაოობაზე და უზრუნველჰყოს მათი დროული დაფინანსება.

7. დაევალოს ტრესტ „საქკომუნპროექტის“ მმართველს ამხ. ჩაჩანიძეს მიმდინარე წლის ივლისის დამლევამდე დაამთავროს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დეკორაციების საწყობის მშენებლობის ტექნიკური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს (ამხ. კვიცარიძეს), როგორც გამონაკლისი, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვე-

ბის დამტკიცებამდე დააფინანსოს სოხუმის თეატრის მშენებლობა 500 ათასამდე მანეთის ფარგლებში და ქუთაისის ადმინისტრატიული სახლის მშენებლობა — 250 ათასამდე მანეთის ფარგლებში.

9. დაევალოს კომისიას, ამხ. გაბრიჩიძის (სახელმწიფო საგეგმო კომისია) თავმჯდომარეობითა და ამხ. ქურდიანისა (არქიტექტურის საქმეთა სამმართველო) და ანანიაშვილის (კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატი) შემადგენლობით, 10 დღის განმავლობაში გამოიმუშაოს და წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინადადებანი საპროექტო ორგანიზაციების განმტკიცებისა, პროექტირების საქმის გაუმჯობესებისა და 1944 და 1945 წლებში მშენებლობის ობიექტების ტექნიკური პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების თავის დროზე შედგენის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. გაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 772

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში სამოქალაქო ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის 1944 წლის ივლისის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 28 თებერვლის № 5261-სს დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში სამოქალაქო ორგანიზაციების ტონანახევრიანი სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის 1944 წლის ივლისის გეგმა 50 მანქანის რაოდენობით, რაც განაწილდეს ორგანიზაციებს შორის, დანართის თანახმად.

2. დაევალოს ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარს ამხ. რთველაძეს მიიღოს საჭირო ზომები და უზრუნველჰყოს ამ დადგენილებით დაწესებული სამოქალაქო ორგანიზაციების ავტომანქანების რემონტის გეგმის შესრულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

სამოქალაქო ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტისა თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში 1944 წლის ივლისისათვის

სახ. კომისარიატების, უწყებებისა და ორგანიზაციების დასახელება	მანქანები ცალი
1. საქ. სსრ კომფნ. მეურნ. სახ. კომისარიატი:	
ა) გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომი	1
ბ) ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომი	2
2. წალკის რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილება	1
3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი:	
ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება	3
4. საქ სსრ განსახკომი—კოჯრის საბავშვო სახლი	1
5. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო	2
6. კინოფიკაციის საქმეთა სამმართველო	1
7. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო	1
8. საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი:	
ა) საქპურტრესტი	2
ბ) საქმინწყლები	1
გ) საპნის ქარხანა	1
დ) ბრეთის საბჭოთა მეურნეობა	1
9. საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი	2
10. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო	1
11. მიწსახკომი—თელეთის მტს	1
12. საქ. სსრ ვაჭრობის საზალხო კომისარიატი:	
ა) საქვაჭრობა	1
ბ) თბილისბოსტანვაჭრობა	1
13. საქ. სსრ ჯანსახკომი—გურჯაანის ევაკოჰოსპიტალი № 2474	1
14. საქ. სსრ შინსახკომის გზატკ ცილების სამმართველო	1
15. საქნავთის ტრესტი	2
16. „სნაბელექტროს“ თბილისის კანტორა	1
17. საქ. სსრ ხელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მეექვსე განყოფილება	1
18. საქოქროს კომბინატი	1
19. საქთამბაქნედლეულის ტრესტი	1
20. საქმამანკამბინატი	1
21. საქთვეზტრესტი	1
22. საქ. სსრ იუსტიციის სახ. კომისარიატი	1
23. საქმარმარილო	1
24. თბილისის ავიატექნიკუმი	1
25. „სოიუზუტილის“ საქართველოს კანტორა	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახ. კომისარიატების, უწყებებისა და ორგანიზაციების დასახელება	მანქანები ცალი
26. ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (სასწავლო მეურნეობისათვის)	1
27. ქუთაისისის ლიტოპონის ქარხანა	1
28. „სოიუზმიშიაკი“	1
29. ამბროლაურის რაიონული სამრეწველო კომბინატი (ხვანჭკარა)	1
30. საქეთერზეთის ტრესტი	1
31. ბოლნისის რაიონის კიროვის სახელობის ახლადდასახლებულთა კოლმეურნეობა	1
32. საქართველოს გეოლოგიური სამმართველო	1
33. გორის რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწვ. განყოფილება	1
34. ბაშქირეთის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა	1
35. ცენტროლიტი	1
36. სარეწაო კავშირი	1
37. სვირის ლ. პ. ბერიას სახ. საბჭოთა მეურნეობა	1
38. „ზაგოტქივსირიო“	1
ს ულ	50

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 773

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ჯანსახკომის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყველაზე გამოჩენილი ფრიადოსანი სტუდენტებისათვის სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაენიშნოს სტალინის სახელობის სტიპენდია 1944 წლის 1 ივნისიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შემდეგ ყველაზე გამოჩენილ ფრიადოსან სტუდენტებს:

სამკურნალო ფაკულტეტი:

დავით პიმენის-ძე მაქაცარიას.

სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტი:

ვიქტორ გიორგის-ძე გურაშვილს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 774

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს დახმარებათა და პენსიათა განყოფილების უფროსი ინსპექტორის ამხ. ს. ს. მესარქიშვილისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაენიშნოს 1944 წლის 1 ივლისიდან ხელფასის პერსონალური განაკვეთი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს დახმარებათა და პენსიათა განყოფილების უფროს ინსპექტორს ამხ. ს. ს. მესარქიშვილს თვეში 1300 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 775

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისათვის ქალ. მოსკოვში ლიტერატურული საღამოების მოწყობის ხარჯების დასაფარავად დამატებითი სახსრების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს 1944 წელს დამატებით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს 28,5 ათასი მანეთი ქალ. მოსკოვში ლიტერატურული საღამოების მოწყობის ხარჯების დასაფარავად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 776

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სახალხო მოსამართლეებისა დ რაიონული პროკურორების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი კურსების მოწყობის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 12 ივნისის № 12622-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს მოაწყოს 1944 წლის 15 აგვისტოდან სახალხო მოსამართლეებისა და რაიონული პროკურორების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი იურიდიული კურსები 60 კაცის რაოდენობით, აქედან 40 სახალხო მოსამართლე და 20 რაიონული პროკურორი.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სახალხო მოსამართლეებისა და რაიონული პროკურორების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი იურიდიული კურსების ხარჯთაღრიცხვა 47.500 მანეთის რაოდენობით და ეს თანხა გაღებულ იქნას საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის კადრების მოსამზადებლად საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტით 1944 წელს ასიგნებულ სახსართა ხარჯზე.

3. დადგენილ იქნას, რომ კურსებზე მივლინებულ პირთ ენახებათ ის ხელფასი, რასაც იღებენ ისინი მუშაობის ადგილას.

4. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ფონდების ხარჯზე იურიდიული კურსების კურსანტები და სამასწავლებლო პერსონალი სამჯერადი კვებით.

5. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—ამხ ჩხეტიანს და საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილეს ამხ. ჯანჯღავას უზრუნველჰყონ სახალხო მოსამართლეებისა და რაიონული პროკუ-

რორების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი კურსები ჩამოსული კურსანტებისათვის საჭირო სასწავლო სადგომითა და საერთო საცხოვრებლით.

6. დაეკვალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჩხეტიანს თავის დროზე უზრუნველჰყოს კურსები საჭირო სასწავლო წიგნებით, პროგრამებითა და სხვა სახელმძღვანელოებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 777

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის საწარმოთა მიერ გამოშვებულ არყის ნაწარმთა ასორტიმენტის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) დაუწესოს 1944 წლის მეორე ნახევარწლედისათვის სამტრესტის თბილისის საწარმოებს შემდეგი თანაფარდობა ცალკეული სახის არყის ნაწარმთა გამოშვებაში:

სპირტიანი ნაყენები	30°—60%	ოდენობით,
სპირტიანი ნაყენები	40°—20%	„
პურის არაყი	40°—20%	„

ბ) მისცეს არყის ნაწარმი სავაჭრო ორგანიზაციებს ამ დადგენილებით დაწესებული არყის ნაწარმის ასორტიმენტის შესაბამისად და, ამასთან, პურის არაყი, უწინარეს ყოვლისა, მისცეს საზოგადოებრივი კვების საწარმოებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 778

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ვ. მ. ბერაძის შვებულების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ვ. მ. ბერაძეს ა|წ 10 ივლისიდან ორი კვირის შვებულება ავადმყოფობის გამო.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 8 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 779

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

შენობის შესაკეთებლად თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ჩაატაროს თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის შენობის, საქვაბისა და სათბობის სისტემის რემონტი, რაზედაც დახარჯოს 110 ათასი მანეთი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1944 წლის ბიუჯეტის ასიგნობათა გადანაწილების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 781

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის წყალსადენის ტრესტის 1943 წლისა და 1944 წლის I კვარტალის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის შედეგების შესახებ

თბილისის წყალსადენის ტრესტის 1943 წლისა და 1944 წლის I კვარტალის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიით, რაც საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა, დადასტურდა, რომ თბილისის წყალსადენის ტრესტი (მმართველი ე. ა. შარაშენიძე, მთავარი ინჟინერი გ. ლ. მიქელაძე) ვერ უზრუნველჰყოფს ქალაქ თბილისისათვის წყლის თანაბრად და შეუფერხებლივ მიწოდებას.

ტრესტის ხელმძღვანელობას საკმაო ზომები არ მიუღია იმისათვის, რომ თავის დროზე დაემთავრებინა აეჭალის წყალსადენის რეაგენტული მეურნეობის მოწყობა, საექსპლოატაციოდ გადაეცა ორთაჭალის წყალსადენის ორი ფმოქმედო ჭაბურღილი და სრულად გამოეყენებინა ნატახტარის წყალსადენის გამტარუნარიანობა. 1944 წლის I კვარტალში, იმ დროს როცა ნატახტარის წყალსადენის საანგარიშო სიმძლავრე წამში 1250 ლიტრს უდრიდა, ფაქტიური საშუალო სიმძლავრე შეადგენდა 1.135 ლიტრს, აეჭალის წყალსადენის ფაქტიური სიმძლავრე უდრიდა 103 ლიტრს, ნაცვლად 250 ლიტრისა წამში, ხოლო ორთაჭალის წყალსადენის ფაქტიური სიმძლავრე, 60 ლიტრის ნაცვლად, შეადგენდა მხოლოდ 27 ლიტრს წამში.

თბილისის წყალსადენის ტრესტს არ შეუმოწმებია და არ გამოუყენებია მთელი რიგი სპეციალისტების წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაედიდებინა ნატახტარის წყალსადენიდან ქალაქისათვის წყლის მიწოდება დიდი ხარჯების გაუწევლად.

ტრესტს არ მიუღია სათანადო ზომები იმისათვის, რომ მაქსი-

მალურად დაეყვანა მომხმარებლამდე ის წყალი, რომელიც ქალაქს ეძლევა.

წყალსაზომი მეურნეობა მოუვლელ მდგომარეობაშია. 17.139 აბონენტიდან ვარგისი წყალსაზომებით უზრუნველყოფილია მხოლოდ 6.120 აბონენტი, იმ დროს როცა ტრესტს 16.000 წყალსაზომი მოეპოვება.

ტრესტის სახელოსნოებში სათანადოდ არ არის ორგანიზებული წყალსაზომების რემონტი, რის გამო უვარგისი წყალსაზომების რაოდენობა წლითიწლობით მატულობს.

მაგალითად, 1940 წელს იყო 1037 ცალი უვარგისი წყალსაზომი, 1943 წელს კი—5429 ცალი.

1943 წელს გამოცვლილია მხოლოდ 391 უვარგისი წყალსაზომი, იმ დროს როცა 1941 წელს გამოცვლილი იყო 6245 წყალსაზომი.

წყალსაზომების ასეთი მდგომარეობის გამო, წყლის ხარჯვის გამორკვევა იქმნ კი, სადაც წყალსაზომები დადგმულია, ხშირად სწარმოებს არა წყალსაზომის მიერ ნაჩვენები ოდენობის მიხედვით, არამედ ვარაუდით ან იმის მიხედვით, თუ რამდენი წყალი დაიხარჯა გასულ პერიოდში, რის გამო ადგილი აქვს წყლის მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუებას.

ამის შედეგად თბილისის წყალსადენის ტრესტმა, წყლის რეალიზაციის 1943 წლის გეგმის 99,4%-ით შესრულებისას, დაგროვების გეგმა 117,2%-ით შეასრულა.

ტრესტის ხელმძღვანელობამ, რომელსაც სათანადო პირობები მოეპოვებოდა უზრუნველეყო ქალაქის აბონენტები ონკანებითა და წყალსადენის არმატურის სხვა ელემენტებით, რაც მას თავის სახელოსნოებში უნდა დაემზადებინა, ვერ გამოიჩინა ინიციატივა და ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობანი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და ქ. თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ წესიერ მდგომარეობაში იქონიონ წყალსადენის არმატურა და აღმოფხვრან წყლის გადინება სახლების წყალსადენის ქსელში.

4752 შემოწმებული საწყალსაზომო ჭიღან, სახლმმართველთა დაუდევრობის გამო, 1357 ჭას სახურავი არ ჰქონდა.

გამოყენებული არ არის არსებული რეზერვუარების ტევადობა. ღრმაღელის ორი რეზერვუარიდან ერთი რეზერვუარი 1942 წელს გამოვიდა მწყობრიდან და დღემდეც არ არის აღდგენილი.

სუსტი ტექნიკური დისციპლინა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შეუსრულებლობა ხელს უწყობდა ავარიების რიცხვის გადიდებას.

1943 წელს ადგილი ჰქონდა 592 ავარიას, იმ დროს როცა 1941 წელს ავარიის 398 შემთხვევა იყო.

ტრესტის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ აქცევდა მუშახელის მომზადებისა და შენარჩუნების საკითხებს.

1943 წელს სამუშაოდ მიღებულია 282 კაცი, ხოლო ამავე პერიოდში სამუშაოდან დათხოვნილია 270 კაცი.

ყურადღება არ ექცევა მატერიალურ-ქონებრივ ღირებულებათა აღრიცხვის შენახვისა და წესიერად ხარჯვის საქმეს.

სასაქონლო მატერიალურ ღირებულებათა გაცემა საწყობებიდან უკონტროლოდ ხდება, რის შედეგადაც განიავებული და არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული საავარიო-აღდგენითი მარაგის ცემენტი, წყალსადენის მილები, ფერადი ლითონები, საწვავი და სხვ., აგრეთვე დამხმარე მეურნეობის პროდუქტები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭო ადგენს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს:

ა) მიიღოს საჭირო ზომები და დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, უზრუნველჰყოს ნატახტარის, ავჭალისა და ორთაჭალის წყალსადენების მთელი სიმძლავრის გამოყენება და მიაღწიოს იმას, რომ გადიდდეს სამეურნეო-სასმელი წყლის მიწოდება ქ. თბილისისათვის;

ბ) ა/წ ოქტომბრის დამლევამდე დაამთავროს ავჭალის წყალსადენის რეაგენტული მეურნეობის მოწყობა, აგრეთვე ორთაჭალის წყალსადენის იმ ორი ჭაბურღილის გადაცემა საექსპლოატაციოდ, რომლებიც ამჟამად უმოქმედოდ არიან;

გ) გაფართოოს სარწყავი წყალსადენის ქსელი იმ ანგარიშით, რომ მისი სიმძლავრე აიყვანოს 1945 წლის რწყვის სეზონის დამდეგისათვის 300 ლიტრამდე წამში;

დ) გაფრთხილება მისცეს ქ. თბილისის იმ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომელთაც მტკვრის წყლის მისაწოდებელი დანადგარები აქვთ, რომ ისინი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აამუშაონ საკუთარი დანადგარები და რომ 1944 წლის 1 სექტემბრიდან მათ შეუწყდებათ წყლის მიწოდება ქალაქის წყალსადენიდან ტექნიკური საჭიროებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) ერთი თვის ვადაში გამოარკვიონ ნატახტარის წყალსადენის ნამდვილი გამტარუნარიანობა და შედეგები წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს;

ბ) დაამუშაონ ავჭალის წყალსადენის სიმძლავრის წამში 300

ლიტრამდე გადიდების საკითხი, არსებულ საწმენდ ნაგებობათა ინტენსიფიკაციისა და აღნიშნულ ნაგებობებთან წყლის შეუფერხებლივ მიყვანის უზრუნველყოფის გზით. ამასთან დაამთავრონ პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა 1944 წლის 1 ოქტომბრისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ორი თვის ვადაში დაამუშაონ საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია წყლის დებიტისა და ვაკუმის გამომრკვევი ამჟამად უმოქმედო 18 საკონტროლო-საზომი ხელსაწყოს გამოყენება ნატახტარის წყალსადენის ჰაბურღილებში.

3. წინადადება მიეცეს თბილისის წყალსადენის ტრესტის მმართველს ამხ. შარაშენიძეს:

ა) ქალაქის წყალსადენის ქსელის მუშაობის სწორი რეგულირების მიზნით, 1944 წლის დამლევამდე მოაწყოს წყალსადენის ძირითად მაგისტრალებზე საკონტროლო-საზომი პუნქტები;

ბ) 1945 წლის 1 იანვრიდან მოაწყოს ტრესტის სადისპეტჩერო სამსახურთან ქსელის რეჟიმის რეგულირება, საკონტროლო-საზომი პუნქტების მაჩვენებელთა ანალიზების საფუძველზე;

გ) 1944 წლის 1 აგვისტოდან მოაწყოს ტრესტის სარემონტო კანტორასთან სპეციალური სარემონტო ბრიგადები წყლის გადინების ადგილების გამოსარკვევად და აღმოსაფხვრელად;

დ) დაუყოვნებლივ შეუდგეს საკონტროლო წყალსაზომების დადგმას სატუმბო სადგურების საწნეო მილგაყვანილობებსა და ცალკეულ მაგისტრალებზე, აგრეთვე მარეგისტრირებელი საზომი ხელსაწყოების დადგმას წყლის მიწოდებისა და ჩასხმის ადგილებში, ამასთან ეს მუშაობა დაამთავროს 1944 წლის დამლევამდე.

4. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. ანანიევს):

ა) სახლის ქსელში წყლის გადინების წინააღმდეგ ბრძოლისა და საწყალსაზომო მეურნეობის მოვლა-პატრონობის მიზნით, მოაგვაროს ექსპლოატაცია სახლის ქსელის შიგნით, უზრუნველჰყოს წყალსაზომების და წყალსაზომი ჭ ბის, დასაშლელი ონკანების, ჩასასხმელი ბაკების და ს ვა სახის საწყალსადენო არმატურის შენახვა სრულ წესრიგში;

ბ) გააძლიეროს საბინაო სამმართველოების, სახლმმართველების, სახლმფლობელებისა და მობინადრეების პასუხისმგებლობა შიდასაბინაო წყალსადენის ქსელის მდგომარეობისათვის;

გ) დაავალოს საბინაო სამმართველოების უფროსებს, სახლმმართველებსა და სახლმფლობელებს უზრუნველჰყონ სახლის წყალსადენის ქსელის დროული და სისტემატური რემონტი;

დ) ერთი თვის ვადაში გააფართოოს თბილისის წყალსადენის

ტრესტის საწყალსაზომო საამქრო, 1944 წლის დამლევამდე შეაკეთოს 4000 წყალსაზომი იმ ანგარიშით, რომ 1945 წლის 1 იანვრისათვის ექნეს 10.000 ცალი ვარგისი წყალსაზომი;

ე) დაუყოვნებლივ აღადგინოს თბილისის წყალსადენის ტრესტის სახელოსნოებში წყალსადენის არმატურის (ონკანები, ვენტილები, ფიტინგები და სხვ.) და ონკანების ტყავის შუასადებების დამზადება მოსახლეობისათვის მისაცემად;

ვ) იმის გამო, რომ აკრძალულია ფერადი ლითონის ხარჯვა წყალსადენის არმატურისათვის, ერთი თვის ვადაში აითვისოს ონკანების, ვენტილების, წყალსაზომის ნაწილებისა და სხვა საწყალსადენო არმატურის დამზადება ნაჭედი თუჯისაგან;

ზ) 1944 წლის III კვარტალში დაამთავროს ღრმაღელის რეზერვუარების უქმი წყალსაგდებების გარსაცმების მოწყობა, ხოლო 1944 წლის დამლევამდე ჩაატაროს კამარაანთხევის აკვედუკის მიმდინარე რემონტი და ნატახტარის მთელი წყალსადენის სრული გასინჯვა, ცალკეული კვანძების პროფილაქტიკური რემონტი და მოამზადოს ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ 1945 წელს ჩატარდეს მათი კაპიტალური რემონტი;

თ) იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნატახტარის წყალსადენის სათავო ნაგებობათა უშიშროება წალეკისაგან, მოაწყოს მდინარე არაგვზე მუდმივი ნაპირსამაგრებელი ნაგებობანი. ამასთან შეუდგეს მუშაობას 1944 წლის IV კვარტალში და დაამთავროს მთელი მშენებლობა 1945 წლის I კვარტალში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინონ კაპიტალური მშენებლობის 1945 წლის გეგმაში: სიფონის წყალსამარაგო ნაგებობის მე-3 ხაზის მშენებლობა ნატახტარის წყალსადენის სათავო ნაგებობებში მისი 1945 წლის I კვარტალში დამთავრებით და ღრმაღელის დაზიანებული № 1 რეზერვუარის აღდგენა.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს:

ა) ყოველკვარტალურად განიხილოს თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების წარდგენით თბილისის წყალსადენის ძირითადი ძალოვანი მოწყობილობის, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და მსხვილი მაგისტრალების კაპიტალური რემონტის გრაფიკი და მოცულობა;

ბ) 1944 წელს დანერგოს თბილისის წყალსადენში საწყალსადენო ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაციის წესები და უზრუნველ-

ჰყოს 1944 წლის I ოქტომბრისათვის ძირითადი საწარმოო ინსტრუქციების შედგენა და დაგზავნა.

მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე მოაწყოს წყალსადენის მთელი პერსონალის ტექნიკური ექსპლოატაციის წესებისა და საწარმოო ინსტრუქციების ცოდნის პირველი შემოწმება.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს:

ა) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან—ამხ. ბუკიასთან ერთად, 1944 წლის 1 აგვისტომდე დააწესოს ასკანგელის სტანდარტი წყალსადენების გასაწმენდ ნაგებობათათვის;

ბ) ყოველკვარტალურად მისცეს თბილწყალსადენის ტრესტს 300 ტონა სტანდარტული ასკანგელი და უზრუნველჰყოს მისი შეუფერხებელი მიზიდვა სადგურ მახარაძეში.

მ. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა ამხ. კიკნაძემ ყოველთვიურად გამოუყოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს 6 ვაგონი ასკანგელის გადასაზიდად ავჭალის წყალსადენისათვის სადგურ მახარაძიდან.

9. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამხ. მონიაგას ერთი თვის განმავლობაში უზრუნველჰყოს ტელეფონების დადგმა ღრმაღელის რეზერვუარების ტერიტორიაზე და ორთაჭალის წყალსადენის სათავო ნაგებობებზე.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, „გლავცვეტმეტსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამგ. ხაინდრავას, „გლავტორცვეტმეტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. შესტაკოვს, „გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. რუსიას, „გლავრეზინოსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. შიხმანს, საქმომარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს და ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის დირექტორს ამხ. კეკელიძეს მისცენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თბილისის წყალსადენის საჭიროებისათვის მასალები, მოწყობილობა და ინსტრუმენტები, დანართის თანახმად.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალავიძეს გაითვალისწინოს ფონდების განაწილების დროს 1 ტონა ბრინჯაოს, 2,0 ტონა ხარისხული რკინის, 2,0 ტონა ფურცლოვანი რკინის, 2,0 ტონა ტყვიის, 200 კილოგრამი უხეში ტყავის ნარჩენის, 100 კილოგრამი შუასადები რეზინის ტექფირფიტისა და 15,0 ტონა კოქსის გამოყოფა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის

თბილისის წყალსადენის ტრესტის უზრუნველსაყოფად 1944 წლის III კვარტალის განმავლობაში.

12. ნება დაერთოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოიყენოს არსებულ მარაგიდან ონკანებისა და კბილანების დასამზადებლად 1,0 ტონა თითბრის წნელი.

13. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გამოუყოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს საკვალთების, ონკანთა მოყვანილი ნაწილებისა და სხვა საწყალსადენო არმატურის დასამზადებლად 100 ტონა ჩამოსასხმელი თუჯი.

14. მიღებულ იქნას ცნობად, რომ რევიზიის მიერ აღმოჩენილ დარღვევებში დამნაშავე პირთ დადებული აქვთ სათანადო სასჯელი საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ.

15. თბილისის წყალსადენის ტრესტის მმართველს ე. ა. შარაშენიძეს გამოეცხადოს საყვედური ცუდი მუშაობისათვის და გაფრთხილება მიეცეს, რომ უკეთუ ის გადაჭრით ვერ გამოასწორებს მუშაობას უახლოეს დროში, უფრო სასტიკად დაისჯება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/VII
№ 781 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

მასალებისა, რომლებიც უნდა გამოეყოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თბილისის წყალსადენის ტრესტისათვის 1944 წლის ივლისის განმავლობაში

მასალების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	დასახელება ორგანიზაციისა, საიდანაც უნდა გამოიყოს მასალა
ფურცლოვანი თითბერი 1,5 და 2მმ.	კგ	50	„გლავცვეტმეტსბიტის“ თბილისის კანტორა საქ. სსრ 1944 წლის III კვ. ფონდის ანგარიშში
თითბრის მილები	„	15	„
ფურცლოვანი სპილენძი 0,3—0,4	„	20	„
ალუმინი შოთებად	ტონა	0,5	„გლავვტორცვეტმეტის“ თბილისის კანტორა 1944 წლის III კვ. ფონდის ანგარიშში
ტყვია	„	1,0	საქმომარაგების ტრესტი
ქანჭიკები და ქანჩები	„	0,3	„ „
ფოლადის მავთული 1,5—2 მმ	კგ	4.0	„ „
გრაფიტი	ტონა	0.6	„ „
საკალავი კალა	კგ	30	„ „
ხელის ტუმბოები	ცალი	5	„ „
სპილენძი შოთებად	ტონა	0,5	„ „
ხერხუნას ტანი	ცალი	150	„ „
ნიშადურის ფხვნილი	კგ	20	„ „
ბეჭრლები	ცალი	200	„ „
მეტრიული ქანჩმპრელები	კომპლ.	20	„ „
აირის „	„	20	„ „
ვიტვორტის „	„	10	„ „
ელექტროსადენი კვეთით 4-6 კვ. მ.	მეტრ.	1000	„ „
კაბელი სალ 1000 ვ. კვეთით 3×6 კვ. მმ.	„	400	„ „
ნავთობის სკიპიდარი	კგ	30	„ „
ფრანგული ქანჩსალები	ცალი	10	„ „
კლუპი „დუპლეკსი“	„	2	„ „
პასატიჟები	„	2	„ „
ბრეზენტის კოსტიუმები	„	100	„ „
ელექტრობურღეები	„	1	„ „

მასალების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	დასახელება ორგანიზაციისა, საიდანაც უნდა გამოიყოს მასალა
შემწოვი სახელოები ფ. 2—4	მტრ.	50	საქმომარაგების ტრესტი
ქლიბები	ცალი	300	საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატი
სახერხი წრიულები	„	100	ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა
გლიცერინი	კგ	20	„გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორა
ნიტრო-საღებავები	„	15	„
რეზინის ჩუნები	წყვილ.	500	„გლავრეზინოსბიტის“ თბილისის კანტორა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 782

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საბჭოთა კავშირის ჰიმნის ტექსტის ქართული თარგმანის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის ჰიმნის ქართული თარგმანი, თანახმად დანართისა, და გამოქვეყნდეს იგი პრესაში.

საბჭოთა კავშირის ჰიმნის ქართული თარგმანის საერთო შესრულება შემოღებულ იქნას 1944 წლის 1 სექტემბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ეგაძეს ორი კვირის განმავლობაში გამოსცეს საბჭოთა კავშირის ჰიმნის ქართული თარგმანი და კლავირი მასობრივი გავრცელებისათვის ასი ათასი ცალის რაოდენობით.

წინადადება მიეცეს „სოიუზბუმსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. ჩხარტიშვილს მისცეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საბჭოთა კავშირის ჰიმნის ქართული თარგმანის გამოსაცემად ნახევარი ტონა ქაღალდი საქართველოს სსრ ფონდების ანგარიშში.

3. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარს ამხ. კუპრაძეს უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის ჰიმნის ქართული თარგმანის შესწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, ყველა სკოლასა და საბავშვო დაწესებულებაში.

4. მიეცეს ფულადი გასამრჯელო თვითეულს ათასი მანეთის რაოდენობით შემდეგ პოეტებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ჰიმნის ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნაში: ა. აბაშელს, ი. აბაშიძეს, გ. აბაშიძეს, ი. გრიშაშვილს, გ. ლეონიძეს, ა. მაშაშვილს, ი. მოსაშვილს, გ. ტაბიძესა და ს. ჩიქოვანს.

მიეცეს ფულადი გასამრჯელო თვითეულს ხუთასი მანეთის რაო-

დენობით საბჭოთა კავშირის ჰიმნის ქართული თარგმანის მონაწილე შემდეგ პირებს, რომელთაც კომისიას წარუდგინეს თავიანთი თარგმანი: დ. გაჩეჩილაძეს, გ. გაჩეჩილაძეს, ს. ეულს, გ. ლორთქიფანიძეს, შ. ნუცუბიძეს, ს. ფაშალიშვილს, ვ. დარჩიას, მ. სტურუას, დ. ქურიძესა და კეცბას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. ციმაკურიძეს სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდის ანგარიშში მისცეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 13.500 მანეთი იმ პირთა გასასტუმრებლად, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ჰიმნის ქართულად თარგმნაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივლისი.

საბჭოთა კავშირის ჰიმნის ქართული
თარგმანი. დამტკიცებულია საქართველოს
სსრ სახკომსაბჭოს მიერ

საბჭოთა კავშირის ჰიმნი

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.
გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს
დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!
დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
მაშ დროშა საბჭოთა, მაშ დროშა სახალხო
კვლავ გამარჯვებისკენ გვიძღოდეს ჩვენ!
შუქს გრიგალში გვფენდა მზე თავისუფლების,
და ლენინი დიდი გვინათებდა გზას.
გავუზრდიეართ სტალინს ერთგულებად ქვეყნის,
რომ გმირობით, შრომით ვემსახუროთ ხალხს.
დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთ ბედნიერების ბურჯი ხარ შენ!
მაშ დროშა საბჭოთა, მაშ დროშა სახალხო
კვლავ გამარჯვებისკენ გვიძღოდეს ჩვენ!
ჩვენ ბრძოლებში ვზრდიდით ჩვენს უძლეველ ლაშქარს,
მტერს შევმუსრავთ, ვერაგს, ცეცხლითა და ხმლით!
ჩვენ მოდგმათა სვებედს დიდ ბრძოლებში ვეჭიდავთ
და წავიყვანთ მამულს წინ დიდების გზით!
დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთ დიდებისა ბურჯი ხარ შენ!
მაშ დროშა საბჭოთა, მაშ დროშა სახალხო
კვლავ გამარჯვებისკენ გვიძღოდეს ჩვენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 783

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადების გეგმის შესახებ

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 30 ივნისის № 793 დადგენილება „სახელმწიფოსათვის 1944 წლის მოსავლის თამბაქოსა და წეკოს სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს 1944 წლის III კვარტალში 2000 ტონა თამბაქოს ნედლეულის ვადამდე დამზადების დავალების შემდეგი განაწილება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის:

	ტონობით
აფხაზეთის ასსრ	1000
აჭარის ასსრ	100
ლაგოდეხის რაიონი	600
სიღნაღის „	20
ყვარლის „	10
ბორჩალოს „	250
ბოლნისის „	20

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, მეთამბაქოობის რაიონების რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების საოლქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) უზრუნველჰყონ 1944 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადების გეგმის უცილობელი შესრულება იმ ანგარიშით, რომ

ჩაბარება ივლისში შეადგენდეს დავალების სულ ცოტა 5%-ს და აგვისტოში—30%-ს მაინც;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განუმარტონ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეთა კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომ, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 30 ივნისის დადგენილების თანახმად, მათ ნება ეძლევათ, სახელმწიფოსათვის თამბაქოს სავალდებულო ჩაბარების შესრულების შემდეგ, ჩააბარონ თამბაქო მარცვლის, ხორცის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების შესრულების ანგარიშში მარცვლისათვის დაწესებული შეცვლის ეკვივალენტით შემდეგი ანგარიშით:

10 კილოგრამი ყვითელი თამბაქო III ხარისხისა, დამუშავებული 5.113 სტანდარტით ან 10 კილოგრამი II ხარისხისა, დამუშავებული 5.112 სტანდარტით,—50 კილოგრამი მარცვლისათვის;

10 კილოგრამი სასიგარე თამბაქო III ხარისხისა—25 კილოგრამი მარცვლისათვის სხვა ხარისხებზე გადაანგარიშებით მათი ღირებულების შესაბამისად.

გ) ურჩიონ კოლმეურნეობებს: მისცენ იმ კოლმეურნეებს, რომლებიც შეასრულებენ თამბაქოს მოსავლიანობის გეგმას, 20% მარცვალი ან სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მარცვლის ჩაბარების ანგარიშში გარდამეტი თამბაქოს ჩაბარებით ჩათვლილი რაოდენობის დაწესებული ეკვივალენტით.

3. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ჩამოაწეროს კოლმეურნეობებს, კოლმეურნეთა კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის 1942 და 1943 წლების მოსავლის თამბაქოს ჩაბარებით მათზე რიცხული მთელი დავალიანება.

4. აეკრძალოს თამბაქოს გაყიდვა როგორც ფურცლად, ისე დაჭრილი სახით კოლმეურნეობებს, კოლმეურნეთა კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს საერთოდ მთელ საქართველოს სსრ-ში თამბაქოს სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესრულებამდე.

დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს მილიციის დარგში—ამხ. ნაჭყებიას დაწესოს სასტიკი კონტროლი და ის პირნი, რომელნიც შემჩნეული იქნებიან თამბაქოს გაყიდვა-გადაყიდვაში, მისცეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

5. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმს (ამხ. ნარსიას) უზრუნველჰყოს სარეცხი საპნის სახელმწიფო საცალო ფასებში მიყიდვა თამბაქოს მოვლა-აღების სამუშაოებში ჩაბმულ კოლმეურნეთათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს — ამხ. გიორგაძეს და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას 10 დღის განმავლობაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს შეთამშაქოობის რაიონებში საპნის შეზიდვის გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ძ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 14 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 784

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ევკალიპტის თესლის თესვის 1944 წლის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დადგენილ იქნას ევკალიპტის თესლის თესვის 1944 წლის გეგმა 94 კილოგრამის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონებსა და სექტორებს შორის, დანართის თანახმად.

2. განსაზღვრულ იქნას სტანდარტული ნერგების გამოსავალი ერთ კილოგრამ თესლზე 10.000 ცალი.

3. დადგენილ იქნას სამუშაოთა ჩატარების შემდეგი ვადები:

ა) ევკალიპტის თესლის თესვა დაიწყოს 20 ივლისიდან და დამთავრდეს ცივ სათბურებში 15 სექტემბრამდე და ორანჟერიებში—15 ნოემბრამდე;

ბ) ევკალიპტის ნათესართა ჯგუფთა ჩატარდეს ცივ სათბურებში 1 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე;

გ) ევკალიპტის ნერგების ხავსში შეხვევა დამთავრდეს ცივ სათბურებში 1944 წლის 1 დეკემბრამდე;

დ) სტანდარტული ნერგების გამოშვება (სიმაღლე—არანაკლებ 20—25 სანტიმეტრისა) წარმოებულ იქნას 1 აპრილიდან 1 მაისამდე.

4. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს და ევკალიპტის გაშენების რაიონების რაიალმასკომებს, საქართველოს სსრ მიწსახკომს, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, ლიმონტრესტის, საქხილკონსერვტრესტისა და საქეთერზეთის ტრესტის დირექტორებს:

ა) ხუთი დღის განმავლობაში დაიყვანონ ცალკეულ კოლმეურნეობებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე, სატყეო მეურნეობებამდე და

ორგანიზაციებამდე, ევკალიპტის ნერგების თესვისა და გამოყვანის გეგმა 1945 წლის საგაზაფხულო დარგვისათვის;

ბ) უზრუნველჰყონ სასათბურო მეურნეობა ნერგების გამოყვანისათვის საჭირო მასალებით (სილით, ნაკელით, ბაღის მიწით, ხავსით, შესაწამლი მასალებით, სასხურებელი აპარატურით, ჩელტებით, მინით, საგოზავით, ლურსმნითა და სხვ.) იმ ანგარიშით, რომ საავსებით მომზადებულ იქნას სათბურები თესლის სათესად 20 ივლისამდე, საჯგუთად—პირველ აგვისტომდე და ნერგების ხავსში შესახვევად 1 სექტემბრამდე;

გ) 1 დეკადის განმავლობაში გაიტანონ ევკალიპტის თესლი საქართველოს სსრ მიწსახკომის ჩაქვის სათესლე კანტორიდან;

დ) ევკალიპტის თესლის თესვამდე და ნათესართა ჯგუთვამდე ჩაატარონ სათბურებისა და ორანჟერიების დეზინფექცია; სავალდებულო წესით გაატარონ ღონისძიებანი ნათესების მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლისა, ნერგების ჯგუთვისა და ხავსში შეხვევისათვის;

ე) მოაწყონ ევკალიპტის ნათესების, ნაჯგუთი და ხავსში შეხვეული ნერგების სისტემატური და ყოველდღიური გულმოდგინე მოვლა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს მისცეს რაიონებსა და ორგანიზაციებს ევკალიპტის შემოწმებული და ხარისხული თესლი

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **ა. ჩარკვიანი.**

1944 წლის 14 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევკალიპტის თესლის თესვის 1944 წლის გეგმა

(კილოგრამობით)

	კოლმეურნეობანი	საქ. ჩაის საბჭოთა მეურნ. ტრესტის საბჭ. მეურნეობები	ლიმანტრესტის საბჭ. მეურნეობები	საქკონსერვბილიტრესტის საბჭ. მეურნეობები	საქმეურნეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობები	სტალინის მრეწველობის სახ. კომისარიატის საწყო მეურნეობანი	ს უ ლ
1. აფხაზეთის ასსრ	15	1,6	—	1,0	0,4	—	18,0
2. აჭარის ასსრ	10	2	2	—	—	10,0	24,0
3. მახარაძის რაიონი	2	1	—	—	—	—	3,0
4. ლანჩხუთის „	2	—	—	—	—	—	2,0
5. ცხაკაიას „	4	—	—	—	—	—	4,0
6. ფოთის „	8	—	—	2,0	—	—	10,0
7. ზუგდიდის „	5	1,3	—	—	—	—	6,3
8. ხობის „	5	—	—	—	—	20,0	25,0
9. გეგეჭკორის „	—	0,7	—	—	—	—	0,7
10. წალენჯიხის „	—	0,5	—	—	—	—	0,5
11. ჩხოროწყუს „	—	0,5	—	—	—	—	0,5
ს უ ლ	51	7,6	2,0	3,0	0,4	30,0	94,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 785

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ზუგდიდის ჩაისსაწნეხი ფაბრიკისათვის საწნეხი ფორმების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

250 კომპლექტი ჩაისსაწნეხი ფორმის მიმდინარე წლის დამლევამდე დამზადების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს თბილისის ცენტროლიტის ქარხნის დირექტორს ამხ. სიხარულიძეს:

ა) ჩააბაროს კალინინის სახელობის ქარხანას საწნეხი ფორმების კოლოფებისა და ნეგატივების ფოლადის სხმული კომისიის მიერ გამომუშავებული ტექნიკური პირობების მტკიცე შესაბამისობითა და შემდეგ ვადებში:

20 ივლისისათვის	60	კომპლექტი
1 აგვისტოსათვის . . .	100	„
10 აგვისტოსათვის . . .	100	„

ბ) 5 დღის განმავლობაში შეარჩიოს, კალინინის სახელობის, კროვის სახელობის, 26 კომისრის სახელობისა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნების წარმომადგენლებთან ერთად, ქარხანაში არსებული საწნეხი ფორმების დამზადებული კოლოფები და მოამზადოს ისინი შემდგომი მექანიკური დამუშავებისათვის.

2. დაევალოს კროვის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. სარიშვილს მიიღოს კალინინის სახელობის ქარხნისაგან საწნეხი ფორმების კოლოფთა სხმული მათი გარეგანი მექანიკური დამუშავებისათვის ყოველთვიურად 80 ცალი მაინც, იმ ანგარიშით, რომ მთელი მუშაობა დამთავრებულ იქნას 1944 წლის 1 ოქტომბრამდე.

3. საწნეხი ფორმების კოლოფთა შინაგანი დამუშავება (ამოტეხა) დაეკისროს: კალინინის სახელობის ქარხანას (ამხ. მეშველიანს) თვეში არანაკლებ 12 ცალისა და ელმავალთა დეპოს (ამხ. სიხარულიძეს)—თვეში არანაკლებ 40 ცალისა, იმ ანგარიშით, რომ მთელი რაოდენობის ფორმების დამუშავება დამთავრდეს 1944 წლის 30 დეკემბრამდე.

4. ფორმების ნეგატივების (სახურავებისა და ძროების) მექანიკური დამუშავება დაეკისროს 26 კომისრის სახელობის ქარხანას (ამხ. მელაძეს), ხოლო თამასების დამზადება და საწნეხი ფორმების კოლოფების აწყობა—კალინინის სახელობის ქარხანას (ამხ. მეშველიანს).

5. თბილისის საელმავლო დეპოს სატეხი დაზგის სადღეღამისო გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოს ამხ. მელაძეს, მეშველიანსა და სარჯველაძეს მიამაგრონ საელმავლო დეპოს საწნეხი ფორმების დამუშავების პერიოდისათვის: 26 კომისრის სახელობის ქარხნიდან—ერთი ხარატი, კალინინის სახელობის ქარხნიდან—ერთი მრანდავი და საქართველოს ჩაის ტრესტიდან—ორი ზეინკალ-მრანდავი.

6. დაევალოს საქართველოს ჩაის ტრესტის დირექტორს ამხ. სარჯველაძეს:

ა) უზრუნველჰყოს საელმავლო დეპო და 26 კომისრის სახელობის ქარხანა საწნეხი ფორმების საჭირო ნახაზებით;

ბ) გადასცეს თბილისის საელმავლო დეპოს 12 სიგრძ. მეტრი გარეზინებული ღვედი, სიგანით 80—100 მმ.

7. დაევალოს „ცენტროლიტის“ დირექტორს ამხ. სიხარულიძეს ჩამოასხას მიმდინარე წლის 25 ივლისამდე საწნეხი ფორმების 10 ცალი კოლოფი საფოლადე თუჯისაგან და გადასცეს საქართველოს ჩაის ტრესტს მექანიკური დამუშავებისა და გამოცდისათვის.

დაევალოს საქართველოს ჩაის ტრესტის დირექტორს ამხ. სარჯველაძეს 1944 წლის დამლევამდე ჩაატაროს საფოლადე თუჯისაგან დამზადებული საწნეხი ფორმების საწარმოო გამოცდა და გამოცდის შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

8. დაევალოს:

ა) ხრამჰესმშენის უფროსს ამხ. ჩანკოტაძეს 3 დღის განმავლობაში მისცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს მშენებლობის ბაზებში არსებულ მარაგიდან 15 ცალი „რე-15“ მარკის პობედიტის ფირფიტა;

ბ) საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. რთველაძეს მისცეს ქარხანა „ცენტროლიტს“ 100 კილოგრამი კარბიდი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) „გლავმეტალოსბიტის“ თბილისის კანტორას—ამხ. მემარნეშვილს მისცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის III კვარტალის ფონდების ანგარიშში 70 კილოგრამი სწრაფმჭრელი ფოლადი;

დ) „გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორას—ამხ. რუსიას მისცეს ქარხანა „ცენტროლიტს“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს III კვარტალის ფონდების ანგარიშში 200 კილოგრამი კარბიდი;

ე) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. კეცხოველს უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი 1944 წლის განმავლობაში თანაბარი პარტიებით საჭირო რაოდენობის პობედიტით და ქარხანა „ცენტროლიტი“ მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე—80 ბალონი ჟანგბადით.

9. პასუხისმგებლობა ამ დადგენილების შესრულებისათვის საწნეხი ფორმების თავის დროზე დამზადების ნაწილში დაეკისროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, ხოლო სისტემატური თვალყურისდევნება საწნეხი ფორმების დამზადების მიმდინარეობისათვის—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. კეცხოველს.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **ძ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 14 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 786

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1944 წლის 17 ივნისს „სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ ლიანდაგებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დაჩქარებისა და ვაგონების გაცდენის შემცირების შესახებ“ მიღებული № 6057-ს დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სამრეწველო საწარმოთა და გზათა სახალხო კომისარიატის ორგანიზაციათა მისასვლელ ლიანდაგებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს, რის შედეგადაც ადგილი აქვს ვაგონების გაცდენას დაწესებული ნორმის ზევით.

1944 წლის 6 თვის განმავლობაში „ზაგოტზერნოს“ ფოთის ბაზის მისასვლელ და სასაწყობო ლიანდაგებზე გაცდა 727 ვაგონი 32633 საათს, ფოთის წისქვილკომბინატის ლიანდაგებზე — 257 ვაგონი 2234 საათს, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ლიანდაგებზე — 147 ვაგონი 1520 საათს, ხოლო 1944 წლის 2 თვის განმავლობაში (აპრილი—მაისი) კასპის ცემენტის ქარხანამ გააცდინა 1202 ვაგონი 7713 საათს ნორმის ზევით.

დაწესებული ნორმების ზევით ვაგონების გაცდენას ადგილი აქვს აგრეთვე ტყვარჩელქვანახშირის, ტყიბულქვანახშირის, ჭიათურის მარგანეცის, „ზაგოტზერნოს“ თბილისისა და ნავთლუღის ბაზების, „მიასომოლსბიტის“, „გლავსახარის“, „გლავრასჟირმასლოს“, მარგარინის ქარხნის, მეტალურგმშენისა და სხვ. მისასვლელ ლიანდაგებზე.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1944 წლის 17 ივნისს „სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ ლიანდაგებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დაჩქარებისა და ვაგონების გაცდე-

ნის შემცირების შესახებ“ მიღებული № 6057-ს დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს, უწყებათა ხელმძღვანელებს და შემდეგ საწარმოთა დირექტორებს: „ზაგოტ-ზერნოს“—ამხ. სიხარულიძეს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს—ამხ. ბუაჩიძეს, ტყვარჩელქვანახშირის—ამხ. დათუაშვილს, ტყიბულქვანახშირის—ამხ. ვარდიშვილს, ჭიათურის მარგანეცის—ამხ. ანჯღულაძეს, ნავთლუღის წისქვილკომბინატის—ამხ. მინდიაშვილს, ფოთის წისქვილკომბინატის ამხ. მხატვრიშვილს, ლიტოპონის ქარხნის—ამხ. სურმავას, სამტრესტის—ამხ. აზარაშვილს, ფოთის სავაჭრო ნავსადგურის—ამხ. რეკვავას, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის—ამხ. ჭიჭინაძეს, გზათა სახალხო კომისარიატის მუშათა მომარაგების მთავარ სამმართველოს თბილისის განყოფილების—ამხ. ავეტისოვს, № 31 ქარხნის—ამხ. სალაძეს, კასპის ცემენტის ქარხნის—ამხ. სავინსკის, აგარის შაქრის ქარხნის—ამხ. ხოფერიას, „მეტალურგმშენის“—ამხ. ვოლინსკის, „ნეფტესპიტის“ საქართველოს კანტორის—ამხ. ჯორჯიკიას, საქნავთის—ამხ. აბესაძეს, „გლავნეფტეესნაბის“ ბათუმის კანტორის—ამხ. ნიკოგოსიანს, „გლავხიმსპიტის“—ამხ. რუსიას, „გლავსახარის“—ამხ. კირშტეინს, „ძიასომოლსპიტის“—ამხ. ადამაშვილს, „გლავრასყირმასლოს“—ამხ. ეგიაზაროვს, მარგარინის ქარხნის—ამხ. საა-კიანს:

ა) მათი პირადი პასუხისმგებლობით მიიღონ ოპერატიული ზომები დატვირთვისა და გადმოტვირთვის გასაუმჯობესებლად, უზრუნველჰყონ 1944 წლის ივლისში გადამწყვეტი გარდატეხა ვაგონების გაცდენის შემცირების საქმეში და არ დაუშვან შემდეგში ვაგონების გაცდენა სატვირთო ოპერაციების დროს დაწესებულ ნორმაზე ზევით;

ბ) შეიმუშაონ ღონისძიებანი დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დაჩქარებისა და ვაგონების გაცდენის შემცირებისათვის;

გ) მოაწყონ დატვირთვა-გადმოტვირთვის მოედნებზე მუშაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ღამით ვაგონების დატვირთვა გადმოტვირთვის სადღეღამისო დავალების 50%-ის შესრულება.

დ) მიიღონ ზომები დასატვირთავი მექანიზმების მოსაყვანად ვარგის მდგომარეობაში და აკრძალონ მექანიზმების გადასროლა ისეთ სხვა სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის ტვირთის დატვირთვასა და ვაგონებიდან გადმოტვირთვასთან;

ე) 1 ოქტომბრამდე მოიყვანონ წესრიგში მისასვლელი ლიანდაგები და უზრუნველჰყონ შემდეგში მათი ნორმალური შენახვა;

ვ) 1944 წლის 1 სექტემბრიდან ჩაატარონ საპირო ღონისძიებანი სატრანსპორტო საამქროების მოსამზადებლად ზამთრისათვის, ამასთან უზრუნველჰყონ დატვირთვა-გადმოტვირთვის ფრონტები საჭირო განათებით;

ზ) სამრეწველო საწარმოთა სატრანსპორტო საამქროების კადრების განმტკიცების მიზნით, შეარჩიონ და გაგზავნონ სატრანსპორტო საამქროების მუშაკები ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

დაწესდეს, რომ კურსების დამთავრების შემდეგ მუშაკები დაბრუნებული იქნებიან იმ საწარმოებში, საიდანაც ისინი მივლინებული იყვნენ კურსებზე.

2. ავკრძალოს საწარმოთა დირექტორებს, ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს საწარმოთა სატრანსპორტო საამქროების მტვირთავებისა და სხვა მუშაკების მობილიზაცია, აგრეთვე მათი გადასროლა ისეთს სხვა სამუშაოებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვასთან.

3. დაეკალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ახმ. კიკნაძეს უზრუნველჰყოს ვაგონების თანაბრად მიწოდება დასატვირთავად და გადმოსატვირთავად. მათი თავის დროზე გაყვანა საწარმოთა მისასვლელი ლიანდაგებიდან და 14 საათის განმავლობაში მაინც აცნობოს საწარმოებს მათი ტვირთისა და ცარიელი ვაგონების მოსვლა.

4. დაეკალოს საქენერგოს—ამხ. დევიძეს უზრუნველჰყოს ელექტროენერგიის შეუფერხებლივ მიწოდება „ზაგოტზერნოსა“ და იმ სხვა საწარმოების დატვირთვა-გადმოტვირთვის მოედნებზე, რომლებიც ღამით მუშაობენ, აგრეთვე მექანიკურად აწარმოებენ ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვას.

5. დაეკალოს საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებს სისტემატურად გაუწიონ კონტროლი საწარმოთა და რკინიგზის სადგურების მუშაობას ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის ორგანიზაციის საქმეში და ტვირთის მასობრივი დაგროვების შემთხვევებში აღმოუჩინონ მათ დახმარება მუშახელით.

6. ეცნობოს სატრანსპორტო საამქროების ყველა მუშაკს, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა თავისი 1944 წლის 17 ივნისის № 6057-ს დადგენილებით დააწესა საწარმოთა სატრანსპორტო საამქროებისათვის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 15 გარდამავალი წითელი დროშა პრემიებით, რაც გაიცემა ჩამოყენებული ვაგონების თავის დროზე გადმოტვირთვის უზრუნველყოფისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატვირთვის გეგმის შესრულებისა და სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების გაცდენის ნორმების შესრულებისათვის.

სამრეწველო საწარმოთა სატრანსპორტო საამქროებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დროშებს მიანიჭებს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო გზათა სახალხო კომისარიატისა და სათანადო სახალხო კომისარიატების წარდგენით.

7. დაისვას საკითხი ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის არმიის გენერალ ამხ. ტიულენევის და შავი ზღვის ფლოტის სარდლის ადმირალ ამხ. ოქტიაბრსკის წინაშე, რათა საჭირო მითითებანი მისცენ სამხედრო ნაწილებსა და შავი ზღვის ფლოტის ნაწილებს დააჩქარონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები და შეამცირონ იმ ვაგონების გაცდენა, რომლებიც სათანადო სამხედრო ნაწილების სახელზე მოდის.

8. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო პროკურორს ამხ. ლომიძეს და სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს ამხ. ბოკუჩავას სამართალში მისცენ საწარმოთა ის ხელმძღვანელები, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების გაცდენაში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა თანამდებობა უჭირავთ მათ.

9. იმასთან დაკავშირებით, რომ „ირანსოვტრანსის“ კანტორები ამიერკავკასიის რკინიგზაზე გზავნიან ისეთ ტვირთებს, რომლებიც თავიანთი ხასიათით არ შეესაბამებიან ტვირთის მიმღების საქონლის ნომენკლატურას, რაც ვაგონების იძულებითს გაცდენას იწვევს, ეთხოვოს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. მიქოიახს მისცეს მითითება „ირანსოვტრანსის“ კანტორებს თავრიზსა, ჯულფასა, ასტარასა და ბაქოში ტვირთის გამოგზავნის საქმის მოწესრიგების შესახებ.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 14 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 787

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წელს ტუნგოს ნერგის ოკულირების გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში ფორდიის სახის ტუნგოს ნერგის ოკულირების გეგმა 20.000 ცალის რაოდენობით.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს:

ა) ერთი დეკადის ვადაში დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე ფორდიის სახის ტუნგოს ოკულირების გეგმა;

ბ) მოაწყონ ტუნგოს დაჯგუთული სათესარების მოვლა, რათა მომზადებულ იქნას ისინი ოკულირებისათვის, ამასთან უზრუნველჰყონ სანერგის ნიადაგის შენახვა გაფხვიერებულ და სარეველებისაგან გაწმენდილ მდგომარეობაში, აგრეთვე აზოტის სასუქის შეტანა და ნაკელის წუნწუხით მორწყვა;

გ) ტუნგოს სათესარების ოკულირება დაიწყონ 25 აგვისტოს და დაამთავრონ არაუგვიანეს 25 სექტემბრისა;

დ) ტუნგოს ნერგის ოკულირებისათვის საჭირო კალმები დაამზადონ მხოლოდდამხოლოდ ტენიანი სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სასელექციო სადგურის აპრობირებული სადედეებიდან;

ე) მიამაგრონ ტუნგოს ყოველ სანერგეს აგრონომი ან აგროტექნიკოსი, რომელიც იცნობს ტუნგოს ნერგის ოკულირების საქმეს, ამასთან დააკისრონ მას პასუხისმგებლობა ტუნგოს ნერგის მოვლის სამუშაოების ხარისხოვნად შესრულებისა და ოკულირების ჩატარებისათვის;

ვ) ტუნგოს ნერგის ოკულირება აწარმოონ, როგორც წესი, ტუნგოს სამყნობი სპეციალური დანებით;

ზ) ტუნგოს ნერგის მოვლის, ოკულირებისა და ოკულანტთა საზამთრო მოვლის მთელი ღონისძიებანი გაატარონ საქართველოს სსრ მიწსახკომის ინსტრუქციის მტკიცე შესაბამისობით;

თ) მოაწყონ ტენიანი სუბტროპიკული კულტურების სრულიადსაკავშირო სასელექციო სადგურთან 10-დღიანი კურსები და მოამზადონ 15 მყნობელი.

3. დაევალოს ტენიანი სუბტროპიკული კულტურების სრულიადსაკავშირო სასელექციო სადგურს (ამხ. კონსტანტინოვს):

ა) უზრუნველჰყოს ტუნგოს ხარისხოვანი კალმების დროულად გაცემა სადედე ხეებიდან;

ბ) გამოჰყოს სპეციალისტი სადგურთან მოწყობილ მყნობელთა კურსებზე გაგზავნილ კოლმეურნეთა სასწავლებლად და უზრუნველჰყოს მათი ხარისხოვანი მომზადება;

გ) ყოველგვარი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს ტუნგოს ნერგის ოკულირების ხარისხოვნად ჩატარების საქმეში.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს მისცეს აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებს ტუნგოს ნერგის ოკულირებისათვის 10 კილოგრამი რაფია.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 14 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 791

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმდეს, როგორც უმართებულო, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ახალციხის დაცურების მეურნეობის მიერ ახალციხის გარნიზონის საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილისათვის 789 კუბ. მეტრი ხე-ტყის ჩაბარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაკაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 792

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მუსიკალური სასწავლებლებისა და სკოლების ახალგაზრდა შემსრულებელ მოსწავლეთა სრულიად-საკავშირო დათვალიერების ჩასატარებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოსათვის სახსრების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუსიკალური სასწავლებლებისა და სკოლების ახალგაზრდა შემსრულებელ მოსწავლეთა სრულიად-საკავშირო დათვალიერების ჩასატარებლად საჭირო ხარჯების დასაფარავად 50 ათასი მანეთი 1944 წლის ბიუჯეტით განათლებისათვის გაღებულ იმ ასიგნობათა ხარჯზე, რაც გამოყენებული არ არის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 19 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 793

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ იმ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის გამოყენების თაობაზე, რომლებიც სეისმურ რაიონებში შენდება ომიანობის დროის პირობებში

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ 1943 წ. 28 ივლისს დამტკიცებული № ი-82—43 „ინსტრუქცია იმ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ, რომლებიც სეისმურ რაიონებში შენდება ომიანობის დროის პირობებში“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ყველა აღმასკომს, აგრეთვე საპროექტო ორგანიზაციების (საქსახპროექტის, საქკომუნპროექტის, საქკვებპროექტის, თბილქალაქპროექტის და სხვ.) ხელმძღვანელებს:

ა) ერთი თვის განმავლობაში გადასინჯონ ყველა დაწყებულ და დასაწყებ მშენებლობათა პროექტები იმ მხრივ, რომ შეტანილ იქნას საჭირო გამარტივებანი მათს კონსტრუქციებში, თანახმად ზემოაღნიშნული ინსტრუქციისა;

ბ) შემდეგში, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტების შედგენისას, მტკიცედ დაიცვან სსრ კავშირის მშენებლობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია იმ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ, რომლებიც სეისმურ რაიონებში შენდება ომიანობის დროის პირობებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ანტისეისმური მშენებლობის რესპუბლიკურ ბიუროს მიმ-დინარე წლის 15 აგვისტოსათვის დაამთავროს გამოცემა სსრ კავ-შირის მშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ 1943 წლის 28 ივლისს დამტკიცებული № ი-82—43 „ინსტრუქციისა იმ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ, რომლე-ბიც სეისმურ რაიონებში შენდება ომიანობის დროის პირობებში“, და უზრუნველჰყოს ამ ინსტრუქციის დაგზავნა საპროექტო ორგანი-ზაციებისა და მშენებლობებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 794

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში 1944 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 12.800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნაცვლად 1-ლ ივლისისათვის ითვლება 12.291 სული ანუ გეგმის 96%; აქედან ძროხა და ფურკამეჩი—89,2 და მუშაპირუტყვი—93%. 1944 წლის 1 იანვართან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა შემცირებულია 370 სულით.

1944 წლის გეგმით გათვალისწინებულ 8.700 სული ცხვრისა და თხის ნაცვლად მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის ირიცხება 9831 სული ანუ გეგმის 113%.

ცხენი 1944 წლის 1 ივლისისათვის 120 სულის ნაცვლად შეადგენს 124 სულს ანუ გეგმის 103,3%-ით.

მეღორეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება უდრის 98,7% აქედან დედაღორისა—96%.

ფრინველი არის 2203 ფრთა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 ფრთისა ანუ გეგმის 88,1%.

მეფუტკრეობის განვითარების გეგმა შესრულებულია 76,5%-ით, სრულიად მოუგვარებელია მეფუტკრეობის პროდუქციის აღრიცხვისა და გამოყენების საქმე.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა პირუტყვის ნამატის მიღებისა და შენარჩუნების საქმეში. 1944 წლის 1 ივლისისათვის 1150 ძროხიდან მიღებული და შენარჩუნებულია მხოლოდ 553 ხბო ანუ 48%, 4426 დედაცხვრიდან და თხიდან—3593 ბატკანი და ცი-

ჭანი ანუ 81,2%, 235 დედაღორიდან მიღებულია 652 გოჯი ანუ ყოველ ერთ დედაღორზე—2,7 გოჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყურადღებოდ არის მიტოვებული პირუტყვის დაგრილების საქმე. 1944 წლის 1 ივნისისათვის ძროხები დაგრილებულია მხოლოდ 17,7%-ით.

ძალზე დაბალია ძროხების წველადობა. ერთ საფურაქე ძროხიდან მიღებულია ა/წ 1-ლ ივლისისათვის 69 ლიტრი რძე; მთელ რიგ კოლმეურნეობებში წველადობა ამაზე უფრო დაბალია და არ აღემატება 0,4 – 1 ლიტრს დღეში.

არაა შესრულებული მატყლის საშუალო გამოსავლის გეგმა; 1943 წელს ერთ სულ ცხვარზე მიღებულია 2 კგ მატყლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,5 კილოგრამისა. ერთ დედალზე მიღებულია 23 კვერცხი, ნაცვლად 70 ცალისა.

მეცხოველეობის პროდუქტების მეტად დაბალი გამოსავლიანობის შედეგად, რაიონის 108 კოლმეურნეობიდან მეცხოველეობის პროდუქცია გაანაწილა მხოლოდ 53 კოლმეურნეობამ და ისიც მცირე რაოდენობით. ამავე დროს შემოწმებულ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმებს მეტწილად ასრულებდნენ შესყიდვით, რაზედაც დახარჯულია შრომადღეებზე გასაცემი თანხების დიდი რაოდენობა.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგში დედაპირუტყვის სულადობა არ აღემატება 9,1%, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობაში იგი ამაზე უფრო დაბალია, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან შეუსრულებელია დედაპირუტყვის მინიმუმი 96 კოლმეურნეობაში, დედაღორისა—83 კოლმეურნეობაში, ხოლო დედაცხვრისა და თხისა—94 კოლმეურნეობაში.

მოუწესრიგებელია ჯიშიანი მწარმოებლებით დედაპირუტყვის დაგრილება და მეტისური ნამატის აღრიცხვა.

8029 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი არ არის უზრუნველყოფილი განსაზოგადოებული ბინებით, ხოლო არსებული ბინების საგრძნობ რაოდენობას ესაჭიროება მიმდინარე შეკეთება.

კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის მომრავლებასა და კოლმეურნეების უძროხობის ლიკვიდაციას არ ექცევა სათანადო ყურადღება. 1944 წლის 1-ლ იანვრისათვის 7110 საკოლმეურნეო კომლიდან არ ყავდა ძროხა 2924 კომლს.

წლითიწლობით არ სრულდება საკვების დაგროვების გეგმები.

1943 წელს უხეში საკვების დაგროვების გეგმა შესრულდა 65,7%. და წვნიანი საკვებისა — 78,2%. უხეშ საკვებში ძალზე უმნიშვნელოა თივის ხვედრითი წონა, რაც 1943 წელს შეადგენდა 5,9%. ამასთან ერთად ადგილი აქვს სილოსის უხარისხოდ ჩადებას, მის ჩალპობისა და გამოუყენებლობის ფაქტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის არც ერთ კოლმეურნეობების ფერმას არ აქვს მოწყობილი საკვები კულტურების ნათესები; არ ექცევა ყურადღება საკვები ბალახებისა და ძირხვენის კულტურების მეთესლეობის საკუთარი ბაზის შექმნას, რის შედეგადაც წლითიწლობით მცირდება ერთწლიანი, მრავალწლიანი და ძირხვენების ფართობები; ამავე დროს სრულიად მოუწესრიგებელია მრავალწლიანი ნათესი ბალახების მოსავლიანი და უმოსავლო ფართობების აღრიცხვა.

ხაშურის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ცალკეულ ბრიგადებში ადგილი აქვს ანტისაკოლმეურნეო მოქმედების ფაქტებს. მაგალითად, სოფ. ნაბახტრევი-პირველის წითელი დროშის სახელობის კოლმეურნეობაში სარეგზიო კომისიის თავმჯდომარე კუპაძემ ამა წლის მაისში გადაცვალა მასზე გაპიროვნებული კოლმეურნეობის მუშახარი 15 ფუთ სიმინდზე; ამავე კოლმეურნეობაში კოლწევრებმა შ. მ. კუპაძემ და გ. გონგლაძემ გაჰყიდეს მათზე გაპიროვნებული კოლმეურნეობის ორი სული მოზვერი; სოფ. ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კოლწევრმა ბალიკო დადეშელმა 1943 წელს თვითნებურად დაჰკლა მასზე გაპიროვნებული ერთი სული მუშახარი. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სოფ. დიდიფლევის წითელი ოქტომბრის და სოფელ პატარა ფლევის დამკვრელის სახელობის კოლმეურნეობებში.

სოფელ ცხრამუხის განთიადის სახელობის კოლმეურნეობაში უხეშად არღვევენ საკოლმეურნეო წესდებას: კოლწევრები სუხიაშვილი და ღონღაძე მათზე გაპიროვნებულ მუშახარებს კოლმეურნეობის გამგეობისა და ბრიგადირის ნებადაურთველად სისტემატურად ამუშავებდნენ პირადი საჭიროებისათვის.

ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია. ფერმის გამგეებსა და მწყემსებს შრომადღეები ეწერებათ არა შესრულებული სამუშაოს მიხედვით, არამედ თვიურად. სრულიად მოუწესრიგებელია მთელ რიგ კოლმეურნეობებში აღრიცხვა-ანგარიშგების საქმე. არ სწარმოებს რძის მიღების, გადამუშავებისა და ხარჯვის აღრიცხვა.

მეცხოველეობაში დაწესებული აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმე-

ბი ხშირად გამოუყენებელია, შრომის დამატებითი ანაზღაურება არ სწარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გელაშვილს და რაიმიწგანის გამგეს ამხ. კუბლაშვილს გადაჭრით გააუმჯობესონ კოლმეურნეობების, ფერმებისა და ბრიგადების ხელმძღვანელობა მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმის სახეებისა და ჯგუფების მიხედვით შესრულების უზრუნველსაყოფად და მიაღწიონ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რისთვისაც გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება, პირუტყვის მოვლა-პატრონობის მდგომარეობა და არ დასტოვონ პირუტყვის დაღუპვისა და განიავების ფაქტები უყურადღებოდ, დამნაშავენი მისცენ პასუხისგებაში, კოლმეურნეობებისათვის მიყენებული ზარალი კი აანაზღაურონ დამნაშავეთა ხარჯზე;

ბ) შეამოწმონ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები, ბრიგადირები, და ის პირნი, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს ხელმძღვანელობა და არ გამოიჩინეს დაინტერესება საკოლმეურნეო მეცხოველეობისადმი, შეცვალონ უნარიანი მუშაკებით;

გ) კატეგორიულად აუკრძალონ კოლმეურნეობის თავმჯდომარეებსა და ფერმის გამგეებს საკოლმეურნეო პირუტყვის დაკვლა, სარემონტო, მუშა და დედაპირუტყვის გადაცვლა და გაყიდვა სათანადო ზოოვეტერინარული კომისიის წუნდაუდებლად და რაიმიწგანის დაუმტკიცებლად, ხოლო დადგენილი წესის დამრღვევნი დასაჯონ;

დ) უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა მიხედვით ახლად ასაგები სასილოსე ორმოების დამთავრება 1944 წლის 20 აგვისტომდე სილოსის ჩადების გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის, რისთვისაც სასილოსე ნათესებთან ერთად ფართოდ გამოიყენონ ველური მცენარეებისა და ბაღჩეულ ბოსტნეული კულტურების ნარჩენები;

ე) მიაღწიონ თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით უხეში საკვების დაგროვების 1944 წლის გეგმის შესრულებას, რისთვისაც მოაწესრიგონ ბუნებრივი სათიბების, ნათესი ბალახების მოთიბვა, ჩალის მოჭრა მთელს ფართობზე, პირუტყვის საზამთრო სადგომებ-

თან მიზიდვა-დაზვინვა და ნამჯის დაგროვება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჟომის მთლიანად გამოყენებას ცალკეულ კოლმეურნეობებში და მიაღწიონ ყველა კოლმეურნეობაში ჟომისათვის საჭირო ორმოების მოწყობას.

დააწესონ კონტროლი საკვების ხარჯვაზე და არ დაუშვან მისი გაფუჭება-განიავება;

ვ) დაიზუსტონ გასული წლების ნათესი მრავალწლიანი ბალახების რაოდენობა ადგილებზე შემოწმებითა და აქტების შედგენით, გამოარკვიონ მოსავლიანი და უმოსავლო ფართობები;

ზ) ნათესი ბალახების მოსავლიანობის ზრდის მიზნით გასწმინდონ ისინი სარეველებისაგან, აკრძალონ პირუტყვის ძოვება სათიბ და ნათესი ბალახების ფართობებზე;

თ) ყურადღება მიაქციონ საკვები ბალახებისა და ძირხვენების საკუთარი სათესლე ბაზის შექმნას, რისთვისაც გამოჰყონ სათანადო ნაკვეთები და უზრუნველჰყონ კოლმეურნეობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საკუთარი თესლით;

ი) უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა ფერმებთან ძირხვენების ან მათი შემცვლელი კულტურების თესვა ფერმის მუშაკთა ძალებით, განუმარტონ მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 14 ივნისის დადგენილება მიღებული მოსავლის გამოყენების წესის შესახებ;

კ) განიხილონ და დაამტკიცონ რაიაღმასკომის სხდომაზე ღონისძიებანი მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმებთან სასილოსე ორმოების მოსაწყობად და საჭირო რაოდენობის სილოსის დასამზადებლად;

ლ) დაუყოვნებლივ შეამოწმონ თვითეულ კოლმეურნეობაში პირუტყვის დაგრილების მიმდინარეობა და დედაპირუტყვის გაბერწების მიზეზები და შედეგები მოისმინონ რაიაღმასკომის სხდომაზე; განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ დედაპირუტყვის მთელი სულადობის დაგრილებასა და გაბერწების ლიკვიდაციას;

მ) მოაგვარონ მეცხოველეობიდან მიღებული პროდუქტების გადამუშავებისა და გამოყენების ზუსტი აღრიცხვა, სისტემატურად შეამოწმონ პირუტყვის სულადობის, ნამატის მიღებისა და შენარჩუნების აღრიცხვის მდგომარეობა, შემოიღონ ყველა კოლმეურნეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდეულის გამოზრდის, დედაპირუტყვის დაგრილებისა და მესი
პროდუქტიულობის აღრიცხვის ჟურნალები;

ნ) 1945 წლის დამლევამდე უზრუნველჰყონ საკოლმეურნეო განსაზოგადოებული პირუტყვის მთელი სულადობა საკოლმეურნეო ბინებით;

ო) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესებას, ზოოვეტუბნების სპეციალისტებით დაკომპლექტებას და შეუქმნან ზოოვეტმუშაკებს მუშაობის საჭირო პირობები;

პ) საჭირო ყურადღება მიაქციონ საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის საქმეს და ზუსტად შეასრულონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება შრომის დამატებითი ანაზღაურების წესის განხორციელების შესახებ; ფართოდ გაშალონ სოცშეჯიბრება, მეცხოველეობის ფერმების ბრიგადებსა და მწყემსებს შორის, უზრუნველჰყონ შეჯიბრების პირობათა დაყვანა მეცხოველეობის ცალკეულ მუშაკებამდე, აღმოუჩინონ მათ პრაქტიკული დახმარება სოცშეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში და მოწინავეთა გამოცდილება გადაიტანონ ჩამორჩენილთა შორის;

ჟ) შეისწავლონ ცალკეულ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობის მიზეზები და განახორციელონ ღონისძიებანი პროდუქტიულობის საგრძნობლად გადიდებისათვის, ძროხების წველადობისა და მატყლის ნაპარსის სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად;

რ) აღკვეთონ შემთხვევები, როცა კოლწევრები მათზე გაპიროვნებულ მუშახარებს თვითნებურად ამუშავებენ თავის საჭიროებისათვის და აქირავებენ პირად სარგებლობისათვის;

2. დაევალოს ხაშურის რაიპროკურორს ამხ. პაიჭაძეს დააჩქაროს მუშაპირუტყვის გაყიდვის შესახებ აღძრული საქმის განხილვა.

3. დაევალოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ხოშტარიას:

ა) ვინაიდან ხაშურის რაიონის კოლმეურნეობები განიცდიან

სივიწროვეს საძოვრების მხრივ, ხოლო ბორჯომის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა ხელშეკრულებით აქირავებს ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებს მის მიერ აუთვისებელ საძოვრებს, შეისწავლოს ხაშურისა და ბორჯომის რაიონების საძოვრების მდგომარეობა, და ღონისძიებანი სათიბ-საძოვრების განაწილების შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ორი თვის ვადაში;

ბ) გაითვალისწინოს დამატებით 1945 წლისათვის ხაშურის რაიონის სოფ. ალის საბჭოში ერთი ზოოვეტუბნის მოწყობა;

გ) მისცეს ხაშურის რაიმიწგანს პირუტყვის საკვები ჭარხლის თესლი 160 კილოგრამის რაოდენობით, 1945 წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობებში 10 ჰექტარი სათესლე ფართობის დასათესად.

4. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომსა და რაიმიწგანს გაატარონ საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეთა შორის უძროხობის ლიკვიდაციისათვის.

5. დაევალოს ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გელაშვილს გაგზავნოს ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ბორჯომის სატყეო მეურნეობის განკარგულებაში 20 სავსებით შრომისუნარიანი კაცი ვადით 25 ივლისიდან 1 სექტემბრამდე, ქერქიჭამიით დაზიანებული ხეების მოსაჭრელად.

დაევალოს ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მაქსიმალურად გამოიყენოს ეს მუშები და ქერქიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ მისცეს ხაშურის რაიაღმასკომს დამზადებულ მერქნიდან 600 კუბ. მეტრი ქერქიჭამიით დაზიანებული ხე-ტყე.

6. დაევალოს ამხ. კოჭლამაზაშვილს, მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოსთან ერთად, გამოიმუშაოს ხე-ტყის ხარჯვის ნორმები პირუტყვის ბაკების მშენებლობისათვის და თავისი წინადადებანი ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

7. წინადადება მიეცეს ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გელაშვილს უზრუნველჰყოს რაიაღმასკომთან არსებულ მრეწვკომბინატის საშუალებით საჭირო რაოდენობის სამშენებლო კირისა და კრამიტის დამზადება მეცხოველეობის ბინების შეკეთებისა და მშენებლობის საჭიროებისათვის.

8. წინადადება მიეცეს ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გელაშვილს 1944 წლის 1 ნოემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წერილობითი ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

9. ეს დადგენილება დამუშავდეს ხაშურის რაიონის სასოფლო-საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების თათბირზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 795

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სავალდებულო ჩაბარების წესით მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 1944 წლის III კვარტალის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სავალდებულო ჩაბარების წესით დამზადებათა შემდეგი გეგმები 1944 წლის III კვარტალისათვის: ხორცისა — 40.000 ცენტნერი (წითელი არმიის ხორცის ფონდში ხორცის შემოსვლის გათვალისწინებით), რძისა — 54.000 ჰექტოლიტრი, კვერცხისა — 5.000 ათასი ცალი და მატყლისა — 3.200 ცენტნერი, რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების მიხედვით, დანართის თანახმად.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და რაიაღმასკომებს:

ა) ათი დღის ვადაში დაიყვანონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ა/წ III კვარტალის გეგმები სასოფლო საბჭოებამდე და კოლმეურნეობებამდე, სისტემატურად შეამოწმონ დამზადების მიმდინარეობა და უზრუნველჰყონ დაწესებული გეგმების უცილობლივ შესრულება;

ბ) ბრინზა-ყველის დამზადების გეგმები კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოებისათვის დაწესდეს იმ ანგარიშით, რომ მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაში, ე. ი. 1944 წლის 1 სექტემბრამდე, მთლიანად იქნას შესრულებული წლიური ჩაბარებული ვალდებულებანი;

გ) დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულთა და დამამზადებელ ორგანიზაციათა აპარატის მეშვეობით ჩაატარონ ყოველი ჩამბარებლის მიერ ვალდებულებათა შესრულების კომ-

ლობრივი შემოწმება და მიაღწიონ მათ მიერ ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებას და მთელი ნარჩენების დაფარვას არა მარტო კოლმეურნეობათა, არამედ ყველა კოლმეურნის, მუშის, მოსამსახურისა და ერთპიროვნული მეურნეობის მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

 დ) სისტემატურად მოისმინონ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონული რწმუნებულებისა და რაიფინგანების მოხსენებანი, თუ როგორ ხორციელდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 24 ნოემბრის № 1882 დადგენილება „საკოლმეურნეო კოლმეურნეობისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ და უზრუნველჰყონ აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული ზეგავლენის ზომების მტკიცედ გამოყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების მენარჩენეთა მიმართ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს (ამხ. ბერიშვილს), ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს (ამხ. ნარსიას) და საკავშირო გაერთიანება „ზაგოტჟივსირიოს“ საქართველოს კანტორის მმართველს (ამხ. აფხაზავას) მოაწყონ მეცხოველეობის პროდუქტების შეუფერხებლივ მიღება, მათი სათანადო შენახვა და შორეული რაიონებიდან დროზე გამოზიდვა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 18|VII
№ 795 დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადებისა სავალდებულო ჩაბარებით 1944 წლის III კვარტალისათვის

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ხორცი (ცენტნერობით)	რძე (ჰექტოლიტრობით)	კვერცხი (ათას ცალობით)	მატყლი (ცენტნერობით)		
				სულ	აქედან	
					„ზაგოტფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	ხორცი (ცენტნერობით)	რძე (ქილოლიტრობით)	ყვერცხი (ათას ცალ-ობით)	მატყლი (ცენტნ-ერობით)		
				სულ	აქედან	
					„ზაგოტერნ-ტორი"	ფერმერი
1	2	3	4	5	6	7
34. ზესტაფონის რაიონი	80	125	32	4,0	1,0	3,0
35. ზუგდიდის „	100	210	105	0,2	0,1	0,1
36. ლანჩხუთის „	130	320	43	—	—	—
37. მაიაკოვსკის „	110	70	39	1,0	—	1,0
38. მახარაძის „	10	120	3	—	—	—
39. ონის „	490	190	70	0,5	—	0,5
40. ორჯონიკიძის „	320	130	50	2,0	—	2,0
41. სამტრედიის „	160	160	40	—	—	—
42. საჩხერის „	150	280	80	3,0	—	3,0
43. ტყიბულის „	260	140	35	0,8	—	0,3
44. ქუთაისის „	300	280	90	1,0	1,0	—
45. ჩოხატაურის „	300	370	10	—	—	—
46. ჩხარის „	130	75	40	3,2	—	3,2
47. ჩხოროწყუს „	240	370	90	0,3	—	0,3
48. ცაგერის „	600	360	200	4,5	—	4,5
49. ცხაკაიას „	150	400	42	—	—	—
50. წალენჯიხის „	—	180	15	1,0	—	1,0
51. წულუკიძის „	260	195	27	1,0	—	1,0
52. წყალტუბოს „ . . .	50	50	70	—	—	—
53. ჭიათურის „ . . .	450	50	167	7,0	2,3	4,7
54. ხობის „	100	200	16	—	—	—
55. ფოთის „	20	35	10	—	—	—
56. აფხაზეთის ასსრ	1300	3400	320	20,0	5,0	15,0
57. აჭარის ასსრ	1600	1900	340	125,0	—	125,0
სულ რესპუბლიკაში	40000	54000	5000	3200	1907	1293

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. რუსტიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 796

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფო სადაზღვევო ფონდში გამოსაყოფად 1944 წლის მოსავლიდან მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ვიდრე საკავშირო ორგანოები სახელმწიფო სადაზღვევო ფონდისათვის მარცვლეულ კულტურათა ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმას დაამტკიცებდნენ, დაწესდეს 1944 წლის მოსავლიდან ჯიშიანი მარცვლის დამზადების გეგმა 7000 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონების, კულტურებისა და ჯიშების მიხედვით, დანართის თანახმად.

2. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს და მშრომელთა დეპუტატების ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის. კასპის, წალკის, თეთრიწყაროს, დუშეთის, თიანეთის, ლაგოდეხის, მცხეთის, ყარაიის, ბორჩალოს, ქუთაისის, სამტრედიის, აბაშის, ცხაკაიასა და ლანჩხუთის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) ერთი კვირის ვადაში დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე სავალდებულო ჩაბარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებული სამუშაოების ნატურასაზღაურის ანგარიშში ჯიშიანი მარცვლის ჩაბარების გეგმა, ამასთან უზრუნველჰყონ, რომ კოლმეურნეობებმა ჯიშიანი მარცვლის ჩაბარებისას აუცილებლად წარუდგინონ „ზაგოტზერნოს“ დამამზადებელ პუნქტებს ჯიშობრივი მოწმობები;

ბ) უზრუნველჰყონ ჯიშიანი მარცვლის ნათესების აპრობაციის დროულად ჩატარება დაწესებული გეგმის თანახმად და რაიმიწგა-

ნების მიერ სააპრობაციო აქტების ასლების გადაცემა „ზაგოტზერნოს“ სათანადო დამამზადებელი პუნქტებისათვის.

3. დაევალოს საკავშირო გაერთიანება „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას იმ ჯიშიანი მარცვლის მთელი რაოდენობა, რაც დამამზადებელ პუნქტებში შემოდის ამ დადგენილების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ რაიონებიდან დამზადების გეგმის ანგარიშში, აგრეთვე სხვა რაიონებიდან გეგმის გადამეტებით შემოსული ჯიშიანი მარცვალი დაჯავშნოს სახელმწიფო სადაზღვევო ფონდში გამოსაყოფად, ამასთან უზრუნველჰყოს მისი ცალცალკე დაწყობა და შენახვა კულტურების, ჯიშებისა და კატეგორიების მიხედვით.

4. სახელმწიფო სადაზღვევო ფონდში გამოსაყოფად ჯიშიანი მარცვლის დამზადების დამთავრების ვადად დაწესდეს 1944 წლის 15 სექტემბერი.

5. დაევალოს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს, მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების პარალელურად, მოაწყოს თავის ბაზებსა და პუნქტებში ამ თესლის დაუყოვნებლივ გაუმენდა და უზრუნველჰყოს მისი აყვანა სათესლე კონდიციებამდე.

6. დაევალოს ამხ. ხოშტარიას (მიწსახკომი) და კვირკველიას (დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული) პირადად ადევნონ თვალყური მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადებას, გაწმენდასა და სათესლე კონდიციებამდე აყვანას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 18 ივლისი.

1944 წლის მოსავლის ჯიშიანი მარცვლის დამზადებისა სახელ

რაიონების დასახელება	საშემოდგომო ხორბალი						საგაზაფხულო ხორბალი
	დოლის პური	შავფხა	„ულტრაინტა"	„ოიოპერატორკა"	გრძელფოთოლოვანი	სულ საშემოდგომო ხორბალი	
1. ახალქალაქის რაიონი	30	—	20	—	—	50	600
2. ახალციხის „	50	—	10	—	—	60	—
3. წალკის „	—	—	—	—	—	—	350
4. თიანეთის „	100	—	—	—	—	100	—
5. ბორჯომის „	—	—	30	—	—	30	—
6. ლაგოდეხის „	—	—	—	—	400	400	—
7. ყარაიის „	—	—	—	—	—	—	—
8. ბორჩალოს „	100	—	—	100	—	200	—
9. თეთრიწყაროს „	100	20	50	—	—	170	—
10. დუშეთის „	100	—	—	—	—	100	—
11. მცხეთის „	20	—	—	—	—	20	—
12. კასპის „	600	—	—	—	—	600	—
13. გორის „	900	—	—	—	—	900	—
14. ქარელის „	800	—	—	—	—	800	—
15. ხაშურის „	100	—	—	—	—	100	—
16. სამხრეთ-ოსეთის ა/ო	460	10	—	—	—	470	50
17. ქუთაისის რაიონი	—	—	—	—	—	—	—
18. სამტრედიის „	—	—	—	—	—	—	—
19. აბაშის „	—	—	—	—	—	—	—
20. ცხაკაიას „	—	—	—	—	—	—	—
21. ლანჩხუთის „	—	—	—	—	—	—	—
სულ საქართველოს სსრ-ში	3360	30	110	100	400	4000	1000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა

მწიფო სადაზღვევო ფონდში გამოსაყოფად საქართველოს სსრ ში

(ტონობრ.ით)

ასმეფოდგომი ქერი ძველ-თესლი	საგაზაფხულო ქერი ახალ-თესლი	სიმინდი: ოჯახამეთის თეთრი	სიმინდი: ახაშის ყვითელი	სიმინდი: ადგილობრივი ქაფა	სიმინდი: „ჯრუბაკრანი“	სიმინდი: სულ სიმინდი	სულ ჯამი ბარეული	სახდაზღვევის ფონდში გამოსაყოფი პუნქტები
—	600	—	—	—	—	—	1250	ნავთლულისა
—	—	—	—	—	—	—	60	„
—	400	—	—	—	—	—	750	„
—	—	—	—	—	—	—	100	„
—	—	—	—	—	—	—	30	ბორჯომისა
—	—	—	—	—	—	—	400	წნორისა
—	—	—	—	—	10	10	10	ყარაიისა
100	—	—	—	—	20	20	320	სანდარისა
100	—	—	—	—	—	—	270	„
—	—	—	—	—	—	—	100	მცხეთისა
—	—	—	—	10	20	30	50	„
—	—	—	—	30	10	40	540	კასპისა
50	—	—	—	10	10	20	870	გორისა
50	—	—	—	—	—	—	750	ქარელისა
—	—	—	—	30	—	30	430	გომისა და ხაშურისა
—	200	—	—	—	—	—	720	სტალინირისა
—	—	50	—	—	—	50	50	ჭუთაისისა
—	—	—	30	—	—	30	30	სამტრედიისა
—	—	—	150	—	—	150	150	აბაშისა
—	—	—	20	—	—	20	20	ცხაკაიასი
—	—	100	—	—	—	100	100	ლანჩხუთისა
300	1200	150	200	80	70	500	7000	

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 797

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლისათვის სარეწაო კავშირის სისტემის კაპიტალურ სამუშაოთა სატიტულო სიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სარეწაო კავშირის იმ კაპიტალურ სამუშაოთა სატიტულო სია 1944 წლისათვის, რაც გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდის სახსრების ხარჯზე სწარმოებს, თანახმად დანართისა.

2. სსრ კავშირის სავაჭრო ბანკის საქართველოს კანტორამ—ამხ. გელაშვილმა შეუფერხებლივ დააფინანსოს ამ დადგენილების სატიტულო სიაში აღნიშნული ობიექტები.

3. დაევალოს სარეწაო კავშირის საბჭოს პრეზიდიუმს—ამხ. აბაიშვილს უზრუნველჰყოს მშენებლობის ობიექტების დამთავრება და ამუშავება სატიტულო სიაში აღნიშნულ ვადებში.

4. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეამოწმოს სარეწაო კავშირის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის მშენებლობა და შედეგები ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 18/VII
№ 797 დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჯიჯუღო სია

სამუშაოთა კაპიტალური დაბანდებებისა სარეწაო კავშირის სისტემაში 1944 წლისათვის (ობიექტებისა 50—75 ათას მანეთზე მეტი ღირებულებით)

(ათას მანეთობით)

მშენებლობათა დასახელება და ადგილმდებარეობა	დაწყებისა და დამთავრების წელი	საბოლო ერთეული	სიმძლავრე ტექნიკური პროექტის თანახმად	იმ ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რომელიც შენდება	შესრულებული სამუშაო 1944 წ. 1 იანვრისათვის	სამუშაოთა მოცულობა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით	ამუშავება		
							სიმძლავრე, რომელიც მუშაობას იწყებს	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება იმ ობიექტისა, რომელიც მუშაობას იწყებს	ამუშავების ვადები
1. ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა თბილისში	—	—	—	452,4	—	452,4	—	452,4	—
აქედან:									
1) ძალოვანი და საშუქი ქსელის შიდا-საამქრო ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები	1944—44	—	—	73,0	—	73,0	—	73,0	1944 წ. III კვ.
2) მთავარი კორპუსის რემონტი და რეკონსტრუქცია	1944—44	—	—	36,6	—	36,6	—	36,6	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობათა დასახელება და ადგილმდებარეობა	დაწყებისა და დამთავრების წელი	სახლი ერთეული	სიმძლავრე ტექნიკური პროექტის თანახმად	იმ ობიექტის საბარჯთალრიცხვო ღირებულება, რომელიც შეხდება	შესრულებული სამუშაო 1944 წ. 1 იანვრისათვის	სამუშაოთა მოცულობა საბარჯთალრიცხვო ღირებულებით	ამ უშ ა ვ ე ბ ი		
							სიმძლავრე, რომელიც მუშაობას იწყებს	საბარჯთალრიცხვო ღირებულება იმ ობიექტისა, რომელიც მუშაობას იწყებს	ამუშავების ვადები
3) მექანიკური სახელოსნოს და სამკედლოს აგება	1944—44	—	—	43,4	—	43,4	—	43,4	III კვ. 1944 წ.
4) 10 კორდოსაჩეჩი ქუდის მანქანის დემონტაჟი, ტრანსპორტირება, რემონტი და მონტაჟი	1944—44	—	—	155,0	—	155,0	—	155,0	„
5) ტრანსმისიის მოწყობა საჩეჩი მანქანებისათვის და არსებული რკინა-ბეტონის სუსტი ბოძების გამაგრება	1944—44	—	—	25,0	—	25,0	—	25,0	„
6) წყლის ქვაბისა და ქსელის რეკონსტრუქცია გათბობის საორთქლე სისტემად და მაზუთსაცავის დადგმა . . .	1944—44	—	—	35,0	—	35,0	—	35,0	„
7) 2 საჩეჩი მანქანის შეძენა და კაპიტალურ-აღდგენითი რემონტი	1944—44	—	—	66,0	—	66,0	—	66,0	„
8) ელექტროქვესადგურების მოწყობა .	1944—44	—	—	18,4	—	18,4	—	18,4	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობათა დასახელება და ადგილმდებარეობა	დაწყებისა და დამთავრების წელი	საბომი ერთეული	სიმძლავრე ტექნიკური პროექტის თანახმად	იმ ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რომელიც შენდება	შესრულებული სამუშაო 1944 წ. 1 იანვრისათვის	სამუშაოთა მოცულობა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით	ამუშავება		
							სიმძლავრე, რომელიც მუშაობს იწყებს	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რომელიც მუშაობას იწყებს	ამუშავების ვადები
2. საამქროების მოწყობა აჯასპის საწარმოებლად თბილისის არტელ ტექნოქიმში	1944—44	ტონა	850	203,0	—	203,0	850	203,0	1944 წ. ივლისი
3. დაბახანის მოწყობა ქ. ჭიათურის არტელში—„ძალა ერთობაშია“ . . .	1944—44	ათასი კვ. დეც.	300,0	85,9	—	85,9	300,0	85,9	1944 წ. IV კვ.
4. სათეძე საამქროს ორგანიზაცია თბილისის არტელ „მშრომელთა კავშირში“	1944—44	თეძ. ფეხ. წყვ.	5500	173,0	—	173,0	5500	173,0	„
5. დაბახანის მშენებლობა თბილისის არტელ„გრუზხრომკოქში“	1944—44	ათ. კვ. დეც.	1500,0	218,0	—	218,0	1500,0	218,0	„
ს უ ლ	—	—	—	—	—	1132,3	—	1132,3	

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 798

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ციტრუსოვანი ნაყოფისათვის ბამბუკის ნედლეულისაგან ს

ლის რაოდენობით და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობისათვის — 5.000 ცალის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაამზადოს ავეჯის ფაბრიკაში ბამბუკის საველე ყუთების დეტალები 50.000 ცალის რაოდენობით, აქედან 30.000 ცალი ლიმმანტრესტისათვის და 20.000 ცალი საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისათვის, ამასთან დაამზადოს ეს მუშაობა არაუგვიანეს ა/წ 1 ოქტომბრისა.

4. წინადადება მიეცეს ლიმმანტრესტის დირექტორს ამხ. ბერიძეს და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორს ამხ. ჯიქიას დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა ბამბუკის ჯოხების დასამზადებლად, ამ ჯოხების თავის დროზე მისატანად ქარხანაში და დასამზადებელი ყუთების უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის ტორზით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 799

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის ტყესაკაფის გამოყოფის შესახებ

იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას 1945 წელს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მოთხოვნილება მაქნის მერქანზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს 1944 წლის III კვარტალში გამოუყოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს საირმის სატყეო მეურნეობაში ტყესაკაფი, დაავადებული ხეების ხარჯზე, 5000 კუბ. მეტრი წიწვიანი მორის დასამზადებლად სანიტარული ჭრის წესით და ამ ხე-ტყის მოჭრის ნება მისცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საირმის კურორტამდე იქნება მიყვანილი ის გზა, რომელიც ახლად შენდება.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 5 იანვრის № 9 დადგენილება „1944 წელს ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის ტყესაკაფის ფონდის გამოყოფის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ტყესაკაფის გამოყოფას საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტრესტ საქტყემომარაგებისათვის 10.000 კუბ. მეტრი ხე-ტყის დასამზადებლად ქვემო-სვანეთის სატყეო მეურნეობის კოლბაკის აგარაკში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 800

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 1943 სამეურნეო წელი დამაკმაყოფილებელი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრეს. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 56001 ათასი მანეთის რაოდენობით (1926/27 წლის ფასებით) შესრულებულია 63.171 ათასი მანეთით ანუ 112,8%-ით.

გამოშვებულია 10.716,0 ათასი მანეთის ფართო მოხმარების პროდუქცია, ანუ გეგმის 132,0%, 1926/27 წლის უცვლელ ფასებით, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 8.119,0 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 8,7%-ით, მიღებულია შედარებითი ეკონომია მუშათა ხელფასის ფონდის ხარჯვაში 459,0 ათასი მანეთის რაოდენობით და მიღწეულია შესადარებელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 10.612,0 ათასი მანეთით ანუ 21,5%-ით, მაშინ როდესაც საგეგმო დავალება უდრიდა 16,3%-ს.

ამასთან ერთად აღინიშნოს, რომ საერთოდ დამაკმაყოფილებელ საწარმოო მაჩვენებლებთან ერთად ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცალკეულ საწარმოთა მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც, რაც ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

ა) ყველა საწარმოს როდი შეუსრულებია საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ახალციხის ქვანახშირის წარმოებაში პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეუსრულებია 21,0%-ით, საქფაიფურში

—22,7%-ით და საქბიტუმში—54,4%-ით; სასკოლო-საკანცელარიო ფაბრიკაში შეუსრულებელია რვეულების გამოშვების გეგმა 49,2%-ით, ჩემოდნებისა—99,5%-ით, მოწაფეთა პორთფელებისა—62,5%-ით და სხვ.;

ბ) პროდუქციის თვითღირებულების გეგმის საერთოდ დამაკმაყოფილებელი შესრულების დროს, 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ადგილი ჰქონდა პროდუქციის გაძვირებას 598,0 ათასი მანეთით; ლითონის კონსტრუქციების ქარხანაში – 102,0 ათასი მანეთით; საქფაიფურში—87,0 ათასი მანეთით; თბილისის ინსტრუმენტალურ ქარხანაში მასალებისა და ნახევარფაბრიკატების გაძვირება შეადგენდა 1008,0 ათას მანეთს;

გ) დაშვებულია მუშათა ხელფასის ფონდის გადახარჯვა 26 კომისრის სახელობის ქარხანაში 2 6,0 ათასი მანეთით, ლითონის კონსტრუქციების ქარხანაში —44,0 ათასი მანეთით, მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკაში—65,0 ათასი მანეთით და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში—22,0 ათასი მანეთით.

დ) საამქროს ხარჯებში დაშვებულია გადახარჯვა 618,0 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან 26 კომისრის სახელობის ქარხანაში--320,0 ათასი მანეთი და თბილისის ინსტრუმენტალურ ქარხანაში—534,0 ათასი მანეთი. არანაყოფიერი ხარჯები წლის განმავლობაში შეადგენდა 622,0 ათას მანეთს, აქედან თბილისის ინსტრუმენტალურ ქარხანაში მარტოოდენ ჯარიმები და საურავები უდრიდა 239,0 ათას მანეთს;

ე) საზეგანაკვეთო მუშაობისათვის დაძატებით მიეცათ მუშებს 829,0 ათასი მანეთი. აქედან 26 კომისრის სახელობის ქარხანაში—312,0 ათასი მანეთი და თბილისის ინსტრუმენტალურ ქარხანაში—327,0 ათასი მანეთი;

ვ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეს. მთელ რიგ საწარმოებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობა სწარმოებს პირველადი დოკუმენტებით გაუფორმებლად, არ არის მოწესრიგებული წუნდებული პროდუქციის აღრიცხვა, დროზე არ ხდება წარმოებაში დახარჯული მასალების ჩამოწერა და არ სწარმოებს ანგარიშების სრული შემოწმება.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1943 წლის მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს მიაღწიოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობაში ამ დადგენილებით აღნიშნულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებას და, კერძოდ:

ა) დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი საწარმოთა სამეურნეო-

მუშაობის გაუმჯობესებისათვის 1944 წლის განმავლობაში და მიაღწიოს გეგმის უცილობელ შესრულებას უკლებლივ ყველა საწარმოს მიერ და ყველა სახის საწარმოო მაჩვენებელთა მიხედვით;

ბ) დაამუშაოს საჭირო ღონისძიებანი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, აგრეთვე წუნდებითა და ხარისხიანობით გამოწვეულ დანაკარგთა აღრიცხვის საქმის გაუმჯობესებისათვის. ერთი თვის განმავლობაში გადასინჯოს მთელი მოანგარიშე პერსონალი ჩამორჩენილ საწარმოებში, დააკომპლექტოს იგი კვალიფიციური მუშაკებით და უახლოეს დროში მიაღწიოს ჩამორჩენის ლიკვიდაციას აღრიცხვა-ანგარიშგების საქმის დაყენებაში.

გ) არ დაუშვას მომავალში გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგებისა და ზარალის მიღება სასადილოებში, საბინაო-კომუნალურ და დამხმარე მეურნეობაში.

გაატაროს საჭირო ღონისძიებანი და უზრუნველჰყოს 1944 წელს დამხმარე მეურნეობებში კულტურების მოსავლიანობის გადიდება და მუშებისა და დანარჩენი პერსონალის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება საწარმოებში.

დ) ერთი დეკადის განმავლობაში შეადგინოს დამხმარე მეურნეობის 1943 წლის შეჯამებითი წლიური ანგარიში და დაამტკიცოს საქტყემომარაგების 1943 წლის წლიური ანგარიში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 801

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ დიმიტროვის სახელობის № 31 ქარხანამ გაანთავისუფლა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუსიკალური კომბინატის შენობა და იმ მიზნით, რომ ქალაქ თბილისში შეიქმნას მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის დამამზადებელი სერიოზული საწარმო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს მოაწყოს ყოფილი მუსიკალური კომბინატისა და მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკის ბაზაზე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი, სადაც თავი მოუყაროს მუსიკალური, კლავიშებიანი, მიზრაფიანი ინსტრუმენტებისა და მხატვრული სტანდარტული ავეჯის, აგრეთვე ხის სათამაშოების მთელ წარმოებას, რისთვისაც:

ა) დაუყოვნებლივ ჩაატაროს ყოფილი მუსიკალური კომბინატის სადგომებში საჭირო სარემონტო სამუშაოები და გადაიტანოს ამ სადგომებში ა/წლის 1 აგვისტომდე მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სათამაშოების ფაბრიკის მუსიკალური საამქრო და მოლოტოვის სახელობის მხატვრული ავეჯის საამქრო, ხოლო ა/წლის 1 ოქტომბრამდე—მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკის ყველა დანარჩენი საწარმოო საამქრო;

ბ) მას შემდეგ, რაც მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკის ყველა საწარმოო საამქრო გადატანილი იქნება მუსიკალური ინს-

ტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატში, მოახდინოს მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკის ლიკვიდაცია. დემონტირებული მრეწ-ყობილობა, აგრეთვე მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკის შენობების დაშლის შედეგად მიღებული მასალები გამოიყენოს მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის დამატებით მოსაწყობად და აღდგენითი სამუშაოებისათვის.

2. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის ადმინისტრატიულ-სამმართველო პერსონალის შტატი დასამტკიცებლად გაეგზავნოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის ა/წ III კვარტალის გეგმის პროექტში გაითვალისწინოს პიანინოს და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების, აგრეთვე ავეჯის წარმოება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. ციმაკურიძეს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს გადასჭრან საკითხი ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატისათვის საჭირო საბრუნავი სახსრების მიცემის შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ფაქტიური კონტინგენტი სასურსათო და სამრეწველო საქონლის მომარაგების იმ ნორმების თანახმად, რაც დაწესებულია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშებისათვის.

6. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ახლად მოწყობილ მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატს ეწოდოს მოლოტოვის სახელობის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი.

7. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკის აღებულ შემდეგ განთავისუფლებული მოედანი გამოიყენოს არსებული პარკისა და სტალინის სახელობის სანაპიროს გასაფართოებლად, პროექტის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 802

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწების დროებით გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 26 აპრილის დადგენილება (ოქმი № 235) იმის შესახებ, რომ დროებით გამოეყოთ 1944 წელს საწარმოებსა და დაწესებულებებს დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწები შემდეგი ოდენობით:

1. ცხაკაიას რაისამრეწველო კომბინატის საპნის ქარხანას—5 ჰექტარი სოფ. თეკლათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

2. გზატკეცილების სამმართველოს 740 უბანს—8 ჰექტარი სოფ. თეკლათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

3. ნოსირის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებას—2,8 ჰექტარი სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

4. ცხაკაიას რაისამომხმარებლო კავშირს—4 ჰექტარი სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

5. სოფ. ნოსირის საშუალო სკოლას—3,6 ჰექტარი სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

6. ცხაკაიას სადეგომაციო ქარხანას—14,3 ჰექტარი სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

7. ცხაკაიას პედაგოგიურ სასწავლებელს —2 ჰექტარი სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

8. ნოსირის საცდელ სადგურს – 5 ჰექტარი სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

9. ცხაკაიას ტროპიკულ სადგურს—3 ჰექტარი სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

10. ცხაკაიას აგურ-კრამიტის ქარხანას—30 ჰექტარი სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

11. არტელ „მსუბუქ ტრანსპორტს"—3,2 ჰექტარი სოფ. მენჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 803

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქდიატომიტის მიერ დამზადებული ნატეხი და დაფქული დიატომიტის და საქანდეზიტის მიერ დამზადებული ანდეზიტის ფქვილის გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1944 წლის II კვარტალიდან ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ დამზადებული დიატომიტისა და ანდეზიტის ფქვილის შემდეგი გასაცემი ფასები: ნატეხი 300 მანეთი ტონა და დაფქული—350 მანეთი ტონა და საქანდეზიტის მიერ დამზადებული ანდეზიტის ფქვილი—170 მანეთი ტონა—რკინიგზის სადგური ფრანკო-ვაგონი.

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 10 ივნისის № 787 დადგენილება გაუქმდეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 იელისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 804

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ხე-ტყის მასალების თვითდამზადებისა და რსფსრ სხვადასხვა ოლქიდან საქართველოს სსრ-ში შემოზიდვის განახლების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ ხე-ტყის მასალის მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნას საჭიროდ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქტყემომარაგების ტრესტის სტალინგრადის განყოფილებისა და აგრეთვე გორკისა და მოლოტოვის ხე-ტყის დამამზადებელი ბაზების მუშაობის აღდგენა და ხე-ტყის დამამზადებელი ახალი პუნქტის მოწყობა კრასნოდარის მხარეში მუხის კოტრების დასამზადებლად.

ამასთან დაკავშირებით დაეკისროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქტყემომარაგების ტრესტს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებებით საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ხე-ტყის მასალათა ფონდების რეალიზაციის ფუნქციები და აგრეთვე ხე-ტყის თვითდამზადებისა და რსფსრ სხვადასხვა ოლქიდან შემოზიდვის ფუნქციები.

2. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს და საქტყემომარაგების ტრესტის მმართველს—ამხ. ჯიქურაძეს:

ა) უზრუნველჰყონ 5 ათასი კუბ. მეტრი მაქნისი წიწვიანი მერქნისა და აქედან სულ ცოტა 2 ათასი კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყის შემოზიდვა 1944 წლის დამლევამდე საქტყემომარაგების ტრესტის სტალინგრადის განყოფილების საშუალებით;

ბ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საშტატო კომისიისაგან საათანადო ნებართვის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ დააკომპლექტონ უნარიანი მუშაკებით საქტყემომარაგების ტრესტის სტალინგრადის განყოფილება, გორკისა და ძოლოტოვის ხე-ტყის დამამზადებელი ბაზები და აგრეთვე ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტი კრასნოდარის მხარეში:

გ) გაშალონ მუშაობა ხე-ტყის მასალების თვითდამზადებისათვის გორკისა და მოლოტოვის ოლქებსა და კრასნოდარის მხარეში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სულ ცოტა 40 ათასი კუბ. მეტრი მაქნისი მერქნისა და მათ შორის 35 ათასი კუბ. მეტრი წიწვიანი ჯიშების შემოზიდვა საქართველოს სსრ-ში 1945 წლის განმავლობაში.

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) ნება დაგვრთოს აღვადგინოთ საქტყემომარაგების ტრესტის სტალინგრადის განყოფილება, გორკისა და მოლოტოვის ხე-ტყის დამამზადებელი ბაზები და მოვაწყოთ ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტი კრასნოდარის მხარ ში;

ბ) გამოუყოს 1944 და 1945 წლებში საქართველოს სსრ-ს ტყეს-საკაფები 50 ათასი კუბ. მეტრი წიწვიანი მაქნისი ხე-ტყის დასამზადებლად გორკისა და მოლოტოვის ოლქებში და აგრეთვე ტყეს-საკაფი 5 ათასი კუბ. მეტრი მუხის მორების დასამზადებლად კრასნოდარის მხარეში.

4. საქტყემომარაგების ტრესტის სტალინგრადის განყოფილებისა, გორკისა და მოლოტოვის ხე-ტყის დამამზადებელი ბაზებისა და კრასნოდარის მხარის დამამზადებელი პუნქტის შტატი და თანამდებობრივი განაკვეთები წარედგინოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას.

5. დაევალოს ფინსახკომს — ამხ. ციმაკურიძეს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან — ამხ. გორდეზიანთან ერთად, 10 დღის განმავლობაში გადასჭრას საკითხი საქტყემომარაგების ტრესტისათვის საბრუნავი სახსრების მიცემისა და 1944 წელს 5 ათასი კუბ. მეტრი წიწვიანი მაქნისი მერქნის შესასყიდად და შემოსაზიდად საჭირო სახსრების გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 805

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქ სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის კინოთეატრის აღსადგენად და მოსაწყობად სახსრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს ქალაქ სოხუმის კინოთეატრის აღდგენისა და მოწყობის ხარჯების დასაფარავად 98,5 ათასი მანეთი ქ. თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის მშენებლობის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის აუთვისებელი სახსრების ანგარიშში.

2. დაევალოს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს ამხ. გოგუას უზრუნველჰყოს ქ. სოხუმის კინოთეატრის აღდგენილი საზაფხულო შენობის მიღება და სწორი ექსპლოატაცია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 806

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ტყიბულის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის ხაზით ქვანახშირის მოპოვების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შახტმშენის მიერ ახალციხის საბადოებში დიდი შახტების მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „ახალციხის ქვანახშირის" საწარმო, რამაც ერთიორად შეამცირა ქვანახშირის მოპოვება ადგილობრივი მრეწველობის ხაზით, რის გამო რაიონული ქვემდებარების საწარმოთა უმრავლესობა უზრუნველყოფილი არ არის სათბობით.

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს ქვანახშირის მოპოვება რაიონული ქვემდებარების სამშენებლო მასალებისა და კერამიკული ნაწარმის საწარმოების მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. უფლება მიენიჭოს ტყიბულის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატს აწარმოოს ქვანახშირის ამოღება ტყიბულქვანახშირის ლენინის სახელობის შახტის მიტოვებულ უბნებზე, რომელთა დამუშავებას ამჟამად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო ეწევა ტრესტ ტყიბულქვანახშირის ნებართვით.

დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს დაუყოვნებლივ გადასცეს ტყიბულის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატს ქვანახშირის აღნიშნული საბადო.

2. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს და ტყიბულის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ.

გორგიძეს დაუყოვნებლივ მოაწყონ ქვანახშირის ამოღება ლენინის სახელობის შახტის მიტოვებულ უბნებზე და გააფართოონ ქვანახშირის მოპოვება საბელასურის საბადოში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილი იქნას ქვანახშირის ამოღება და გაგზავნა შემდეგი რაოდენობით: ა/წ ივლისში—არანაკლებ 1900 ტონისა ორივე საბადოდან, აგვისტოში—არანაკლებ 2000 ტონისა და სექტემბერში—2300 ტონისა. ამასთან ერთად მოამზადონ III კვარტალში ქვანახშირის ამოღება ლენინის სახელობის შახტის მეორე მიტოვებულ უბანზე იმ ანგარიშით, რომ აყვანილ იქნას ქვანახშირის ყოველთვიური ამოღება IV კვარტალში ახალ საბადოზე არანაკლებ 1000 ტონისა.

3. ნება დაერთოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს გადასცეს ტყიბულის რაიაღმასკომის რაიონულ სამრეწველო კომბინატს მოწყობილობა და მასალები, რაც საჭიროა „ახალციხის ქვანახშირის“ ლიკვიდირებული საწარმოს ქვანახშირის დასამუშავებლად, აგრეთვე ერთი სამტონიანი სატვირთო ავტომანქანა „ზის—6“ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული ახალი მანქანების რიცხვიდან.

4. დაევალოს ტყიბულის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გორგიძეს უზრუნველჰყოს ქვანახშირის შეუფერხებლივ გამოზიდვა და საწარმოებისათვის გაგზავნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის განაწილებით.

5. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს:

ა) ყოველთვიურად გამოუყოს ტყიბულის რაიაღმასკომის რაიონულ სამრეწველო კომბინატს 400 კილოგრამი საავტომობილო ბენზინი ქვანახშირის გამოსაზიდად და გასაგზავნად;

ბ) სისტემატურად ადევნოს თვალყური ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 808

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სეტყვისაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათათვის ერთგვარი დახმარების აღმოჩენის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქართველოს სსრ ფინსახკომს გაანთავისუფლონ 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან ის კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები, ხოლო საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან ის კოლმეურნეობანი, რომლებიც სეტყვისაგან დაზარალდნენ.

2. დაევალოს ქვემოჩამოთვლილ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გამოუყონ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს სეტყვისაგან დაზარალებულ კოლმეურნეობებისათვის:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების საბმართველოს უფროსმა— 500 კუბ. მეტრი ხე-ტყე ძირზე სათანადო სატყეო მეურნეობებში კოლმეურნეობათა შენობებისა, აგრეთვე კოლმეურნეთა სახლების შესაკეთებლად;

ბ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს უფროსმა— სამხედრო მოსამსახურეთა იმ ოჯახებისათვის უფასოდ დასარიგებლად, რომლებიც ამის მწვავე საჭიროებას განიცდიან, ტანსაცმელი, დანართში აღნიშნული რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სსრ მიწსახკომმა და საქმომარაგებამ—კოლმეურნეობათა შენობებისა და კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად 80 კილოგრამი ლურსმანი, აქედან მიწსახკომმა—30 კილოგრამი და საქმომარაგებამ—50 კილოგრამი;

დ) ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ—არსებული რაოდენობიდან ერთი ტონა ლობიო, რაც კოლმეურნეობებმა სეტყვისაგან დაზარალებულ ნაკვეთებზე უნდა დასთესონ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 20 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუსხა

ტანსაცმლისა, რომელიც გამოყოფილია უფასოდ დასარიგებლად სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის, რომლებიც დაზარალდნენ 1944 წლის 7 და 8 ივლისის სეტყვისაგან

1.	მამაკაცის პიჯაკი	20 ცალი
2.	ქალის კაბა	350 „
3.	ბავშვის შარვალი	250 „
4.	მამაკაცის ქურთუკი	50 „
5.	ბავშვის კაბა	200 „
6.	მამაკაცის შარვალი	100 „
7.	მამაკაცის კაპიშონი	125 „
8.	შალის კაშნე	50 „
9.	ბავშვის ხალათი	100 „
10.	ბავშვის ქვედატანი	70 „
11.	ქალის სასპორტო პერანგი	150 „
12.	ქალის ზედა	100 „
13.	ქალის პერანგი	90 „
14.	მამაკაცის ფლანელის პერანგი	50 „
15.	მამაკაცის პერახგი	50 „
16.	ქალის ჟაკეტი	100 „
17.	ქალის ხალათი	50 „
18.	ბავშვის ხალათი	100 „
19.	ბავშვის ჯემპერი	50 „
20.	ბავშვის საცვალი	30 „
	სულ	2085 ცალი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ხ. როსტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 809

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ტექნიკუმების (საშუალო სპეციალური სასწავლებლების) ინდივიდუალურ წესდებათა შემუშავების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 6 ივლისის № 830 დადგენილება „ტექნიკუმების (საშუალო სპეციალური სასწავლებლების) ტიპიური წესდების დამტკიცების შესახებ" სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკური ქვემდებარების უწყებებს, რომელთაც ტექნიკუმები (საშუალო სპეციალური სასწავლებლები) აქვთ.

2. დაევალოს სახალხო კომისარიატებს (უწყებებს) ტიპიური წესდების საფუძველზე შეიმუშაონ ტექნიკუმების (საშუალო სპეციალური სასწავლებლების) ინდივიდუალური წესდებანი და არაუგვიანეს 1944 წლის 1 სექტემბრისა დასამტკიცებლად წარუდგინონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 21 ივლისი

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 6/VII № 830 დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) ტიპიური წესდება

კ ა რ ი I.

მიზნები და ამოცანები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციის 121-ე მუხლის შესაბამისად, ტექნიკუმები (საშუალო სპეციალური სასწავლებლები) ანხორციელებენ სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლებას და ამოცანად ისახავენ მოამზადონ კვალიფიციური, საბჭოთა სამშობლოს ერთგული კადრები საშუალო სპეციალური განათლებით

ანხორციელებს რა ამ ამოცანას .....

(ტექნიკუმის) საშუალო სპეციალური

.....

სასწავლებლის (დასახელება)

რომელიც .....

(სახალხო კომისარიატის ან უწყების დასახელება)

..... გამგებლობაში იმყოფება, ამზადებს .....

(სპე-

.....

ციალობისა და კვალიფიკაციის დასახელება)

და თავის მუშაობას ატარებს შემდეგი დებულებების საფუძველზე.

კ ა რ ი II.

მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი

1. ტექნიკუმში (საშუალო სპეციალურ სასწავლებელში) შესვლისა და ამ სასწავლებელში სწავლის უფლებით სარგებლობენ სსრ კავშირის მოქალაქეები 14-დან 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ განათლება საშუალო სკოლის შვიდი კლასის მოცულობით.

შენიშვნა: იმ ტექნიკუმებში, რომლებიც მოსწავლეებს ამზადებენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები, ზღვრული ასაკის მიუხედავად.

2. ტექნიკუმში (საშუალო სპეციალურ სასწავლებელში) შემსვლელებმა უნდა ჩაბარონ შესასვლელი გამოცდები საშუალო სკოლის შვიდი კლასის მოცულობით შემდეგ საგნებში:

ა) სსრ კავშირის კონსტიტუცია,

ბ) რუსული ენა,

გ) მათემატიკა.

იმ ტექნიკუმებში (საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში), სადაც სწავლება არა რუსულ ენაზე სწარმოებს, ტარდება გამოცდა იმ ენაშიც, რომელზედაც სწარმოებს სწავლება მოცემულ სასწავლებელში.

საარქიტექტურო და სამხატვრო საშუალო სასწავლებლებში შემსვლელებმა უნდა ჩაბარონ დამატებითი გამოცდები ხატვაში, ხოლო ფიზიკური კულტურის საშუალო სასწავლებლებში, მუსიკალურ და თეატრალურ სასწავლებლებში შემსვლელებმა—დამატებითი გამოცდები სპეციალობის მიხედვით.

3. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) მოსწავლე ვალდებულია:

ა) მტკიცედ და მონდომებით დაეუფლოს ცოდნას, წესიერად დაესწროს ძეცადინეობას, თავის დროზე შეასრულოს ყოველგვარი საშინაო დავალებები, პრაქტიკული სამუშაოები ლაბორატორიებსა და კაბინეტებში, დაწესებულ ვადებში ჩააბაროს გამოცდები და გაიაროს როგორც სასწავლო, ისე საწარმოო პრაქტიკა;

ბ) იყოს დისციპლინიანი, უყოყმანოდ დაემორჩილოს დირექტორის, სასწავლო ნაწილში მისი მოადგილის და მასწავლებლების განკარგულებებს;

გ) იყოს კულტურული და თავაზიანი დირექტორთან, სასწავლო ნაწილში მის მოადგილესთან, მასწავლებელთან, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალთან დამოკიდებულებაში, აგრეთვე ყველა უფროსთან და ერთმანეთთან დამოკიდებულებაში. ფეხზე წამოდგეს აუდიტორიაში მასწავლებლის შესვლისას, კითხვა-პასუხის დროს და დაჯდეს მხოლოდ მასწავლებლის ნებართვით;

დ) შეასრულოს შინაგანწესი;

ე) გაუფრთხილდეს სასწავლებლის ქონებას;

ვ) თან იქონიოს „მოსწავლის ბილეთი“ და გაუფრთხილდეს მას;

4. ცალკეულ მოსწავლეთა მიერ მათთვის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში მათ შეიძლება დაედოს შემდეგი სასჯელი:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური სასწავლო კლასის წინაშე;

გ) ყოფაქცევაში ნიშნის მოკლება;

დ) სასტიკი საყვედური გაფრთხილებით სასწავლებლიდან გარიცხვის შესახებ, რაც დირექტორის ბრძანებით გამოცხადდება;

ე) სასწავლებლიდან გარიცხვა;

დადებული სასჯელის შესახებ კეთდება აღნიშვნა მოსწავლის პირად საქმეში.

მოსწავლის გამოსწორების შემთხვევაში დირექტორს უფლება აქვს მოუხსნას დადებული სასჯელი, რასაც სათანადოდ აღნიშნავს მოსწავლის პირად საქმეში.

5. სასწავლებლიდან გარიცხვა ხდება დირექტორის ბრძანებით მას შემდეგ, რაც საკითხი განხილული იქნება პედაგოგიური საბჭოს

სხდომაზე: შინაგანწესისა და სასწავლო დისციპლინის სისტემატურად დარღვევისათვის, მეცადინეობაზე დაუსწრებლობისათვის, ცუდი აკადემიური წარმატებისათვის, აგრეთვე ისეთი ქმედობისათვის, რაც სახელს უტეხს მოსწავლეს.

6. კარგი აკადემიური წარმატებისათვის, თუ ამავე დროს მოსწავლე ჩინებული ყოფაქცევისაა და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში, წესდება შემდეგი წახალისება:

ა) მადლობა,

ბ) დაჯილდოება,

გ) ქებითი ფურცლის მიცემა.

7. ყოველი მოსწავლე მას შემდეგ, რაც იგი წარმატებით შეასრულებს დაწესებულ ვადაში სასწავლო გეგმის თეორიულ კურსს, აგრეთვე სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, მოვალეა ჩააბაროს ახელმწიფო გამოცდები ან დაიცვას სადიპლომო პროექტი სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიაში, რომელიც მოქმედებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

8. მოსწავლეები, რომელთაც შეასრულეს სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნა და ჩაბარეს სახელმწიფო გამოცდები ან დაიცვეს სადიპლომო პროექტები, მიიღებენ დიპლომს ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დამთავრების შესახებ, მინიჭებული კვალიფიკაციის აღნიშვნით.

9. მოსწავლეები, რომელთაც შეასრულეს სასწავლო გეგმა ყველა საგანში (მათ შორის საწარმოო პრაქტიკაც) და მიიღეს ნიშანი „5“ სულ მცირე 75% საგანში და არანაკლებ „4“-სა ყველა დანარჩენ საგანში, აგრეთვე რომელთაც ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები ან დაიცვეს სადიპლომო პროექტები „5“ ნიშანზე, ღებულობენ წარჩინების დიპლომს და სარგებლობენ შემდეგი უფლებით:

ა) პირველ რიგში დაიკავონ თავისუფალი ადგილები სპეციალობის მიხედვით;

ბ) შეტანილ იქნან იმ კანდიდატთა რიცხვში, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში იქნებიან მიღებული წარმოებაში მუშაობის სამი წლის სტაჟის უქონლად (მოცემული სასწავლებლის მიერ გამოშვებულ მოსწავლეთა ხუთი პროცენტის ანგარიშში);

გ) შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში სპეციალობის მიხედვით შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად ორი წლის განმავლობაში, დამთავრების წლის ჩათვლით.

10. კურსდამთავრებულებს სამუშაოზე გაანაწილებს სახალხო კომისარიატი (უწყება) სასწავლებლის დამთავრებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა რ ი III.

სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

11. სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხის, მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებისა და მათ მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარის გამომუშავების უზრუნველსაყოფად, ტექნიკუმში (საშუალო სპეციალურ სასწავლებელში) წესდება სასწავლო მუშაობის შემდეგი ფორმები:

ა) გაკვეთილი;

ბ) პრაქტიკული მეცადინეობა ლაბორატორიებში, კაბინეტებში, სახელოსნოებში, სასწავლო მეურნეობებში, კლინიკებში;

გ) საწარმოო პრაქტიკა;

დ) მოსწავლეთა საშინაო მეცადინეობა;

შენიშვნა: უფროს კურსებზე ცალკეულ საგნებში შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე ლექციებიც.

12. მოსწავლეთა წარმატება და ყოფაქცევა შეფასდება ციფრობლივი ხუთბალიანი სისტემით: 5, 4, 3, 2, 1.

მოსწავლეთა წარმატების შეფასება ხდება მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შემოწმებისა და საგამოცდო სესიებზე გამოცდების ჩაბარების მიხედვით.

მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მათი ყოფაქცევა სასწავლებელში, საერთო საცხოვრებელში და მათს გარეთ.

13. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად.

სასწავლო წლის განაწილება თეორიული მეცადინეობისა, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისათვის, აგრეთვე არდადეგების ჩატარების ვადები განისაზღვრება სასწავლო გეგმებით.

14. ზოგადი განათლებისა და ზოგადი-ტექნიკური საგნების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი, ხოლო სპეციალური საგნების პროგრამებს—სახალხო კომისარიატები (უწყებები).

15. სასწავლო მეცადინეობის ცხრილი სდგება ყოველი სემესტრისათვის და ცხადდება სემესტრში მეცადინეობის დაწყებამდე 10 დღით ადრე.

გაკვეთილის ხანგრძლივობა უდრის 45 წუთს, გაკვეთილებს შორის შესვენება—10 წუთს.

16. მოსწავლეთა გადაყვანა შემდეგ კურსზე სწარმოებს თეო-

რიულ და საწარმოო სწავლებაში მოსწავლეთა წარმატების შეფასების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა რ ი IV.

მასწავლებლები

17. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) მასწავლებლებად დაინიშნებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები.

შენიშვნა: სახალხო კომისარიატის (უწყების) ნებართვით მასწავლებლად შეიძლება დანიშნულ იქნან განსაკუთრებულ შემთხვევაში საშუალო განათლების მქონე პირები, რომელთაც აქვთ საწარმოო ან პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

18. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) მასწავლებლის თანამდებობაზე დანიშვნა ხდება სასწავლებლის დირექტორის მიერ.

19. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) მასწავლებლებს ეკისრებათ:

ა) ჩაატარონ სასწავლო მუშაობა იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია სასწავლო გეგმით, პროგრამითა და სასწავლო მეცადინეობის ცხრილით;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ მოსწავლეთა ცოდნა, წარმართონ მათი დამოუკიდებელი მუშაობა და კონტროლი გაუწიონ ამ მუშაობას;

გ) ჩაატარონ აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეებთან;

დ) მონაწილეობა მიიღონ სასწავლებლის მეთოდურ მუშაობაში;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსწავლეთა წრეების მუშაობას;

ვ) სისტემატურად გააუმჯობესონ ცოდნა თავიანთი სპეციალობის დარგში, აგრეთვე აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური დონე;

20. ტექნიკუმის დირექტორს შეუძლია დააკისროს მასწავლებლებს სპეციალობის მიხედვით სასწავლო კაბინეტების გამგებლობა.

21. მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდისადმი ყოველდღიური მეთვალყურეობის მიზნით, ტექნიკუმის დირექტორი ნიშნავს სასწავლო კლასების ხელმძღვანელებს სასწავლებლის მასწავლებელთა რიცხვიდან.

კლასის ხელმძღვანელები თავიანთ მუშაობას ატარებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის ინსტრუქციის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა რ ი V.

სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

22 .....

ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დასახელება

.....თავის შემადგენლობაში აქვს:

ა) განყოფილებანი და სპეციალობანი;

ბ) საგნობრივი კომისიები;

გ) სასწავლო-დამხმარე დაწესებულებანი (ლაბორატორიები, კაბინეტები, ბიბლიოთეკები, სახელოსნოები, სასწავლო მეურნეობანი, კლინიკები, საცდელი ქარხნები და სხვ.);

დ) დამხმარე მეურნეობანი;

23. ახალ განყოფილებათა და სპეციალობათა გახსნა, აგრეთვე არსებულ განყოფილებათა და სპეციალობათა ლიკვიდაცია ხდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის ბრძანებით სახალხო კომისარიატის (უწყების) წარდგენით.

24. სასწავლო-დამხმარე დაწესებულებათა და დამხმარე მეურნეობათა მოწყობა და ლიკვიდაცია ხდება სახალხო კომისარიატის უწყების) ბრძანებით.

25. ტექნიკუმები (საშუალო სპეციალური სასწავლებლები) არსდება და შეიძლება ლიკვიდირებულ იქნან მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით.

ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დირექტორი

26. ტექნიკუმს (საშუალო სპეციალურ სასწავლებელს) სათავეში უდგა დირექტორი, რომელიც დანიშნება იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და პედაგოგიური ან საწარმოო მუშაობის გამოცდილება.

27. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დირექტორს დაამტკიცებს და თანამდებობიდან დაითხოვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი (სახალხო კომისარიატის (უწყების) წარდგენით.

28. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დირექტორი პასუხისმგებელია სახალხო კომისარიატის (უწყების) და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის წინაშე სასწავლებლისადმი ხელმძღვანელობისა, კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებისა და დროზე გამოშვებისათვის.

29. დირექტორს ეკისრება:

ა) ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთმმართველობის საფუძველზე და მისი სახელით წარმომადგენლობა;

ბ) სასწავლო გეგმებისა და პროგრამების განხორციელება;

გ) მასწავლებელთა შუშაობის კონტროლი;

დ) მოსწავლეთა სწავლების ხელმძღვანელობა და მათი აკადემიური წარმატების კონტროლი;

ე) მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალს შორის პოლიტიკური, კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა;

ვ) მეცადინეობისა და გამოცდების ცხრილების, შინაგანწესის დამტკიცება და თვალყურისდევნება მათი ზუსტად შესრულებისათვის;

ზ) მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელობა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება;

თ) მოსწავლეთა მიღებისა და გამოშვების დაწესებული გეგმების შესრულება;

ი) მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნა;

კ) მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემადგენლობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაცია;

ლ) ფულადი სახსრებისა და ქონების გამგებლობა.

დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში

30. დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში ინიშნება ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) ყველაზე კვალიფიციურ მასწავლებელთაგან, მას ამტკიცებს და სცვლის სახალხო კომისარიატი (უწყება) დირექტორის წარდგენით.

31. დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში პასუხს აგებს დირექტორისა და სახალხო კომისარიატის (უწყების) წინაშე საშუალო სპეციალური სასწავლებლის სასწავლო მეთოდური მუშაობისა და მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის.

32. დირექტორის მოადგილეს სასწავლო ნაწილში ეკისრება:

ა) სასწავლო-მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა;

ბ) მეცადინეობისა და გამოცდების ცხრილის შედგენა და მათი შესრულების კონტროლი;

გ) მოსწავლეთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა;

დ) მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა;

ე) სასწავლო-მეთოდური თათბირების მოწყობა და საგნობრივი კომისიების მუშაობის ხელმძღვანელობა;

ვ) ბიბლიოთეკის, სასწავლო სახელოსნოების, სასწავლო მეურნეობებისა და სხვ. მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ზ) პედაგოგიური და სასწავლო-დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუშაობის მოწყობა და ხელმძღვანელობა;

თ) დირექტორის მოვალეობის შესრულება მისი სხვა განყოფნის დროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორის მოადგილე ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილში

33. დირექტორის მოადგილეს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილში ამტკიცებს სახალხო კომისარიატი (უწყება) დირექტორის წარდგენით.

თანამდებობა ტექნიკუმის დირექტორის მოადგილისა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილში წესდება მხოლოდ იმ ტექნიკუმებში, რომლებიც აერთიანებენ მოსწავლეთა დიდ რაოდენობას (250 მოსწავლისა და კიდევ მეტს), ხოლო მცირე ტექნიკუმებში წესდება სამეურნეო ნაწილის გამგის თანამდებობა.

34. დირექტორის მოადგილეს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილში ეკისრება:

ა) სასწავლებლის ყველა სამეურნეო დაწესებულებათა მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა და სასწავლო სადგომების, ლაბორატორიების, კაბინეტების, საერთო საცხოვრებლების, სასადილოებისა და დამხმარე მეურნეობების წესრიგისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მეთვალყურეობა;

ბ) მშენებლობისა და კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ხელმძღვანელობა;

გ) სასწავლო სადგომების, ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების უზრუნველყოფა მოწყობილობით, ინვენტარითა და მასალებით;

დ) სასწავლო შენობების, საერთო საცხოვრებლების, ინვენტარისა და მოწყობილობის დაცვის ორგანიზაცია.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

35. განყოფილება წარმოადგენს სასწავლო-ადმინისტრატიულ ორგანიზაციას, რომელიც ანხორციელებს მოსწავლეთა მომზადებას მონათესავე სპეციალობებში.

36. განყოფილების გამგე ინიშნება იმ მასწავლებელთა რიცხვიდან, რომლებიც ამ განყოფილების საგანს ასწავლიან, და მტკიცდება

სახალხო კომისარიატის (უწყების) მიერ დირექტორის წარდგენით.

37. განყოფილების გამგის მოვალეობაში შედის:

ა) განყოფილების მოსწავლეთა სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის უშუალო ხელმძღვანელობა;

ბ) სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულების უზრუნველყოფა;

გ) მასალების მომზადება სასწავლო მეცადინეობათა ცხრილისათვის;

დ) მოსწავლეთა წარმატების კონტროლი;

ე) განყოფილებაში დისციპლინის მეთვალყურეობა;

ვ) მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა;

საგნობრივი კომისიები

38. საგნობრივი კომისია წარმოადგენს იმ მასწავლებელთა გაერთიანებას, რომელნიც სასწავლო მეცადინეობას ეწევიან სასწავლო გეგმის მონათესავე საგნებში, და მუშაობს საერთო ხელმძღვანელობით დირექტორის მოადგილის სასწავლო ნაწილში.

შენიშვნა: საგნობრივი კომისია ეწყობა იმ შემთხვევაში, თუ მის შემადგენლობაში არის ხუთი მასწავლებელი მაინც.

39. საგნობრივი კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი საგნის ან რამდენიმე მონათესავე საგნის ყველა მასწავლებელი და ოსტატ-ინსტრუქტორები.

40. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) საგნობრივი კომისიების ნუსხას აწესებს სახალხო კომისარიატი (უწყება).

საგნობრივი კომისიის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობას ანხორციელებს საგნობრივი კომისიის ხელმძღვანელი, რომელსაც ნიშნავს დირექტორი ამ კომისიაში გაერთიანებულ მასწავლებელთა რიცხვიდან.

41. საგნობრივი კომისიების მუშაობა ტარდება გეგმით, რომელსაც აქტიცებს დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში.

42. საგნობრივი კომისიების მოვალეობაში შედის სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდების, საგანში მეცადინეობისა და ცალკეული გაკვეთილების ჩატარების გეგმის, მოსწავლეთა წარმატების საკითხების, ცალკეულ მასწავლებელთა, კაბინეტების, ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოებისა და სასწავლო მეურნეობების მუშაობის, პროგრამების, სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების განხილვა.

სასწავლო-დამხმარე პერსონალი

43. ტექნიკუმში (საშუალო სპეციალურ სასწავლებელში) წესდება სასწავლო-დამხმარე პერსონალის შემდეგი საშტატო თანამდებობანი:

ა) ბიბლიოთეკარი;

ბ) ოსტატ-ინსტრუქტორი;

გ) ლაბორანტი;

დ) პრეპარატორი;

ბიბლიოთეკარებს, ოსტატ-ინსტრუქტორებს, ლაბორანტებსა და პრეპარატორებს ნიშნავს დირექტორი.

44. სასწავლო-აღმზრდელობითი პერსონალის რაოდენობასა და შემადგენლობას საზღვრავს სახალხო კომისარიატი (უწყება) ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დირექტორის წარდგენით.

პედაგოგიური საბჭო

45. დირექტორთან და მისი თავმჯდომარეობით ეწყობა ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) პედაგოგიური საბჭო, შემდეგი შემადგენლობით: ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში, სამხედრო ხელმძღვანელი, განყოფილებათა გამგეები, მასწავლებლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან სასწავლო-დამხმარე დაწესებულებების (ბიბლიოთეკის, კაბინეტების, ლაბორატორიების, სახელოსნოების, კლინიკების, სასწავლო მეურნეობებისა და სხვ.) ხელმძღვანელები და აგრეთვე იმ საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომელთათვისაც ამზადებს სასწავლებელი სპეციალისტებს.

პედაგოგიური საბჭოს მდივნის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელსაც ირჩევს ამ თანამდებობაზე საბჭო ერთი წლის ვადით.

46. პედაგოგიური საბჭო იკრიბება დირექტორის მიერ დაწესებულ ვადებში, მაგრამ სამჯერ მაინც სემესტრში.

47. პედაგოგიური საბჭო იხილავს: სასწავლებლის მუშაობის წლიურ და სასემესტრო გეგმებს, მოსწავლეთა წარმატების შედეგებს, საწარმოო სწავლების მდგომარეობასა და შედეგებს, დისციპლინისა და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას, განყოფილებებისა და საგნობრივი კომისიების სამუშაო გეგმებსა და ანგარიშებს, სასწავლო-დამხმარე დაწესებულებების მუშაობას და აგრეთვე

მასწავლებელთა და სასწავლებლის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს.

48. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებანი ძალაში შედიან დირექტორის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა რ ი VI.

ქონება და სახსრები

49. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) ქონება —შენობა, მოწყობილობა, ინვენტარი და სხვ. წარმოადგენს სოციალისტურ საკუთრებას.

.....

(ტექნიკუმის საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დასახელება

.....ქონება,

რომელიც მის საინვენტარო ნუსხაში ირიცხება და მის ბალანსზეა, შეიძლება გასხვისებულ იქნას მხოლოდ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ნებართვით.

50. ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) სახსრებს შედგენს:

ა) სახალხო კომისარიატის (უწყების) მიერ ტექნიკუმების შესანახად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ასიგნობანი;

ბ) სასწავლო-დამხმარე დაწესებულებათა შემოსავლისაგან შემდგარი სპეციალური სახსრები.

51 .....

ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დასახელება

წარმოადგენს დამოუკიდებელ დაწესებულებას, მოქმედებს როგორც იურიდიული პირი და აქვს სახალხო კომისარიატის (უწყების) მიერ დამტკიცებული თავისი საფინანსო გეგმა.

52 .....

ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დასახელება

აქვს თავისი ბეჭედი სახელმწიფო ღერბით

კ ა რ ი VII.

წესდების დამტკიცების წესი

53 .....

ტექნიკუმის (საშუალო სპეციალური სასწავლებლის) დასახელება

წესდებას სახალხო კომისარიატის (უწყების) წარდგენით ამტკიცებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი.

54 .....

ტექნიკუმის (სასწავლო სპეციალური სასწავლებლის) დასახელება

.....ადგილსამყოფელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 810

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თამჯდომარე – სახალხო კომისარი ამხ. ლ. ა. რუხაძე, წევრები: ამხ. გ. ი. მამუჩაშვილი—სახალხო კომისრის მოადგილე, ე. მ. ღავთაძე—აბრეშუმის სამმართველოს უფროსი, მ. ხ. სალნიკერი—საფეიქრო სამმართველოს უფროსი და ს. ა. გალდავაძე—საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 21 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 812

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

გორის, ზესტაფონის, სამტრედიისა და მახარაძის რაიაღმასკომების სამრეწველო კომბინატების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ რაიაღმასკომების სამრეწველო კომბინატები, რომლებიც გატაცებული არიან წარმოების კომერციულად ხელსაყრელი დარგებით (ღვინო-არყის, ჯონიაკის), სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლის (სამშენებლო მასალები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები) წარმოებას.

სამტრედიის რაიაღმასკომის რაისამრეწველო კომბინატმა 1944 წელს საგრძნობლად გააუარესა მუშაობა: იმ დროს, როცა 1943 წელს საერთო პროდუქციის გეგმა 109,3%-ით შესრულდა, მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა შესრულებულია 94,3%-ით. გეგმის მნიშვნელოვან შეუსრულებლობას ადგილი აქვს კერამიკულ, ნალის, სავარცხლისა და ტრიკოტაჟის წარმოებებში. კომბინატის საწარმოო სადგომების შეკეთება არ ხდება, მოწყობილობის მოვლა არადამაკმაყოფილებელია.

გორის რაიაღმასკომის რაისამრეწველო კომბინატმა საერთო პროდუქციის გეგმა 1943 წელს შეასრულა 110,3%-ით, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში—მხოლოდ 98,3%-ით. შესრულებული არ არის კერამიკული წარმოების, ხარის ნალისა და ლურსმნის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის გეგმა. იმ დროს როცა რაიონს დიდძალი სამშენებლო მასალა სჭირდება, იქ დღემდეც არ არის მოწყობილი აგურის, კრამიტისა და კირის წარმოება.

აგურისა და კრამიტის ქარხნების მშენებლობა, რაც 1941 წელს დაიწყო, შივწყვეტულია.

ზესტაფონის რაიაღმასკომის რაისამრეწველო კომბინატმა თუმცა საერთო პროდუქციის მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა 144,5%-ით შეასრულა, მაგრამ ძირითადად ეს შესრულება ღვინისა და კონიაკის წარმოების ხარჯზე მოხდა, ამასთან არ შეუსრულებია ფეხსაცმლის გამოშვების, ტყავის გადამუშავების, ხარის ნალისა და ლურსმნის გამოშვების გეგმა, ხოლო სამშენებლო მასალების წარმოებას არავითარი ყურადღება არ ექცევა.

მახარაძის რაიაღმასკომის რაისამრეწველო კომბინატს, რომელმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გეგმა, არ შეუსრულებია კრამიტის, ფეხსაცმლისა და საპნის გამოშვების გეგმა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონულმა მრეწველობამ თუმცა საერთო პროდუქციის მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა (გეგმა შესრულებულია 106,9%-ით), მაგრამ რაიონების ზოგიერთი სამრეწველო კომბინატი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები საგრძნობლად ჩამორჩებიან გეგმიან დავალებათა შესრულებაში (ახალციხის, კასპის, მცხეთის, წალენჯიხის, ჭიათურის, თელავისა და სხვ. რაიონები).

სრულიად არადამაკმაყოფილებლად სრულდება ფართო მოხმარების საგნების—აგურის, კრამიტის, კირის, კერამიკული ნაწარმის, ჭილობების, კალათების, ნალის, ნალის ლურსმნის, ავეჯის, ფანოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და სხვ. წარმოების გეგმა.

რაისამრეწველო კომბინატების ხელმძღვანელობა საკმაოდ ვერ იყენებს ადგილობრივ ნედლეულ რესურსებს ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად.

რაიაღმასკომების თავმჯდომარეები და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ რაიონული სამრეწველო კომბინატების მუშაობას და საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ იმ მხრივ, რომ გაადიდონ ფართო მოხმარების საგნების წარმოება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს სამტრედიის რაისამომხმარებლო კომბინატის დირექტორს—ამხ. ბათაშვილს:

ა) მოაწყოს სამშენებლო ცარცის წარმოება დაფნარის კიჩქვის

კარიერის ბაზაზე და ა/წ 1 სექტემბრიდან უზრუნველჰყოს 5 ტონა ცარცის გამოშვება ყოველთვიურად;

ბ) ა/წ 1 აგვისტოდან განაახლოს სამჭედლო სახელოსნოს მუშაობა, მოაგვაროს ხარის ნალის, ნალის ლურსმნის, თოხებისა და ბარების წარმოება და უზრუნველჰყოს 10 ათასი მანეთის ნაწარმის გამოშვება ყოველთვიურად უცვლელ ფასებით;

გ) ერთი დეკადის ვადაში დააკომპლექტოს მუშახელით მექანიკური და სამჭედლო საამქროები;

დ) ერთი თვის ვადაში შეაკეთოს სამრეწველო კომბინატის საწარმოთა სადგომები და მოწყობილობა.

2. დაევალოს გორის რაიონული სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. ბურჯალიანს:

ა) დაამთავროს მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადასცეს აგურისა და კრამიტის ქარხნები ა/წ 1 სექტემბრამდე, ხოლო კერამიკული ნაწარმის ქარხანა—ა/წ 1 აგვისტომდე;

ბ) ერთი დეკადის ვადაში შეაკეთოს კირის გამოსაწვავი ღუმელი, შეუდგეს კირქვის დამუშავებას და უზრუნველჰყოს კირის წარმოების გეგმის შესრულება;

გ) გაფართოოს ხარის ნალის, ნალის ლურსმნის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის—თოხების, ბარების წარმოება და აიყვანოს ნაწარმის ყოველთვიური გამოშვება 10 ათას მანეთამდე უცვლელ ფასებით.

3. დაევალოს ხესტაფონის რაისამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. სარალიძეს:

ა) ერთი დეკადის ვადაში შეაკეთოს სამჭედლო სახელოსნო, გამოჰყოს სამჭედლოში საწყობისათვის ცალკე სადგომი და გაადიდოს ხარის ნალის, ლურსმნის, თოხებისა და ბარების ყოველთვიური გამოშვება 13 ათას მანეთამდე უცვლელ ფასებით;

ბ) დაუყოვნებლივ შეუდგეს ტევრის აგურის ქარხნის აღდგენას, შეაკეთოს მოწყობილობა, ღუმელი, საშრობი მეურნეობა, მიიყვანოს ქარხანასთან ელექტროგადამცემი ხაზი, დასდგას ტრანსფორმატორი, ამასთან უზრუნველჰყოს წარმოება მუშახელით და ა/წ 1 აგვისტოდან დაიწყოს პროდუქციის გამოშვება.

4. დაევალოს მახარაძის რაისამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. მახარაძეს:

ა) ა/წ მესამე კვარტალში მოაწყოს კირის წარმოება ნასაკირალის კირქვის კარიერის ბაზაზე და კერამიკული ნაწარმის დამზადება ჭონეთისა და მელიქედურის თიხის საბადოების ბაზაზე;

ბ) ორი დეკადის ვადაში შეაკეთოს სამრეწველო კომბინატის საწარმოთა შიდაწვის ძრავები, მოწყობილობა და ორი თვის განმავლობაში მოამზადოს 4 მოტორისტი.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს:

ა) ა/წ 1 სექტემბრამდე დაამზადოს 7 ზეთსახდელი ჰიდრავლიკური წნეხი ჩაის თესლისათვის და გადასცეს იგი სამტრედიის, მახარაძის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, ზუგდიდის, აბაშის რაიაღმასკომების სამრეწველო კომბინატებს და აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს;

ბ) ორი დეკადის ვადაში დაამზადოს გორის რაისამრეწველო კომბინატისათვის მისი ნახაზების მიხედვით 160 ცალი თუჯის ცეცხლრიკი;

გ) საჩხერის რაიაღმასკომთან ერთად ერთი თვის ვადაში შეამოწმოს, თუ რამდენად შესაძლებელია საჩხერის საბადოს ქვანახშირის ამოღების მოწყობა და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

ამავე ვადისათვის, ზესტაფონის რაიაღმასკომთან ერთად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინოს წინადადება ზესტაფონის კოლონის საბადოს ბაზაზე ფაიფურის ქარხნის მშენებლობის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ საჭიროა ქარხნის გადაცემა საექსპლოატაციოდ 1944 წლის 1 ოქტომბერს.

6. წინადადება მიეცეს „გლავტორჩერმეტის" თბილისის კანტორის მმართველს ამხ. კვიტაშვილს დაუშვას თავის ბაზებში რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატების წარმომადგენლები სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ლურსმნისა და ფართო მოხმარების სხვა ნაწარმის დასამზადებლად გამოსადეგი შავი ლითონის ჯართის გადასარჩევად.

7. დაევალოს გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბუჯიაშვილს ერთი თვის ვადაში შეაკეთოს სასოფლო გზები ხიდისთავის კრამიტის ქარხნამდე და გორისჯვარის კირის ქარხნამდე.

8. წინადადება მიეცეს ზესტაფონის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბერაძეს ერთი დეკადის განმავლობაში გადასცეს ზესტაფონის რაისამრეწველო კომბინატს 100 კვა სიმძლავრის ტრანსფორმატორი ტევრის აგურის ქარხნისათვის.

9. მიღებულ იქნას საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის წინადადება იმის შესახებ, რომ მდინარე ძვერაზე მოეწყოს ქვანახშირის მექანიკური ჭერა წელიწადში 2000 ტონის მოცულობით.

დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. გორდეზიანს საჭირო დახმარება აღმოუჩინოს ჩხარის რაიონულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო კომბინატს ქვანახშირის მექანიზებული ჭერის ორგანიზაციის საქმეში.

10. წინადადება მიეცეს ცეკავშირის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას ჩაატაროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის თესლის დამზადება მიმდინარე წლის მოსავლიდან 175 ტონის რაოდენობით და გადასცეს იგი რაისამრეწველო კომბინატებს საპნის დასამზადებლად (იხ. დანართი).

11. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მირცხულავას და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. მგელაძეს, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფუტკარაძეს და საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ბეჭვაიას, აგრეთვე შემდეგი რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და რაიკომების მდივნებს: მახარაძის (ამხ. დოლიძეს და სიხარულიძეს), ლანჩხუთის (ამხ. მანწკავას და შავდიას), სამტრედიის (ამხ. დუნდუას და გაბუნიას), წულუკიძის (ამხ. ციბაძეს და ობოლაძეს), ჭუთაისის (ამხ. მაღლაკელიძეს და გაბრიაძეს), წყალტუბოს (ამხ. ბიბილეიშვილს და ტოგონიძეს), გეგეჭკორის (ამხ. ცანავას და დარჯანიას), ცხაკაიას (ამხ. ბერაიას და კილასონიას), ზუგდიდის (ამხ. საჯაიას და ჩაჩუბაიას), წალენჯიხის (ამხ. კალანდიას და კვარაცხელიას) და ჩხოროწყუს (ამხ. კაკულიას და თოდუას) დაიყვანონ ჩაის თესლის შეგროვების დავალება კოლმეურნეობებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე, ამასთან უზრუნველჰყონ თესლის ჩაბარება 1944 წლის დამლევამდე სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელ პუნქტებში, დანართში აღნიშნული რაოდენობით.

12. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს უზრუნველჰყოს საწარმოო გეგმის შესასრულებლად საჭირო მასალების, ნედლეულის, სათბობის მიცემა რაისამომხმარებლო კომბინატებისათვის.

13. დაევალოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს რეგულარულად მოისმინონ რაიაღმასკომების სხდომებზე და რაიკომების ბიუროზე რაისამრეწველო კომბინატების საწარმოთა მუშაობის საკითხები, ამასთან ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მათ გეგმის შესრულებისა და ფართო მოხმარების საგნების (პირველ რიგში ადგილობრივი ნედლეულისაგან) წარმოების გადიდების საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 21 ივლისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 21/VII № 812 დადგ-
ნილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ე ბ ო ა

საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორსა და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში 1944 წელს ჩაის თესლის დამზადებისა რაიონულ (საქალაქო) სამრეწველო კომბინატების მიერ საპნის დასამზადებლად (ტონობით*)

ჩაის თესლის დამზადების რაიონების დასახელება	ს ე ბ ო	აქედან		ვის გადაეცემა ჩაის თესლი გადასამუშავებლად
		საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში	საქ. ჩაის საბჭ. მეურნ. ტრესტის სახით	
აფხაზეთის ასსრ	26	23	3	აფხაზეთის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატს
აჭარის ასსრ	25	12	13	აჭარის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატს
მახარაძის რაიონი	15	5	10	მახარაძის რაისამრეწველო კომბინატს
ლანჩხუთის „	15	15	—	ლანჩხუთის რაისამრეწველო კომბინატს
სამტრედიის „	3	3	—	სამტრედიის რაისამრეწველო კომბინატს
წულუკიძის „	8	5	3	წულუკიძის რაისამრეწველო კომბინატს
ქუთაისის „	5	5	—	ქუთაისის საქალაქო სამრეწველო კომბინატს
წყალტუბოს „	7	7	—	„
გეგეჭკორის „	15	10	5	გეგეჭკორის რაისამრეწველო კომბინატს
ცხაკაიას „	10	10	—	ცხაკაიას რაისამრეწველო კომბინატს
ზუგდიდის „	28	20	8	ზუგდიდის რაისამრეწველო კომბინატს
წალენჯიხის „	10	5	5	ცხაკაიას რაისამრეწველო კომბინატს
ჩხოროწყუს „	8	5	3	
	175	125	50	

*) შენიშვნა: ჩაის თესლის დამზადება საწარმოო მიზნებისათვის სწარმოებს მას შემდეგ, რაც დამთავრდება თესლის შეგროვება დასათესად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 813

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

თბილისის რაიაღმასკომის და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის შუამდგომლობა მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სოფელ ღრმაღელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა თბილისის რაიონიდან გადასახლებულ იქნა წალკის რაიონში, შეუმცირდეს თბილისის რაიონს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—69 სულით, ცხვრისა და თხისა 532 სულით და ცხენისა—1 სულით და შესაბამისად გაუდიდდეს წალკის რაიონს მეცხოველეობის განვითარების გეგმა.

წინადადება მიეცეს წალკის რაიაღმასკომს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომს გაუდიდონ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა სოფელ არსავანის მე-2 ხუთწლედის სახელობის, სოფელ ტეჟისის ბერიას სახელობის, სოფელ კედაკლიარის სტალინის სახელობის და სოფელ ცელანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებს.

საქართველოს სსრ მიწსახკომმა შეიტანოს სათანადო ცვლილებანი თბილისისა და წალკის რაიონების მეცხოველეობის განვითარების გეგმებში.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 21 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 814

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

იმ ჰექტარებზე მოსავლის აღების, შენახვისა და განაწილების შესახებ, რაც საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით დათესეს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დამხმარე ფონდისათვის

იმ მიზნით, რომ თავის დროზე იქნას აღებული მოსავალი იმ ჰექტარებზე, რაც საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა გეგმის გადამატებით დათესეს 1943 წლის შემოდგომასა და 1944 წლის გაზაფხულზე სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დამხმარე ფონდისათვის, და რომ ეს მოსავალი სწორად იქნას შენახული და გამოყენებული, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს უზრუნველჰყონ:

ა) მოსავლის თავის დროზე აღება იმ ჰექტარებზე, რაც კოლმეურნეობებმა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დამხმარე ფონდისათვის დათესეს;

ბ) კოლმეურნეობათა მიერ აქტების შედგენა რაიაღმასკომის წარმომადგენლის მონაწილეობით იმ ჰექტარებზე აღებული მოსავლის რაოდენობის შესახებ, რაც კოლმეურნეობებმა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დამხმარე ფონდისათვის დათესეს;

გ) ის, რომ კოლმეურნეობებმა ანაბარებითი ხელწერილქვეშ ჩააბარონ მთელი მოსავალი „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის უახლოეს ბაზებს, ხოლო იმ რაიონებში, სადაც „ზაგოტზერნოს“ ბაზები არა აქვს, მოსავალი ჩააბარონ რაისამომხმარებლო კავშირებს.

2. დაევალოს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომა-

რეს ამხ. ნარსიას მითითება მისცენ ბაზებს, რათა მიიღონ კოლმეურ-ნეობებისაგან სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დამხმარე ფონ-დისათვის დათესილ ჰექტარებზე აღებული მოსავალი და უზრუნველ-ჰყონ მისი სათანადო შენახვა, ამასთან მარცვლის გაცემა აწარმოონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამხედრო მოსამსა-ხურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვ-რებო მოწყობის სამმართველოს მითითებით.

3. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს ყო-ველდღეკადურად მოაწოდონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ცნობები სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დამხმარე ფონდისათვის დათე-სილ ჰექტარებზე მოსავლის აღებისა და „ზაგოტზერნოს“ საქართვე-ლოს კანტორის ბაზებსა და რაისამომხმარებლო კავშირების საწყო-ბებში მისი ჩაბარების შესახებ.

4. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დამხმარე ფონდისათვის დათესილ ჰექტარებზე აღებული მოსავლის განაწილება საქართვე-ლოს სსრ რაიონებში დაეკისროს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს-თან არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა სახელმწიფო უზრუნველ-ყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს, ხოლო რაი-ონებში მისი მიცემა სამხედრო მოსამსახურეთა იმ ოჯახებისათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ, მოხდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ დამტკიცებული სიებით.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.	**მდივანი ძ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 21 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 817

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოსათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოსათვის შემდგომი დახმარების აღმოჩენის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს გადასცეს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს დროებითს სარგებლობაში (სამი წლის ვადით) მსუბუქბეტონის ნაწარმის ქარხანა ქალაქ თბილისში და ძეგვის კირის ქარხანა.

გადაცემა მოხდეს 1944 წლის 1 ივლისის ბალანსის მიხედვით, ამასთან დაიდოს სათანადო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ აღნიშნული საწარმოები დაუბრუნდეს სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს სამი წლის შემდეგ ვარგის მდგომარეობაში.

2. ეთხოვოს ამიერკავკასიის ფრონტის სარდალს არმიის გენერალს ამხ. ტიულენევს დაავალოს ამიერკავკასიის ფრონტის საინჟინერო სამმართველოს დაუბრუნოს მსუბუქბეტონის ნაწარმის ქარხანა სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს, ვინაიდან მეტად საჭიროა ამ ქარხნის გადაცემა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის.

3. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს ამხ. კიკნაძეს განიხილოს საკითხი, რომ დროებიო, სამი წლის

ვადით, გადაეცეს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს ფოილოს საბალასტო კარიერის ერთი ნაწილი და ნება დართოს დაამზადოს და გაიტანოს ბალასტი აღნიშნულ კარიერიდან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამოუყოს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენს საირმის სატყეო მეურნეობაში (წითელი ველი) სათანადო ნაკვეთი და ნება დართოს მას დაამზადოს 1945 წელს, მაიაკოვსკი—წითელი ველის გზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, 100 ათასი კუბ. მეტრი მაქნისი ხე-ტყე, რისთვისაც მოჭრას ქერქიჭამიათი დაავადებული ხეები.

5. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის ხე-ტყის გამოზიდვის უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსს ამხ. ბირკაიას ყოველნაირად დაეჩქაროს მაიაკოვსკი—საირმე—წითელი ველის საავტომობილო გზის მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ 1945 წლის 1 ივლისამდე დაამთავროს გზის მიუვანა წითელ ველამდე.

მიღებულ იქნას ცნობად სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამმართველოს უფროსის ამხ. ვოლინსკის განცხადება, რომ იგი 5 თვის ვადით გამოყოფს 1500 მუშას მაიაკოვსკი—წითელი ველის გზის მშენებლობისათვის და, ამას გარდა, დახმარებას გაუწევს მთავარ საგზაო სამმართველოს ფეთქებადი ნივთიერების, საბურღი ფოლადისა და ჩანგლების დასამზადებლად საჭირო რკინის შესაძლო რაოდენობის გამოყოფით.

6. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას გამოუყოს ამიერკავკასიის მეტალურგმშენს ოჩამჩირის რაიონში ტყესაკაფი 5 ათასი კუბ. მეტრი შეშის დასამზადებლად 1944 წლის დამლევამდე.

7. მოწონებულ იქნას ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს წინადადება მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალ. თბილისიდან რუსთავამდე, გზატკეცილის მშენებლობის შესახებ. მიღებულ იქნას გზისათვის გაადგილებული მიწის ვაკისი, ხრეშის გასავლელი ნაწილი და დროებითი ხელოვნური ნაგებობანი, აგრეთვე დროებითი ტრასით შემოსავლელი ხორცკომბინატიდან ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხნამდე მდებარე უბანზე.

8. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს ამხ. კიკნაძეს მოაწყოს მუშა-მატარებლის ყოველდღიური მი-

მოსვლა ნავთლუღის სადგურიდან რუსთავამდე ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს ამხ. ჯაშს დახმარება გაუწიოს ამიერკავკასიის მეტალურგმშენს იმ მხრივ, რომ შეაგროვოს დემობილიზებულ წითელარმიელთა რიცხვიდან 200 კაცი გასამხედროებული მცველი რაზმის პირადი შემადგენლობის დასაკომპლექტებლად.

10. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას, სამრეწველო განყოფილებასთან ერთად, ერთი თვის განმავლობაში მობილიზაცია უყოს და ამიერკავკასიის მეტალურგმშენის განკარგულებაში გაგზავნოს მუშაკები, თანამდებობათა თანდართული ნუსხის თანახმად. ამას გარდა, გაგზავნოს „გიპრომეზის“ კანკარგულებაში 10 დამპროექტებელი ინჟინერი.

11. მოწონებულ იქნას ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანასთან ქალაქის გაშენების გენერალური გეგმის სქემა, რაც შემოშავებულია შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის „გიპრომეზის“ მიერ.

12. მძლავრი დამხმარე მეურნეობის შექმნის მიზნით, საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს გადაეცეს:

ა) მიწის მთელი ფართობები, საწარმოო და საცხოვრებელი შენობები ყარაიის რაიონის გერმანელთა ყოფილ დაბაში, რომლებიც ამჟამად ტელმანის სახელობის კოლმეურნეობას უჭირავს. აგრეთვე ამ კოლმეურნეობის იმ განსაზოგადოებული პირუტყვის ნაწილი, რომელიც წინათ ეკუთვნოდა სპეცგადასახლებულებს (გერმანელებს);

ბ) ყარაიის რაიონის სოფელ ამბარ-ტაფის როზა ლუქსემბურგის სახელობის ყოფილი კოლმეურნეობის მიწის მთელი ფართობები (მათ შორის მრავალწლოვანი ნარგავები) და შენობები, რომლებიც საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს გადაეცა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 13 ნოემბრის № 1618-ს დადგენილებით;

გ) 300 ჰექტარი სახნავი მიწა და 243 ჰექტარი საძოვარი თბილისის რაიონის სოღანლუღის სასოფლო საბჭოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს—ამხ. ხოშტარიას:

ა) გამოარკვიოს იმ პირუტყვის რაოდენობა, რომელიც ამიერ-

კავკასიის მეტალურგმშენს უნდა გადაეცეს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობიდან ამ დადგენილების მე-12 პუნქტის თანახმად;

ბ) დადგენილი წესით გააფორმოს ტელმანის სახელობის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობათა მიწების, საწარმოო და საცხოვრებელი შენობების გადაცემა ამიერკავკასიის მეტალურგმშენისათვის;

გ) იმ მიწების ნაცვლად, რომლებიც ამიერკავკასიის მეტალურგმშენისათვის გადასაცემად ჩამოერთვა საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს, გამოუყოს ამ უკანასკნელს სოღანლუღში 200 ჰექტარამდე სახნავი მიწა მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან;

დ) დამატებით გამოუყოს ამიერკავკასიის მეტალურგმშენს დროებითს სარგებლობაში ბაშქიჩეთის რაიონის კოლმეურნეობათა გამოუყენებელ მიწებიდან 200 ჰექტარი მიწა კარტოფილის დასათესად;

ე) მისცეს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს დამხმარე მეურნეობისათვის საჭირო რაოდენობის ბოსტნეული კულტურების თესლი.

14. სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოსათვის ამ დადგენილების თანახმად მიწების ფაქტიური გადაცემა მოხდეს მას შემდეგ, რაც სათანადო მეურნეობანი აიღებენ მიმდინარე წლის მოსავალს.

15. ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა თავის დროზე ჩატარების მიზნით, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს მიმდინარე წლის მოსავლის აღებისთანავე დაამუშაოს ის მიწები, რაც მას ამ დადგენილების თანახმად გადაეცა.

იმის გამო, რომ საქართველოში არ მოიპოვება სათესლე კარტოფილის საჭირო ოესურსები, აგრეთვე ბალახების თესლი, დაევალოს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს უფროსს დროულად იზრუნოს იმაზე, რომ შემოტანილ იქნას დამხმარე მეურნეობისათვის საჭირო რაოდენობის კარტოფილი და კულტურული ბალახების თესლი.

16. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ბერიშვილს გამოუყოს 1944 წლის IV კვარტალში სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს დამხმარე მეურნეობისათვის 50 ძროხა იმ ხორცის ფონდების ანგარიშში, რაც ა. კ. მეტალურგმშენს უნდა მიეცეს.

17. დაევალოს საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის მმართველს ამხ. ჯაფარიძეს მისცეს ა. წ. IV კვარტალში სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოს დამხმარე მეურნეობისათვის 10 დედაღორი და 2-დან 4 თვის ასაკამდე 50 გოჭი.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 24 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ტ. კომის
1944 წ. 24|VII № 817 დადგენილების დანართი №1
კავშირის შინსახკომის „ზაკმეტალურგსტროისათვის“
დახმარების აღმოჩენის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის შინსახკომის „ზაკმეტალურგსტროისათვის“ საჭირო საინჟინერო-ტექნიკური და ადმინისტრატიულ-სამეურნეო კადრების რაოდენობის შესახებ

თანამდებობათა დასახელება	ერთეულთა რაოდენობა	შენიშვნა
1. საინჟინერო კვლევა-ძიების განყოფილების უფროსის მოადგილე გეოლოგიის დარგში	1	
2. ვეტერინარული განყოფილების უფროსი . . .	1	
3. მშენებლობის კანცელარიის უფროსი	1	
4. საბინაო-კომუნალური განყოფილების უფროსი . .	1	
5. „ტორგპიტის“ უფროსის მოადგილე	1	
6. საბინაო-კომუნალური განყოფილების სარემონტო კანტორის უფროსი	1	
7. განსაკუთრებულ ნაგებობათა განყოფილების საგეგმო-საფინანსო ნაწილის უფროსი	1	
8. საბარათო ბიუროს უფროსი	1	
9. დამხმარე საწარმოთა დაგეგმვის განყოფილების უფროსი	1	
10. მთავარი მექანიკის განყოფილების საგეგმო ნაწილის უფროსი	1	
11. მთავარი მექანიკის განყოფილების საწარმოო-ტექნიკური ნაწილის უფროსი	1	
12. სამშენებლო ძასალათა ლაბორატორიის მექანიკური გამოცდის განყოფილების უფროსი . . .	1	
13. სამშენებლო მასალათა ლაბორატორიის ქიმიური განყოფილების უფროსი	1	
14. შავი და ფერადი ლითონების განყოფილების უფროსი	2	აქედან 1—ჯგუფის ხელმძღვანელი
15. ლითონნაწარმებისა და სანტექნიკის განყოფილების უფროსი	2	
16. საველე ლაბორატორიის უფროსი	1	
17. განყოფილების უფროსი ხე-ტყის მომარაგების დარგში	1	
18. განყოფილების უფროსი დაგეგმვის დარგში .	1	
19. განყოფილების უფროსი ხე-ტყის დამუშავებათა ექსპლოატაციის დარგში	1	

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	ერთეულთა რაოდენობა	შენიშვნა
20. განყოფილების უფროსი სატყეო კანტორის ფონდების რეალიზაციის დარგში	1	
ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინრები		
21. მექანიკური მონტაჟის დარგში	1	
22. გათბობისა და ვენტილაციის დარგში	1	
23. სანტექნიკოსები	2	
24. უფროსი ინჟინრები სამშენებლო მექანიზმების მუშაობის დაგეგმვის დარგში	1	
25. უფროსი ინჟინერი მექანიზმების რემონტის დარგში	1	
26. ინჟინერ-კონსტრუქტორები	2	აქედან 1—უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი
27. უფროსი ინჟინერი ნორმატივების დარგში	1	
28. უფროსი ინჟინერი მექანიზმების პასპორტიზაციის დარგში	1	
29. უფროსი ინჟინერი ლითონის კონსტრუქციების დამზადების დარგში	1	
30. უფროსი ინჟინერი მოწყობილობის დარგში	1	
31. ინჟინერ-გეოდეზისტები	2	
32. მუშაობის მწარმოებელ-მშენებლები	5	
33. მუშაობის მწარმოებლები სანტექნიკის დარგში	1	
34. არქიტექტორები	2	
35. ინჟინერ-დამპროექტებლები წყალსადენის დარგში	1	
36. ინჟინერ-დამპროექტებლები სათბობის დარგში	1	
37. სხვადასხვა სპეციალობის ტექნიკოსები	5	
კადრებზე ზემოაღნიშნული მოთხოვნილების გარდა, მშენებლობისათვის საჭიროა შემდეგი კადრები:		
1. ყველა კატეგორიის მოანგარიშე მუშაკები	100	
2. ინჟინერ-ეკონომისტები და მგეგმავები	5	
3. წარმოების დისპეტჩერები	15	
4. ნაწილების უფროსები ბანაკებში	10	(კვ, ურჩ, ჩოს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 818

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ-ში მცხოვრებ დაღისტნელთა დაღისტნის ასსრ-ში გადასახლების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18 მაისის № 546 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ენ:

1. გადასახლებულ იქნას დაღისტნის ასს რესპუბლიკისათვის მიკუთვნებულ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის ყოფილ რაიონებში საქართველოს სსრ ყვარლის რაიონის დაღისტნელ კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობათა ყველა მეურნეობა.

მთელი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდეს იმ ანგარიშით, რომ გადასახლება დამთავრდეს არაუგვიანეს 1944 წლის 10 აგვისტოსი.

2. ნება დაერთოს გადასახლებულ კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს თან წაიღონ პირადად მათი კუთვნილი ქონება და გარეკონ საკუთარი პირუტყვი, აგრეთვე სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შემდეგ დარჩენილ კოლმეურნეთა კუთვნილი მთელი მოძრავი ქონება, ფულადი სახსრები და პირუტყვი.

დადგენილ იქნას, რომ დაღისტნის ასსრ-ში გადასახლებულ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა კუთვნილ პირუტყვს წაიყვანებენ ახალი დასახლების ადგილას გარეკის წესით.

3. ზემოეტ გადაზიდვათა თავიდან აცილების მიზნით, დადგენილ იქნას, რომ დაღისტნის ასსრ-ში გადასახლებულ კოლმეურნეობათა,

კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა კუთვნილი მარცვალი ბარდება ადგილობრივ სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის წარმომადგენლებს.

დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის მოადგილეს (ამხ. კირიაკოვს) და სრულიად-საკავშირო გაერთიანება „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქანტორის მმართველს (ამხ. სიხარულიძეს) მიიღონ ადგილობრივ სოფ. ტივსა და ხაშალხუთში მარცვალი დაღისტნის ასსრ-ში გადასახლებულ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთაგან და მისცენ ამ უკანასკნელთ დაწესებული ფორმის გასაცვლელი ქვითრები სათანადო რაოდენობის მარცვლის მისაღებად ახალი დასახლების ადგილას.

4. დადგენილ იქნას, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა დაღისტნის ასსრ-ში გადასახლების მომენტისათვის არ იქნება ჩატარებული მათს საკარმიდამო ნაკვეთებზე საგვიანო კულტურებისა (სიმინდისა) და ნათესების მოსავლის აღება, ამ კულტურების მოსავლის შეფასებასა და მისი აღების ორგანიზაციას აგრეთვე კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა კუთვნილი მოსავლის ანაზღაურებას (სახჩაბარების, ნატურსაზღაურისა და სათესლე სესხის გამოკლებით) აწარმოებს ყვარლის რაიაღმასკომი.

დაევალოს ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ავაზაშვილს მოაწყოს კომისია რაიაღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკის მეთაურობით საგვიანო კულტურათა ნათესების ზუსტი აღრიცხვის ჩასატარებლად, აგრეთვე მოსავლის შესაფასებლად და ცალცალკე ყოველი მეურნეობისათვის ასანაზღაურებელი მოსავლის ოდენობის დასაწესებლად.

5. დაევალოს ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ავაზაშვილს მოაწყოს დაღისტნის ასსრ-ში გადასახლებულ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა კუთვნილი ნათესებისა და საგვიანო კულტურების მოსავლის სათანადო მოვლა, დაცვა და აღება.

6. დადგენილ იქნას, რომ დაღისტნის ასსრ-ში გადასახლებულ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს უნაზღაურდებათ საქართველოს სსრ ბიუჯეტის ხარჯზე საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შენობათა ღირებულება საბალანსო ან სადაზღვევო ღირებულების მიხედვით და გაცვეთის გათვალისწინებით, გადასახლებულ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებზე რიცხული სახელმწიფო კრედიტების გამოკლებით.

აღნიშნულ შენობათა ღირებულების გამოსარკვევად შეიქმნას

კომისია საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. კ. გ. სოხაძის (თავმჯდომარე), ი. კალატოზიშვილის (საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველოს უფროსი), ავაზაშვილის (ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარე) და დაღისტნის ასსრ სახკომსაბჭოს წარმომადგენლების ამხ. მირანოვიჩისა და გაჯიევის შემადგენლობით.

დაევალოს ომისიას ორი კვირის განმავლობაში დაამთავროს მუშაობა იმ ანგარიშით, რომ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 აგვისტოსი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ყველა გაანგარიშებანი საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შენობათა ასანაზღაურებლად დაღისტნის ასსრ-ში გადასახლებულ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთათვის საბალანსო და სადაზღვევო ღირებულებით, გაცვეთის გათვალისწინებითა და მათზე რიცხული სახელმწიფო კრედიტების გამოკლებით.

7. დადგენილ იქნას, რომ:

ა) ამ დადგენილების თანახმად გადასახლებულ მეურნეობებს ენიჭებათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 მარტის №-255—74 სს დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები;

ბ) გადასახლებულ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს ნება ეძლევათ უფასოდ გაემგზავრონ რკინიგზით ახალი დასახლების ადგილამდე.

8. გადასახლებულთა გადაყვანა და მათი მოძრავი ქონებისა და აგრეთვე გადასახლებულთაგან საქმარცვალდამზადების ორგანოების მიერ ადგილობრივ მიღებული მარცვლის გადაზიდვა წარმოებულ იქნას სადგურ თელავამდე ავტომანქანებით, რისთვისაც დაევალოს:

ა) საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. რთველაძეს გაგზავნოს ყვარელში მიმდინარე წლის 3 აგვისტოსათვის 30 სატვირთო ავტომანქანა;

ბ) „სოიუზზაგოტტრანსის“ საქგანყოფილების მმართველს ამხ. კუპრაიას გაგზავნოს ყვარელში 3 აგვისტოსათვის 20 სატვირთო ავტომანქანა;

გ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—გაითვალისწინოს აგვისტოს ფონდით 10 ტონა ბენზინის მიცემა ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატისათვის გადასახლებულთა გადასაყვანად.

9. დაევალოს „გლავნეფტესბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველის მოადგილეს ამხ. კარაპეტიანს, პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყოს 23 ტონა ბენზინის მიზიდვა თელავის ბაზაში და დაწყებული 2 აგვისტოდან, ამ ბაზიდან გაცემა გადასახლებულთა გადასაყვანად, აქედან 10 ტონის მიცემა ავტოტრანსპორტის

სახალხო კომისარიატისათვის საქართველოს სსრ ფონდების ხარჯზე და 13 ტონისა—„სოიუზზაგოტტრანსის“ საქართველოს განყოფილებისათვის მისი ფონდების ხარჯზე.

10. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18 მაისის № 546 დადგენილების შესაბამისად, უზრუნველჰყოს 150 დახურული სასაქონლო ვაგონის მიწოდება სადგ. თელავში გადასახლებულ დაღისტნელთა გადასაყვანად, აქედან 5 აგვისტოსათვის მიაწოდოს 50 ვაგონი, 6 აგვისტოსათვის—50 ვაგონი და 7 აგვისტოსათვის—50 ვაგონი.

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. კიკნაძემ დანიშნოს გზის სამმართველოს ერთი პერსონალურად პასუხისმგებელი მუშაკი გადასახლებულ დაღისტნელთა გადაყვანის უზრუნველსაყოფად სადგ. თელავიდან სადგ. გუდერმესამდე.

11. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს გამოჰყოს საჭირო რაოდენობის მედმუშაკები და მედიკამენტები გადასახლებულ დაღისტნელთა მომსახურებისათვის გზაში.

12. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანს ამხ. ციხისთავს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ავაზაშვილს:

ა) უზრუნველჰყონ საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი და სხვა შენობების გულმოდგინედ დაცვა სოფელ ხაშალხუთსა და ტივში;

ბ) არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 აგვისტოსი წარმოუდგინონ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სათანადო წინადადებანი სოფელ ხაშალხუთში კოლმეურნეთა ჩასახლების შესახებ.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. კოჭლამაზაშვილს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილეს ამხ. ჭიჭინაძეს გაემგზავრონ ყვარლის რაიონში და პირადად უხელმძღვანელონ მთელს მუშაობას ყვარლის რაიონში მცხოვრებ დაღისტნელთა გადასახლებისათვის.

ნება დაერთოს ამხ. კოჭლამაზაშვილსა და ჭიჭინაძეს თან წაიყვანონ მუშაკთა ჯგუფი და მათ შორის საქართველოს სსრ სახ-

კომსაბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველოს უფროსი ამხ. ვასაძე და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის მმართველი ამხ. ჯანაშია.

14. დაევალოს ამხ. კოჭლამაზაშვილს, ჭიჭინაძეს, საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანს ამხ. ციხისთავს და ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ავაზაშვილს უზრუნველჰყონ ყვარლის რაიონში მცხოვრებ დაღისტნელთა გადასახლების ორგანიზებული ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 25 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 820

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“ მიღებული დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“ მიღებული დადგენილების განსახორციელებლად და დამატებით საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 5 ივნისის № 599 დადგენილებისა „1944 წელს მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების, გალეწვისა და დამზადების შესახებ“,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს მოაწყონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“ მიღებული დადგენილების ფართო განხილვა პარტიულ, კომკავშირულ კრებებზე სასოფლო ადგილებში, კოლმეურნეთა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საერთო კრებებზე და ყოველი ცალკე კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მიხედვით დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ზემოაღნიშნული დადგენილების განახორციელებლად.

2. წინადადება მიეცეს იმ რაიონების რაიაღმასკომებს და რაიკომებს, სადაც თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება უკვე დაწყებულია:

ა) შეამოწმონ კოლმეურნეობებში მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების მიმდინარეობა, მიიღონ ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპების გაძლიერებას; არ დაუშვან ძირზე პურის გადამწიფება და ჩამოცვენა და მიაღწიონ მარცვლის დანაკარგების თავიდან აცილებას როგორც მოსავლის აღებისა და გალეწვის დროს, ისე პურის ტრანსპორტირების დროსაც;

ბ) მოაწყონ კოლმეურნეთა და მათი ოჯახების წევრთა, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა, აგრეთვე კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის, მათ შორის 14 და მეტი წლის მოზარდთა, მასობრივი გასვლა მოსავლის აღების სამუშაოებზე,

გ) მოაწყონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი თავთავების სავალდებულო აკრეფა ხელით, ამასთან ჩააბან ამ მუშაობაში მოსწავლეები და სკოლის ასაკის ყველა ბავშვი.

3. დაევალოს იმ რაიონების რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, სადაც მარცვლეული თავთავიანი კულტურების აღება ჯერ კიდევ არ დაწყებულა, გაგზავნონ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და მოაწყონ იმის შემოწმება, თუ რამდენად არის მომზადებული მოსავლის ასაღებად ყოველი კოლმეურნეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური და საბჭოთა მეურნეობა; შემოწმების შედეგები მოისმინონ რაიაღმასკომების სხდომებსა და პარტიის რაიკომების ბიუროზე, ამასთან მიიღონ საჭირო ზომები მოსავლის აღების მზადებისა და პურის აღების ამუშაოების ხარისხოვნად და დროულად ჩატარების უზრუნველყოფის საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

უახლოეს დღეებში მთლიანად დაამთავრონ მოსავლის ასაღები ყველა მანქანის, წვრილი ინვენტარის, სალეწი მანქანებისა და მარცვალსაწმენდი მანქანების რემონტი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს მიამგროს სალეწი მანქანების რემონტის მხრივ ჩამორჩენილ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს—გორის, ახალსოფლის, შინდისის, კასპის, სტალინირის, ოკამის, ბოგდანოვკის, ულიანოვკის, თელავის, საგარეჯოს და სართიჭალის სადგურებს—სპეციალისტები და მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა სავსებით დამთავრდეს სალეწი მანქანების რემონტი უახლოეს დღეებში.

5. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს შეა-

მოწმონ, თუ რამდენად არიან უზრუნველყოფილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მუშახელით მოსავლის აღების პერიოდისათვის, ამასთან მოსავლის აღების სამუშაოებში ჩააბან მობილიზაციის წესით, ქალაქებისა და სასოფლო ადგილების შრომისუნარიანი მოსახლეობა, აგრეთვე სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები.

განემარტოს მთელ შრომისუნარიან მოსახლეობას, რომელიც მობილიზაციის წესით გაწვეულია მოსავლის აღების სამუშაოებისათვის, რომ ყოველი მობილიზებული ვალდებულია გამოიმუშაოს 40-50 შრომადღე კოლმეურნეობებში, 50-60 დღიური ნორმა საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო სკოლების მოსწავლეები ვალდებული არიან გამოიმუშაონ 20-30 შრომადღე კოლმეურნეობებში და 20-30 დღიური ნორმა საბჭოთა მეურნეობებში, რის შესრულების შემდეგ ისინი, მათი სურვილისამებრ, შეიძლება განთავისუფლებულ იქნან მობილიზაციისაგან.

6. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახების მოზრდილი შრომისუნარიანი წევრები და სხვა შრომისუნარიანი მოსახლეობა არაკოლმეურნეთა რიცხვიდან, რომლებიც კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ცხოვრობენ, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ მობილიზაციის წესით გაწვეული პირები, რომლებიც თავს არიდებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლის აღების სამუშაოებს.

7. წინადადება მიეცეს ყველა რაიაღმასკომს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს მტკიცედ დაიცვან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებული წესი პირველი გალეწვის მარცვლის გამოყენებისა, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან პურის გახარჯვა კოლმეურნეებისათვის ავანსების მისაცემად და კოლმეურნეობათა შიდასამეურნეო საჭიროების დასაკმაყოფილებლად დაწესებული ოდენობის გადამეტებით.

8. განემარტოს კოლმეურნეობათა გამგეობებსა და კოლმეურნეებს რომ:

ა) მოსავლის აღების პერიოდში და დამზადების გეგმის შესრულებამდე კოლმეურნეობებს შეუძლიათ გადარიცხონ ავანსების გასაცემად და შიდასამეურნეო საჭიროებისათვის სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში ფაქტიურად ჩაბარებული მარცვლის 15 პროცენტი;

ბ) ის კოლმეურნეები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ შეა-

სრულებენ მოსავლის აღების სამუშაოებს, კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით დაჯარიმებული იქნებიან შრომადღეებით და მათ წაერთმევათ ნატურალური ავანსების მიღების უფლება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოსავლის აღების სამუშაოებისათვის მობილიზაციის წესით გაგზავნილ შრომისუნარიან მოსახლეობას, საბოლოო ანგარიშის გასწორებამდე, კოლმეურნეობები ყოველ გამომუშავებულ შრომადღეში მისცემენ ავანსს ერთი კილოგრამი მარცვლის რაოდენობით, რის სამაგიეროდაც შეიძლება მიეცეთ შეთანხმების მიხედვით 5 კილოგრამი კარტოფილი ან სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინსახკომს, საქართველოს მეცხოველეობის ტრესტს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს განუმარტონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს, რომ 1944 წლისათვის დატოვებულია 1943 წელს მოქმედი წესი, რომლის მიხედვითაც ნატურით ეძლევა პრემიები საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებს და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოსიარულე საუნწნო მექანიკოსებს, რომელთაც უზრუნველჰყვეს კომბაინით აღების დაწესებული გეგმის შესრულება კარგი ხარისხით, ესე იგი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოსიარულე საუნწნო მექანიკოსები, რომელთაც კარგი ხარისხით შეასრულეს კომბაინით აღების დაწესებული გეგმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურისაგან მიიღებენ ნატურალურ პრემიას მარცვლად 10 ფუთის რაოდენობით მოსავლის აღების დამთავრებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, ხოლო საბჭოთა მეურნეობების და სასელექციო სადგურების ტრაქტორისტები მიიღებენ, ფულად საზღაურს გარდა, ნატურალურ პრემიას მარცვლად იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია მათთან ერთად მომუშავე კომბაინერისათვის.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ა|წ 15 ავგისტომდე წარმოადგინონ წინადადებანი შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ზეთოვანი კულტურების აღებისა და დამზადების შესახებ.

11. დაევალოს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ და „კომუნისტის“ რედაქციებს გამოსცენ ბროშურად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“ რუსულ ენაზე—1.500 ცალი და ქართულ ენაზე—5.000 ცალი.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 25 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 824

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. გ. ი. არჯევანიძის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის (მეცხენეობის დარგში) თანამდებობიდან მოხსნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოიხსნას ამხ. გ. ი. არჯევანიძე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის (მეცხენეობის დარგში) თანამდებობიდან იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველჰყო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკიდან საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისათვის გადაცემული პირუტყვის მიღებისა და გარეკვის ხელმძღვანელობა და დაუშვა ბოროტმოქმედებანი და პირუტყვის განიავება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 27 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 825

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საკოლმეურნეო საჯიშე ფერმებიდან და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებიდან ჯიშიანი პირუტყვის გაყიდვის 1944 წლის გეგმის შესახებ

საკოლმეურნეო მეცხოველეობის ჯიშობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯიშიანი პირუტყვის დამზადების 1944 წლის გეგმა:

მოზვერი შვიცის ჯიშისა	600	სული
უშობელი შვიცის ჯიშისა	200	„
მოზვერი სიმენტალის ჯიშისა	20	„
მოზვერი წითელ-საველე ჯიშისა	20	„
ქოსმენი დიდი თეთრი ჯიშისა	200	„
ღორი დიდი თეთრი ჯიშისა	200	„
ყოჩი რამბულიეს მეტისისა	500	„
აქედან ცხიმკუდიანი	250	„

მათ შორის:

ა) საკოლმეურნეო საჯიშე ფერმებიდან:

მოზვერი შვიცის ჯიშისა	540	სული
უშობელი შვიცის ჯიშისა	200	„
მოზვერი წითელ-საველე ჯიშისა	10	„
ქოსმენი დიდი თეთრი ჯიშისა	200	„
ღორი დიდი თეთრი ჯიშისა	200	„

ბ) სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზვერი შვიცის ჯიშისა . . . . . 60 სული
მოზვერი სიმენტალის ჯიშისა . . . . . 20 „

გ) შინსახკომის ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობიდან:

მოზვერი წითელ-საველე ჯიშისა . . 10 სული

დ) საქართველოს სსრ მიწსახკომის სასწავლო მეურნეობა „უდაბნოდან“:

ყოჩი რამბულიეს მეტისისა . . . . . 500 სული
აქედან ცხიმკუდიანი . . . . . 250 „

დამტკიცდეს ამ ჯიშიანი სულადობის განაწილება რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით განსაზღვრული მთელი ჯიშიანი სულადობის დამზადება და რეალიზაცია ხდება მიწსახკომის ცხოველდამზადების კანტორის საქართველოს განყოფილების მეშვეობით.

დაევალოს ცხოველდამზადების კანტორას ჯიშიანი პირუტყვის დამზადება და გაყიდვა აწარმოოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 13 აპრილის დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისათვის ჯიშიანი პირუტყვის მიყიდვის 1944 წლის გეგმა შემდეგი ოდენობით:

მოზვერი შვიცის ჯიშისა . . . . . 500 სული
უშობელი შვიცის ჯიშისა . . . . . 200 „
მოზვერი წითელ-საველე ჯიშისა . . . 20 „
ქოსმენი დიდი თეთრი ჯიშისა . . . . 200 „
ღორი დიდი თეთრი ჯიშისა . . . . . 200 „
ყოჩი რამბულიეს მეტისისა . . . . . 500 „
აქედან ცხიმკუდიანი . . . . . 250 „

რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რაიონების მიხედვით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

4. წინადადება მიეცეს მიწსახკომსა და ცხოველდამზადების კანტორის საქართველოს განყოფილებას საჯიშე საკოლმეურნეო ფერმებში დამზადებული შვიცის ჯიშის 80 სული მოზვერი და ბაშქირეთის მეჯიშეობის საბჭოთა მეურნეობაში დამზადებულ სიმენტალის ჯიშის 20 სული მოზვერი ამა წლის 1 ოქტომბრამდე გაიყვანონ ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ კოლმეურნეობებისათვის მისასყიდად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს 1944 წლის 15 აგვისტომდე გამოარკვიოს, თუ რამბულიეს ჯიშის რამდენი მწარმოებელი ყოჩი სჭირდებათ კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებს, დააწეოს ამ კოლმეურნეობებისათვის სასწავლო მეურნეობა „უდაბნოდან“ მეტისური ყოჩების მიყიდვის გეგმა და მიმდინარე წლის დაგრილების კამპანიის დაწყებამდე მოაწყოს აღნიშნული ყოჩების შეყვანა რაიონებში.

6. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ბაშქიჩეთის, წალკის, თბილისის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, თელავის, ბოლნისის, სამტრედიის, ვანის, ზუგდიდის, ტყიბულის რაიაღმასკომებს, აგრეთვე ბაშქიჩეთის მეჯიშეობის საბჭოთა მეურნეობის, შინსახკომის ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობა „უდაბნოს“ დირექტორებს უზრუნველჰყონ ჯიშიანი პირუტყვის მიყიდვა მიწსახკომის ცხოველდამზადების კანტორის საქართველოს განყოფილებისათვის მიმდინარე წლის III კვარტალში.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს ხუთი დღის ვადაში დაიყვანოს რაიონებამდე, ხოლო რაიაღმასკომებმა— კოლმეურნეობებამდე ჯიშიანი პირუტყვის დამზადებისა და გაყიდვის 1944 წლის გეგმა, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით.

8. დაევალოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს მეცხოველეობის დარგში ამხ. ი. კოპლამაზაშვილს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

საკ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 26/VI
№ 825 დადგენილების დანართი № 1

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშიანი მოზარდეულის დამზადებისა და კოლმეურნეობებისათვის მიყიდვის 1944 წლის გეგმა

დამზადება				გაყიდვა			
რაიონები	ჯიში	მოზვერი	უშობელი	რაიონები	ჯიში	მოზვერი	უშობელი
1. ახალქალაქის	შვიცის	60	30	ახალციხის	შვიცის	30	20
				ჭიათურის	„	—	10
				ჩხარის	„	10	—
				ასპინძის	„	15	—
				ა/კ მეტალურგმშენი	„	5	—
2. ბოგდანოვკის	„	140	70	ასპინძის	„	—	20
				სილნაღის	„	10	—
				ფოთის	„	10	10
				ლაგოდეხის	„	20	10
				ორჯონიკიძის	„	20	10
				გორის	„	10	10
				ონის	„	10	10
				მაიაკოვსკის	„	12	—
				წალენჯიხის	„	8	—
				ჩრდ.-ოსეთის ასსრ	„	40	—
3. ბორჯომის	„	140	40	ზესტაფონის	„	40	10
				სამტრედიის	„	25	20
				ამბროლაურის	„	12	—
				ჭუთაისის	„	15	10
				ცაგერის	„	8	—
				წყალტუბოს	„	20	—
				ჩრდ. ოსეთის ასსრ	„	20	—

დამზადება				გაყიდვა			
რაიონები	ჯიში	მოზვერი	უშობელი	რაიონები	ჯიში	მოზვერი	უშობელი
4. ბაშქიჩეთის	შვიცის	120	60	სიღნაღის	შვიცის	10	10
				თელავის	„	10	10
				ლანჩხუთის	„	10	—
				ბორჩალოს	„	10	10
				ყარაიის	„	10	10
				ბოლნისის	„	10	10
				წითელწყაროს	„	10	10
				საგარეჯოს	„	10	—
				ჩრდ ოსეთის ასსრ	„	40	—
5 წალკის	„	30	—	წალკის	„	30	—
6. სამხრეთ-ოსეთის ა/ო .	„	20	—	სამხრ. ოსეთის ა/ო.	„	20	—
7. თბილისის	„	10	—	თბილისის	„	10	—
8. თბილისის	წითელ-საველე	10	—	თბილისის	წითელ-საველე	10	—
9. თეთრიწყაროს	შვიცის	20	—	თეთრიწყაროს	შვიცის	20	—
სულ საკოლმეურნეო ფერმებიდან . .		550	200	ს უ ლ		550	200
10. ბაშქიჩეთის მეჯიშეობის საბჭოთა მეურნეობა	შვიცის	60	—	წითელწყაროს	„	10	—
		60		სიღნაღის	„	6	—
				ბოგდანოვკის	„	8	—
				წალკის	„	8	—
				ალალქალაქის	„	10	—
				ბოლნისის	„	8	—
				თეთრიწყაროს	„	10	—
11. ბაშქიჩეთის მეჯიშეობის საბჭოთა მეურნეობა	სიმენტალის	20	—	ჩრდ. ოსეთის ასრ	სიმენტალის	20	—

დამზადება				გაყიდვა			
რაიონები	ჯიში	მოზვერი	უშობელი	რაიონები	ჯიში	მოზვერი	უშობელი
12. შინსახკომის საბჭოთა მეურნეობა	წითელ-საველე	10	—	თბილისის	წითელ-საველე	10	—
სულ საბჭოთა მეურ-ნეობებიდან . .		90	—	სულ		90	—
მთლად . .		640	200	მთლად . . .		640	200

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 26/VII
№ 825 დადგენილების დანართი № 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიშიანი ღორების დამზადებისა და გაყიდვის 1944 წლის გეგმა

დამზადება				გაყიდვა			
რაიონები	ჯიში	ქოსმენი	ღორი	რაიონები	ჯიში	ქოსმენი	ღორი
ლაგოდეხის	დიდი თეთრი	20	30	წითელწყაროს	დიდი თეთრი	20	20
				ლაგოდეხის	„	—	10
თელავის	„	30	30	თელავის	„	24	25
				საგარეჯოს	„	6	5
ბოლნისის	„	30	40	ბოლნისის	„	10	10
				ბორჩალოს	„	10	10
				ბაშქიჩეთის	„	10	20
სამტრედიის	„	20	25	სამტრედიის	„	—	15
				ჩოხატაურის	„	10	10
				აჭარის ასსრ	„	10	—
ვ ა ნ ი ს	„	20	25	ვ ა ნ ი ს	„	20	25
ზუგდიდის	„	60	40	აფხაზეთის ასსრ	„	50	30
				ფოთის	„	10	10
ტყიბულის	„	10	10	წყალტუბოს	„	—	10
				ქუთაისის	„	10	—
აფხაზეთის ასსრ	„	10	–	აფხაზეთის ასსრ	„	10	—
ს უ ლ . . .		200	200	ს უ ლ		200	200

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 826

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის შესახებ

იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 6 ივლისის № 831 დადგენილება „სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს 1944 წლის 1 ივლისიდან საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ მუშაკთათვის შემდეგი თანამდებობრივი განაკვეთები:

I. რესპუბლიკურ სამომხმარებლო კავშირში (ცეკავშირი)

პრეზიდიუმის თავმჯდომარეს . . .	1.650	მან. თვეში
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებს	1.360	„ თვითეულს

განყოფილებათა უფროსებს:

სამრეწველო საქონლის განყ. უფროსს .	1000	მან. თვეში თვითეულს
სასურსათო საქონლის განყ. უფროსს . .	1000	„ „ „
საწარმოთა განყ. უფროსს	1000	„ „ „
საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყ. უფროსს	1050	„ „ „
მთავარ ბუხჰალტერს	1.360	„ „ „
საფინანსო განყოფილების უფროსს . .	1.050	„ „ „
საგეგმო-ეკონომიური განყ. უფროსს	1.000	„ „ „
სატრანსპორტო განყ. უფროსს . . .	850	„ „ „
კაპიტალური მშენებლობის განყ. უფროსს	1000	„ „ „

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეციალური განყ. უფროსს	1050	მან.	თვეში	თვითეულს
ადმინისტრატიულ - სამეურნეო განყ. უფროსს	850	„	„	„
დამზადების სამმართველოს საგეგმო-საფინანსო განყ. უფროსს	800	„	„	„
დამზადების სამმართველოს ხილბოსტნეულის განყ. უფროსს	1050	„	„	„
დამზადების სამმართველოს სანედლეულო განყ. უფროსს	850	„	„	„
დამზადების სამმართველოს ხორცკვერცხის განყ. უფროსს	850	„	„	„
დამზადების სამმართველოს პურის განყ. უფროსს	850	„	„	„

II. აფხაზეთის ასსრ სამომხმარებლო კავშირში:

პრეზიდიუმის თავმჯდომარეს	1000	მან.	თვეში	თვითეულს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს	850	„	„	„
მთავარ ბუხჰალტერს	850	„	„	„

განყოფილებათა უფროსებს

საწარმოო განყ. უფროსს	650	„	„	„
საორგანიზაციო განყ. უფროსს . . .	650	„	„	„
სპეციალური განყ. უფროსს	650	„	„	„

III. აჭარის ასსრ სამომხმარებლო კავშირში:

პრეზიდიუმის თავმჯდომარეს	1000	მან.	თვეში	თვითეულს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს	850	„	„	„
მთავარ ბუხჰალტერს	850	„	„	„

განყოფილებათა უფროსებს:

სპეციალური განყ. უფროსს	650	მან.	თვეში	თვითეულს
საგეგმო-საფინანსო განყ. უფროსს . .	650	„	„	„
საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყ. უფროსს	650	„	„	„
საწარმოო განყ. უფროსს	650	„	„	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში:

საოლქო სამომხმარებლო კავშირის თავ-რეს	1000	მან.	თვეში	თვითეულს
თავმჯდომარის მოადგილეებს	850	„	„	„
მთავარ ბუხჰალტერს	850	„	„	„

V. რაიონულ სამომხმარებლო კავშირთა და რაიონულ სამომხმარებლო საზოგადოებათა ხელმძღვანელი მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთები:

რაიონების I ჯგუფი

ბორჯომის, გორის, გუოჯაანის ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძის, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ტყიბულის, ხაშურის, ცხაკაიას, ჭიათურისა და ახალხევის რაიონები:

გამგეობათა თავმჯდომარეებს	750	მან.	თვეში	თვითეულს
მოადგილეებს	640	„	„	„
მთავარ ბუხჰალტრებს	640	„	„	„

რაიონების II ჯგუფი:

ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გეგეჭკორის, დუშეთის ყაზბეგის, ქუთაისის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ქარელის, თბილისის, წითელწყაროს, წყალტუბოსა და ლანჩხუთის რაიონები:

გამგეობათა თავმჯდომარეებს	650	მან.	თვეში	თვითეულს
მოადგილეებს	550	„	„	„
მთავარ ბუხჰალტრებს	550	„	„	„

რაიონების III ჯგუფი:

აბაშის, თეთრიწყაროს, ადიგენის, ასპინძის, მაიაკოვსკის, ბაშქირეთის, ბოგდანოვკის, ვანის, ზემო-სვანეთის, ყაზბეგის, ყარაიის, ყვარლის, ქვემო-სვანეთის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, საჩხერის, თიანეთის, ხობის, წალკის, ცაგერის, წალენჯიხის, წულუკიძის, ჩოხატაურის, ჩხარისა და ჩხოროწყუს რაიონები:

გამგეობათა თავმჯდომარეებს	550	მან	თვეში	თვითეულს
მოადგილეებს	470	„	„	„
მთავარ ბუხჰალტრებს	470	„	„	„

იმ შემთხვევებში, როდესაც ამ დადგენილებაში აღნიშნულ მუშაკთა ფაქტიური ხელფასის განაკვეთები ახლად დაწესებულ განაკვეთებს აღემატება, ეს განაკვეთები ენახება მათ, სანამ ისინი იმუშავებენ ამ ორგანიზაციაში ამავე თანამდებობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 827

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქვაჭრობის, თბილვაჭრობის, თბილხილბოსტანვაჭრობისა და ცეკავშირის სავაჭრო ქსელში ღვინო-არყის ნაწარმის სავაჭრო წანამატების ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ცეკავშირს დააწესონ 1944 წლისათვის ღვინო-არყის ნაწარმზე (გარდა „გლავსპირტის“ პურის არყისა და შამპანურისა) მრეწველობის ფასების სავაჭრო წანამატების შემდეგი ნორმები:

საქვაჭრობის სისტემაში	12%
თბილვაჭრობის სისტემაში	8%
თბილხილბოსტანვაჭრობის სისტემაში	8%
ცეკავშირის სისტემაში	15%

2. გავრცელდეს ღვინო-არყის ნაწარმის სავაჭრო წანამატების ნორმები, რაც ამ დადგენილებით დაწესებულია თბილვაჭრობისა და თბილხილბოსტანვაჭრობისათვის, ღვინო-არყის იმ ნაწარმებზე, რომლის რეალიზაციასაც ახდენენ ქალაქ თბილისში ყველა უწყების მუშათა მომარაგების განყოფილებანი.

3. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25 მაისის № 564 დადგენილება „ცეკავშირის, ამიერკავკასიის ფრონტის სამხვაჭრობისა და საქგასტრონომის სისტემის მიერ დამზადებული ღვინო-არყის ნაწარმის და მესამე ჯგუფის საქონლის სავაჭრო წანამატებისა და ავტოსაჭაპანო დანარიცხების ნორმების დაწესების შესახებ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 828

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სარეწაო კავშირის შუამდგომლობა მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ნაწილის თავისი სისტემის მუშათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოყენების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა უკეთესი მუშაობის სტიმულირების მიზნით, ნება დაერთოს სარეწაო კავშირის საბჭოს პრეზიდიუმს, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის ჩაბარების გეგმის შესრულებისა და საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში, დაიტოვოს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, იმ საწარმოთა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მოსამარაგებლად, რომლებიც გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ, ყოველი ცალკე საწარმოს მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულებული ნაწილიდან სამრეწველო საქონლის 20%.

2. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს აწ III კვარტალის განმავლობაში სრულად დაასაქონლიანოს მაბიამანის წარმოებაში დაბანდებულ მუშათა სამრეწველო საქონლის ბარათები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 829

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ხტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ ქვემო-სვანეთის რაიონის კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების ქვემო-სვანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 26-ე მუხლის საფუძველზე, მიენიჭოს 1944 წლის სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ ქვემო-სვანეთის რაიონის 1504 მეურნეობას შეღავათები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მხრივ 2.424.274 მანეთის რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ქვემო-სვანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომს მთლიანად მიანიჭოს აღნიშნული შეღავათები 1944 წელს ქვემო-სვანეთის რაიონის მეურნეობებს, რომლებიც წყალდიდობისა და მეწყერისაგან დაზარალდნენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაჟრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 831

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის მოსავლის ბალახთა თესლის შესყიდვის გეგმის შესახებ

იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 9 ივლისის დადგენილება „1944 წლის მოსავლის ბალახთა თესლის შესყიდვის გეგმის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების 900 ცენტნერი თესლის სახელმწიფო შესყიდვის 1944 წლის გეგმის რაიონობლივი განაწილება. აქედან სამყურა — 100 ცენტნერი, იონჯა — 200 ცენტნერი და ესპარცეტი და ტიმოთელა — 600 ცენტნერი:

	სამყურა	იონჯა	ესპარცეტი და ტიმოთელა
1. სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	—	—	70
2. ახალქალაქის რ-ნი	—	—	140
3. ბოგდანოვკის „	40	—	80
4. ახალციხის „	—	—	80
5. ადიგენის „	—	—	60
6. ხაშურის „	—	—	30
7. ქარელის „	—	—	50
8. გორის „	—	—	70
9. წალკის „	30	—	—
10. სიღნაღის „	—	—	10
11. წითელწყაროს „	—	—	10
12. ბორჩალოს „	—	80	—
13. ყარაიის „	—	80	—
14. ბოლნისის „	—	40	—
15. ბაშქიჩეთის „	30	—	—

2. რადგან საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში არ არსებობს მოჰარის ნათესები, დაწესდეს მოჰარის თესლის ხაცვლად ერთწლიანი კულტურების - ცერცველის 800 ცენტნერი და ბარდის 800 ცენტნერი თესლის შესყიდვის გეგმა, რაც განაწილდეს რაიონებს შორის შემდეგნაირად: ახალქალაქის რაიონში—600 ცენტნერი ცერცველა და 800 ცენტნერი ბარდა და ბოგდანოვკის რაიონში—200 ცენტნერი ცერცველა.

ეთხოვოს სსრ კავშირის მიწსახკომსა და დამზადებათა სახალხო კომისარიატს დაადასტურონ მოჰარის თესლის შესყიდვის შეცვლა ცერცველისა და ბარდის თესლით.

3. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და იმ რაიონების რაიაღმასკომებს, რომელთათვისაც დაწესებულია ბალახების თესლის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა:

ა) სამი დღის განმავლობაში დააწესონ და დაიყვანონ ცალკეულ კოლმეურნეობებამდე სამყურის, იონჯის, ესპარცეტისა და ტიმოთელას თესლის შესყიდვის გეგმა;

ბ) შეამოწმონ სათესლეების მდგომარეობა და მიიღონ ზომები ნათესების მოვლის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, უზრუნველჰყონ ხელით მარგვლისა და მორწყვის ჩატარება;

გ) მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში თესლის თავის დროზე აღება და არ დაუშვან სათესლე ბალახების აღების დაგვიანება; აღება ჩაატარონ ცალცალკე ყოველი კულტურისათვის აგროწესებით დადგენილი ვადების მტკიცე შესაბამისობით; ბალახების თესლის გალეწვა და გაწმენდა დაამთავრონ არაუგვიანეს 20 დღისა მოთიბვის დაწყების დღიდან;

დ) განემარტოს კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც აწარმოებენ სამყურის, იონჯის, ტიმოთელას, ესპარცეტისა და ცერცველას თესლის მიყიდვას სახელმწიფოსათვის, მარცვლოვანი კულტურების სავალდებულო ჩაბარების, გეგმების შესრულების, სათესლე სესხის დაბრუნების, სათესლე ფონდების გამოყოფისა და მტს-ების მუშაობის ანაზღაურების შემდეგ, უფლება აქვთ მიიღონ „ზაგოტზერნოს“ პუნქტებიდან მარცვლოვანი კულტურების თესლი დაწესებული ეკვივალენტით; მარცვლოვანი კულტურების თესლი ეძლევათ კოლმეურნეობებს ნაღდ ანგარიშზე დასამზადებელ ფასებში, ცენტნერზე ორი მანეთის დარიცხვით („ზაგოტზერნოს“ ხარჯების დასაფარავად).

4. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში წინათ დადგენილი წესის შესაბამისად კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებუ-

ლი ბალახის თესლი ჩაუთვალოს მათ მარცვლის სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ბის მუშაობის ნატურანაზღაურების ანგარიშში, შემდეგი ეკვივალენტებით:

ა) სამყურისა და იონჯის 1 ცენტნერი გაყიდული თესლი 4 ცენტნერი მარცვლეული კულტურისათვის;

ბ) ტიმოთელას 1 ცენტნერი გაყიდული თესლი 3 ცენტნერი მარცვლეული კულტურისათვის;

გ) ცერცველისა და ესპარცეტის 1 ცენტნერი გაყიდული თესლი 2 ცენტნერი მარცვლეული კულტურისათვის;

დ) შვედური სამყურისა და თეთრი სამყურის 1 ცენტნერი გაყიდული თესლი 6 ცენტნერი მარცვლეული კულტურისათვის.

5. საკვები ბალახების თესლის მიღება ყველა რაიონში დაეკისროს საქსახჯიშფონდს, გარდა ბოლნისის რაიონისა, სადაც თესლის მიღება დაეკისროს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას.

6. საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების ბალახის საკუთარი თესლით სრული უზრუნველყოფის მიზნით, განთავისუფლდნენ 1944 წლიდან ყველა საბჭოთა მეურნეობა და დამხმარე მეურნეობანი სახელმწიფოსათვის ბალახების თესლის ჩაბარებისაგან.

7. დაევალოს საქსახჯიშფონდს და „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას დაამთავრონ ხელშეკრულებათა დადება კოლმეურნეობებთან საკვები ბალახების თესლის შესყიდვაზე არაუგვიანეს 1944 წლის 10 აგვისტოსი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს—ამხ. ხოშტარიას და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში—ამხ. კვირკველიას თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. გაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 832

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სიმინდის გაყიდვით მიღებული შემოსავლის კვალობაზე გაწერილი საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან ვანის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის განთავისუფლების შესახებ

დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ვანის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობანი, ბოსტნეული კულტურების მოუსავლიანობის გამო, იძულებული იყვნენ გაეყიდათ 1943 წელს სიმინდის ნაწილი, რათა შეეძინათ ბოსტნეული კულტურების თესლი და ჩაებარებინათ იგი სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიწოდების წესით, თუმცა ამ კოლმეურნეობებს არავითარი ზედმეტი სიმინდი არ გააჩნდათ.

იღებს რა მხედველობაში, რომ ეს კოლმეურნეობანი მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნან 1944 წელს ვანის რაიონის კოლმეურნეობანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან შემოსავლის იმ ნაწილის მიხედვით, რაც მათ 1943 წელს სიმინდის გაყიდვით მიიღეს და რაც სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ბოსტნეული კულტურების თესლის შესაძენად დახარჯეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 834

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ჩიტახევის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობისათვის მიწების გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 27 ივნისის № 183 დადგენილება და გამოყოფილ იქნას ჩიტახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის 47,24 ჰექტარი მიწა, აქედან 2,0 ჰექტარი საკურორტო ტყეების მთავარ სამართველოს მიწებიდან და 45,24 ჰექტარი შემდეგ კოლმეურნეობათა მიწებიდან:

ა) სოფელ ქვაბისხევის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან . . . . . 22,20 ჰექტარი
აქედან დროებითს სარგებლობაში . . . 7,70 „

ბ) სოფელ დვირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მიწებიდან დროებითს სარგებლობაში . . . . . 4,64 „

გ) სოფელ ჩობისხევის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მიწებიდან . . . . . 18,40 „
აქედან დროებითს სარგებლობაში . . . 4,00 „

2. მიწების ჩამორთმევა, მიწის თავისუფალი ფონდების უქონლობის გამო, მოხდეს უკომპენსაციოდ.

3. დაევალოს ჩიტახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აუნაზღაუროს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს გამოუყენებელი დანახარჯები და მიწის გამოყოფით მიყენებული ზარალი, მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული შეფასების მიხედვით.

4. ჩამორთმეულ და დროებით გამოყოფილ მიწებზე მიმდინარე 1944 წელს მოსავალი უშუალოდ აიღონ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა.

5. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს ეს დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 835

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მანქანაზე გადაწერისა და სტენოგრაფიის სწავლების კურსების მოწყობისა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მანქანაზე გადამწერთა და სტენოგრაფისტთა საგრძნობი ნაკლებობის გამო, საჭიროდ იქნას ცნობილი მანქანაზე გადამწერთა და სტენოგრაფისტთა მოსამზადებელი კურსების მოწყობა სწავლების შემდეგი ვადით: მანქანაზე გადამწერთა კურსებისა—4 თვის და სტენოგრაფიის კურსებისა—$1^1/_2$ წლის ვადით.

2. იმის გამო, რომ ქონება და მოწყობილობა ყოფილ სასწავლო-საწარმოო კომბინატ „სტენოტიპისტისა", რომელიც წინათ მანქანაზე გადამწერთა და სტენოგრაფისტთა კადრების მომზადებას ეწეოდა, ამჟამად პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ჰოსპიტლების სამმართველოს გამგებლობაში იმყოფება, დაეკისროს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს საქართველოს სსრ ჰოსპიტლების სამმართველოს მანქანაზე გადამწერთა და სტენოგრაფიის სწავლების კურსების მოწყობა იმ სახსრების ანგარიშში, რაც ამ მიზნისათვის გაიცემა საქართველოს სსრ ბიუჯეტიდან.

3. დაევალოს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს საქართველოს სსრ ჰოსპიტლების სამმართველოს უფროსს ამხ. ყურაშვილს მოაწყოს ა/წ 15 აგვისტოდან ქალაქ თბილისში მემანქანეთა და სტენოგრაფისტთა მოსამზადებელი კურსები, რომელთა კონტინგენტი განისაზღვროს შემდეგნაირად: პირველ ნაკადში—მანქანაზე გადამწერი 50 კაცი, აქედან ქართული მემანქანე—30 და რუსული მემანქანე—20 კაცი, ხოლო სტენოგრაფიისა—40 კაცი, აქედან: ქართული სტენოგრაფისტი 20 და რუსული სტენოგრაფისტი—20 კაცი.

4. მანქანაზე გადაწერისა და სტენოგრაფიის კურსების მსმენელებს მიეცეთ ყოველთვიურად სტიპენდია 100 მანეთის რაოდენობით. დაწესდეს, რომ კურსდამთავრებული მემანქანეები და სტენოგრაფისტები მოვალენი არიან, სწავლის დამთავრების შემდეგ, იმუშაონ სახელმწიფო დაწესებულებებში, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის განაწილების მიხედვით, არანაკლებ ორი წლისა.

5. დაევალოს:

ა) პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს საქართველოს სსრ ჰოსპიტლების სამმართველოს უფროსს ამხ. ყურაშვილს მოაწყოს სასადილო კურსების მსმენელთათვის და უზრუნველჰყოს ისინი ერთჯერადი კვებით;

ბ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. გიორგაძემ გამოუყოს მანქანაზე გადაწერისა და სტენოგრაფიის სწავლების კურსებს საკვები პროდუქტები, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშათა ნორმების თანახმად;

გ) საქართველოს სსრ ფინსახკომმა—ამხ. ციმაკურიძემ მისცეს კურსების დირექციას სადგომის, საწერი მანქანების შესაკეთებლად და წვრილი ინვენტარის შესაძენად 25.000 მანეთი ერთდროულად, ხოლო ადმინისტრატიულ-პედაგოგიური პერსონალის შესანახად და კურსანტებისათვის სტიპენდიების მისაცემად ყოველთვიურად გამოჰყოს 14.150 მანეთი;

დ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ (ამხ. ალავიძემ) გაითვალისწინოს ქაღალდის განაწილების გეგმით საჭირო რაოდენობის საწერი ქაღალდის გამოყოფა კურსებისათვის;

ე) სახელგამმა—ამხ. კაკნაძემ უზრუნველჰყოს აღნიშნული კურსები საკანცელარიო ნივთებით (გადასაღები ქაღალდი, საწერი მანქანების ლენტი, ფანქარი და სხვ.).

6. პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს საქართველოს სსრ ჰოსპიტლების სამმართველოსთან მოწყობილ მანქანაზე გადაწერისა და სტენოგრაფიის სწავლების კურსების საშტატო ცხრილი 8 ერთეულის რაოდენობით, აქედან:

დირექტორი . .	0,5	საშტ.	ერთეული	თვიური	ხელფ.	400 მან.
სასწავლო ნაწ. გამგე	1	„	„	„	„	750 „
პედაგოგი . . .	3	„	„	„	„	2100 „
ტექნიკ. ხელმძღვან.	1	„	„	„	„	300 „
მექანიკოსი . . .	0,5	„	„	„	„	200 „
მოანგარიშე . . .	1	„	„	„	„	400 „
დამლაგებელი . .	1	„	„	„	„	140 „

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასამტკიც ბლად წარედგინოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას.

7. დაევალოს კომისიას ამხ. ყურაშვილის (პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს საქართველოს სსრ ჰოსპიტლების სამმართველოს უფროსი), ჭელიძის (საქართველოს სსრ სახკომსაბჭო) და გორდაძის (კურსების დირექტორი) შემადგენლობით შეარჩიოს მანქანაზე გადაწერისა და სტენოგრაფიის კურსების მსმენელები იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ სათანადო ზოგადი განათლება და სურთ კურსების დამთავრების შემდეგ იმუშაონ ამ სპეციალობის მიხედვით.

8. დაევალოს ამხ კ. მ. თარგამაძეს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. გაჟრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 836

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ორგანიზაციის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 6 ივლისის № 829 დადგენილების შესასრულებლად და სოფლის ახალგაზრდობისა და მოზარდების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე მოუწყვეტლად სწავლების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და რაიაღმასკომებს გახსნან 1944 წლის 1 ნოემბრისათვის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები.

დადგენილ იქნას, რომ იმ ადგილებში, სადაც ახალგაზრდობის რიცხვი, რომელმაც უნდა ისწავლოს, უმნიშვნელოა, არსებულ სკოლებთან იხსნება საღამოს კლასები. ახალგაზრდობის სწავლება ამ სკოლებსა და კლასებში წარმოებულ იქნას სამუშაოზე მოუწყვეტლად.

2. დაევალოს განსახკომს (ამხ. კუპრაძეს), რაიაღმასკომებთან ერთად, დაუყოვნებლივ ჩაატაროს მთელი იმ ახალგაზრდობის აღრიცხვა, რომელმაც უნდა ისწავლოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში და არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 აგვისტოსი წარმოუდგინოს დასამტკიცებლად სახკომსაბჭოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლათა ქსელი ყოველი რაიონისათვის ცალცალკე, იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობის ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს და რა რაოდენობით მოიპოვება მასწავლებელთა კადრები და სადგომები.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს 1944 წლის

10 აგვისტოსათვის დაამტკიცონ თვითეული რაიონისათვის სკოლების რაოდენობა, იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობის ახალგაზრდობაა აღრიცხული, რომელმაც უნდა ისწავლოს, და რა რაოდენობით მოიპოვება მასწავლებელთა კადრები და სადგომები.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და ყველა რაიაღმასკომს უზრუნველჰყონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლები სადგომით, მოწყობილობით, გათბობითა და განთებით.

5. სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობა წარმოებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 6 ივლისის № 829 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დებულების საფუძველზე (იხ. დანართი № 1).

6. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებას, უზრუნველჰყონ სკოლების ყოველდღიური ხელმძღვანელობა, სკოლების დაკომპლექტება მასწავლებელთა და გამგეთა კვალიფიციური კადრებით და მათი მომზადება სასწავლო წიგნებით, სასწავლო სახელმძღვანელოებითა და სასკოლო-საწერი ნივთებით ბავშვთა სკოლების თანაბრად.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განსახკომს და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს დანიშნონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების გამგეებად შეთავსებით დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლების დირექტორები და დაუწესონ მათ ამ მუშაობისათვის ხელფასის წანამატი შემდეგი რაოდენობით:

ა)	თუ მოსწავლეთა რიცხვი	50	კაცამდეა	75	მან. თვეში
ბ)	„ „ „	100	„	100	„ „
გ)	„ „ „	100	კაც. მეტია	150	„ „

8. სასწავლო წლის ხანგრძლივობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში განისაზღვროს 25 კვირით და კვირაში 22 სასწავლო საათით (5 დღე, აქედან 2 დღე ხუთ-ხუთი საათი და 3 დღე — ოთხ-ოთხი საათი) 1 ნოემბრიდან 1 მაისამდე.

9. დაევალოს განსახკომს (ამხ. კუპრაძეს) მოამზადოს მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე სახელმძღვანელოები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებისათვის, № 2 დანართის თანახმად.

10. დაევალოს ცეკავშირს (ამხ. ნარსიას) გაითვალისწინოს ნავთის გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონებისათვის, იმ ანგარიშით, რომ სოფ-

ლის ახალგაზრდობის თვითეულ საღამოს სკოლას ერგოს თვეში 10 ლიტრი.

11. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს კლასებისა და საღამოს სკოლების 1944 წლის შესანახი ხარჯები გაწეულ იქნას 1944 წლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებულ განათლების ასიგნობათა ხარჯზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 26/VII
№ 836 დადგენილების დანართი № 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შესახებ

I. საერთო დებულებანი

1. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები ეწყობა თანახმად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 26 ივლისის № 836 დადგენილებისა „სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ორგანიზაციის შესახებ". სწავლება სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მოწყვეტლად.

2. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები წარმოადგენენ სახელმწიფო საერთო-საგანმანათლებლო სკოლებს, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული მისცენ ახალგაზრდობას დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლების მოცულობის მომზადება, აღზარდონ ახალგაზრდობა სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულების სულისკვეთებით.

3. სკოლები ეწყობა დიდ სოფლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში და იხსნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით.

4. სკოლები იხსნება ორი ტიპისა: დაწყებითი—I, II, III და IV კლასების შემადგენლობით და შეიდწლიანი—I—VII კლასების შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეთა რაოდენობა სკოლის გახსნისათვის საკმარისი არ არის, იხსნება ცალკეული კლასები საერთო-საგანმანათლებლო მომზადების მიხედვით.

5. ჭაბუკთა და ქალიშვილთა სწავლება სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სწარმოებს ერთად.

6. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები იმყოფებიან საქართველოს სსრ განსახკომისა და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ყოველდღიური ხელმძღვანელობა, მათი დაკომპლექტება მასწავლებლებით, დირექტორებითა და გამგეებით და მომარაგება სახელმძღვანელოებით, სასწავლო წიგნებითა და სასკოლო-საწერი ნივთებით ეკისრება განსახკომსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

II. მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი

7. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში მიიღებიან ახალგაზრდობა და მოზარდები 14 წლის ასაკიდან და სწავლობენ ამ სკოლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მოუწყვეტლად.

8. განცხადებათა მიღება ახალგაზრდობისაგან სწარმოებს 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე, ხოლო სკოლაში ჩარიცხვა—20 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

წერა-კითხვის უცოდინარნი მიიღებიან პირველ კლასში, დანარჩენები კი ჩაირიცხებიან ამა თუ იმ კლასში იმისდა მიხედვით, თუ რა დოკუმენტი მოეპოვება მათ განათლების შესახებ.

განათლების დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში შესაბამის კლასში მიღება სწარმოებს შესამოწმებელი გამოცდის საფუძველზე.

9. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში კურსდამთავრებულებს ეძლევათ მოწმობა საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დაწესებული ფორმით.

III. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

10. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები მუშაობენ საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმითა და პროგრამებით.

11. მეცადინეობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სწარმოებს კვირაში 5-ჯერ, სულ 22 საათს (ორ დღეს ხუთ-ხუთ საათს, სამ დღეს ოთხ-ოთხ საათს).

12. მოსწავლეთა რიცხვი ყოველ კლასში წესდება არაუმეტეს 20 კაცისა.

სასწავლო წელი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში იწყება 1 ნოემბრიდან და გრძელდება 1 მაისამდე. სასწავლო წლის დამლევს მოსწავლეებს ეწყებათ გამოცდები, რომელთა ჩატარების წესიც ისაზღვრება საქართველოს სსრ განსახკომის ინსტრუქციით.

14. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი, რომელიც ტარდება მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მტკიცედ განსაზღვრული ცხრილითა და ამ კლასის მოსწავლეთა მჯდმივი შემადგენლობით. გაკვეთილის ხანგრძლივობა ისაზღვრება 45 წუთით.

მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე აღრიცხვის ფორმას წარმოადგენს ინდივიდუალური, სისტემატურად წარმოებული გამოკითხვა გაკვეთილებზე და დაწესებული ნიშნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სკოლის ხელმძღვანელობა

15. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლას სათავეში უდგას სკოლის გამგე (დირექტორი), რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განსახკომი შესაბამისი პედაგოგიური განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მქონე პირთაგან.

სკოლის გამგეს (დირექტორს) შეუძლია აწარმოოს მეცადინეობა ერთერთ კლასში.

16. სკოლის გამგე (დირექტორი) სრული პასუხისმგებელია მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის სკოლაში და აგრეთვე სკოლის მთელი მეურნეობის მდგომარეობისათვის.

17. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მასწავლებლებს ნიშნავს სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.

V. დაფინანსება და ანგარიშგება

18. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლას აქვს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა.

19. სკოლა ეწევა საქმისწარმოებას და ადგენს სტატისტიკურ ანგარიშს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დაწესებული ფორმებითა და მის მიერ განსაზღვრულ ვადებში და პერიოდულად უდგენს მუშაობის ანგარიშს სახალხო განათლების განყოფილებას.

20. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და მას აქვს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დაწესებული ნიმუშის საკუთარი ბეჭედი.

21. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მთელი სასწავლო მოწყობილობა შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება გასხვისებულ იქნას სკოლებისაგან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილების გარეშე.

სია

სახელმძღვანელოებისა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს დაწყებითი სკოლებისათვის

1. მშობლიური ენა (სწავლების პირველი წლისათვის).
2. საკითხავი წიგნი (სწავლების პირველი წლისათვის).
3. საკითხავი წიგნი (სწავლების მეორე და მესამე წლებისათვის).
4. ქართული ენის გრამატიკა (სოფლის ახალგაზრდობის საღამოს დაწყებითი სკოლებისათვის).
5. არითმეტიკა (სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებისათვის).
6. რუსული ენა I და II ნაწილი—სწავლების პირველი და მეორე წლებისათვის.
7. გეოგრაფია. სახელმძღვანელო სოფლის ახალგაზრდობის საღამოს დაწყებითი სკოლებისათვის.
8. ბუნებისმეტყველება. სახელმძღვანელო სოფლის ახალგაზრდობის საღამოს დაწყებითი სკოლებისათვის.
9. სსრ კავშირის ისტორია, პროფ. შესტაკოვის რედაქციით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 837

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების კონტინგენტის ნორმირებულ მომარაგებაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაყვანილ იქნას 1944 წლის 1 აგვისტოდან მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშათა და მოსამსახურეთათვის დაწესებული ნორმების მიხედვით მომარაგებაზე (ხორცით, თევზით, ცხიმეულით, ბურღულით, მაკარონით) შემდეგი საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კონტინგენტი, დანართის თანახმად.

2. დაეევალოს სასურსათო და სამრეწველო ბარათების რესპუბლიკური ბიუროს უფროსს ამხ. გიორგობიანს უზრუნველჰყოს ამ დადგენილების I პუნქტში აღნიშნული საწარმოებისათვის სასურსათო ბარათების მიცემა ფაქტიური კონტინგენტის მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს თბილისის საზკვების დირექტორს ამხ. ვ. მ. ჩარკვიანს ათი დღის განმავლობაში გახსნას დახურული სასადილოები:

ა) სისხლის გადასხმის ინსტიტუტთან;

ბ) მეცნიერებათა აკადემიასთან;

გ) ტრამვაი-ტროლეიბუსის ნავთლუღის პარკთან;

დ) № 2 ლუდის ქარხანასთან;

ე) № 3 ლუდის ქარხანასთან;

ვ) ლიმონათისა და ნახშირმჟავას ქარხნებთან.

4. დაეევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს:

ა) გამოუყოს სასურსათო საქონლის ფონდები სათანადო სავაჭრო ორგანიზაციებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ აღნიშნული კონტინგენტის მომარაგება;

ბ) გამოყოს სასურსათო საქონლის ფონდები მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს იმ საწარმოთა კონტინგენტის მოსამარაგებლად, რომლებიც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 მაისის № 63-გს განკარგულებით გადაყვანილი არიან ნორმირებულ მომარაგებაზე ფაქტიური კონტინგენტის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ საბჭომსაბჭოს 1944 წლის 26/VII
№ 837 დადგენილების დანართი

ს ი ა

ომ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომლებიც გადაყვანილი არიან ნორმირებულ მომარაგებაზე

საწარმოთა და დაწესებულებათა დასახელება	კონტინგენტი	სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც მომსახურებას უწევს
1. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია (კონტინგენტი, რომელიც ბარათებს არ ღებულობს)	460	თბილისის საზკვების ტრესტი
2. საქ. სსრ ჯანსაღკომის სისხლის გადასხმის ინსტიტუტი	120	„
3. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის თელავის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი	70	საქვაჭრობა
4. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 და № 3 ლუდის ქარხნები . . .	187	თბილისის საზკვების ტრესტი
5. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლიმონათისა და ნახშირმჟავას ქარხნები	215	თბ. საზკვების ტრესტი
6. საქსოფლმეურნეშმომარაგების ნავთლუღის სახელოსნოები	40	თბილვაჭრობა
7. თბილისის საქალაქო საბჭოს საწარმოები . .	1400	„
აქედან:		
ა) საკვები პროდუქტების წარმოება . .	73	„
ბ) თელასის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები;	105	„
გ) თბილისის, ნატახტარისა და ორთაჭალის წყალსადენები და საექსპლოატაციო რაიონები;	263	„
დ) თბილისის ზოოპარკი;	85	„
ე) საბინაო მეურნეობის სამმართველოს მილ-ღუმელების მშენებლობა და საერემონტო კანტორები	415	„
ქ. თბილისის რაიონების დასუფთავების კანტორები	400	„

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 839

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა სტრუქტურისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიის მიერ 1944 წლის 8 ივლისის № 8—2520 დადგენილებით დამტკიცებული საშტატო ცხრილის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს 1944 წლის 1 ივლისიდან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა სტრუქტურა, შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები 1944 წლის 1 ივლისიდან

სტრუქტურულ ქვეგანყოფთა და თანამდებობათა დასახელება	1944 წლის შტატები		
	რაოდენობა	თვიური ფონდი	სულ თვიური ფონდი
თავმჯდომარე	1	2000	2000
თავმჯდომარის მოადგილე	1	1700	1700
მდივანი-სტენოგრაფისტი	1	500	500
სულ	3	4200	4200
სახალხო მეურნეობის შეჯამებითი გეგმის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1500	1500
უფროსი სტატისტიკოსი	1	500	500
უფროსი ეკონომისტი	1	800	800
ეკონომისტი	1	700	700
ჯგუფის ხელმძღვანელი	1	900	900
ეკონომისტი	1	700	700
ჯგუფის ხელმძღვანელი	1	900	900
ეკონომისტი	1	700	700
სულ	8	6700	6700
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი იხენერი-ჯგუფის ხელმძღვანელი	1	900	900
უფროსი ეკონომისტი	1	800	800
უფროსი ინჟინერი	1	850	850
სულ	4	4000	4000
მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1500	1500
განყოფილების უფროსის მოადგილე	1	1200	1200
უფროსი ეკონომისტი	1	900	900
უფროსი ეკონომისტი	1	800	800

სტრუქტურულ ქვეგანყოფთა და თანამდებობათა დასახელება	1944 წლის შტატები		
	რაოდენობა	თვიური ფონდი	სულ თვიური ფონდი
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ჯგუფი			
ჯგუფის ხელმძღვანელი	1	900	900
უფროსი ეკონომისტი	1	850	850
სულ	6	6150	6150
სოფლის მეურნეობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
განყოფილების უფროსის მოადგილე	1	1200	1200
უფროსი ეკონომისტი—აგრონომი	1	950	950
უფროსი ეკონომისტი	1	800	800
უფროსი ეკონომისტი-ზოოტექნიკოსი	1	800	800
ინჟინერი	1	725	725
სულ	6	5925	5925
სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ეკონომისტი	1	900	900
უფროსი ეკონომისტი	1	900	900
სულ	3	3250	3250
ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
განყოფილების უფროსის მოადგილე	1	1200	1200
უფროსი ეკონომისტი	3	900	2700
ეკონომისტი	1	700	700
სულ	6	4250	6050
კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილეა			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ეკონომისტი	1	900	900
უფროსი ეკონომისტი	1	850	850
უფროსი ეკონომისტი	1	800	800
სულ	4	4000	4000

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვეგანყოფთა და თანამდებობათა დასახელება	1944 წლის შტატები		
	რაოდენობა	თვიური ფონდი	სულ თვიური ფონდი
ენერგეტიკისა და სათბობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ინჟინერი	1	850	850
ინჟინერი	1	750	750
ეკონომისტი	1	700	700
სულ	4	3750	3750
სიბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ეკონომისტი	1	850	850
ეკონომისტი	1	700	700
სულ	3	3000	3000
საფინანსო განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ეკონომისტი-ჯგუფის ხელმძღვანელი	1	900	900
უფროსი ეკონომისტი	1	800	800
სულ	3	3150	3150
საქონელბრუნვის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ეკონომისტი	1	850	850
ეკონომისტი	1	750	750
სულ	3	3050	3050
მატერიალური ბალანსების განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ეკონომისტი	2	850	1700
უფროსი ეკონომისტი	1	800	800
სტატისტიკოსი	1	450	450
სულ	5	3550	4400

სტრუქტურულ ქვეგანყოფთა და თანამდებობათა დასახელება	1944 წლის შტატები		
	რაოდენობა	თვიური ფონდი	სულ თვიური ფონდი
საიდუმლო განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
მდივანი-მემანქანე	1	500	500
სულ	2	1950	1950
საქმეთა მმართველობა			
საქმეთა მმართველი	1	700	700
კანცელარიის გამგე	1	300	300
უფროსი ბუხჰალტერი	1	600	600
სამნეო ნაწილის გამგე	1	350	350
არქივარიუსი	1	350	350
უფროსი მემანქანე	1	500	500
მემანქანე	4	400	1600
შოფერი	1	648	648
შოფერი	1	600	600
ექსპედიტორი	1	155	155
შიკრიკი	1	130	130
დამლაგებელი	3	140	420
ს ულ	17	4873	6353
მთლად	77	61798	65928

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 840

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამრეწველო საწარმოთა მიერ ელექტროენერგიის მომჭირნეობისა და სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს „ფი“) გაუმჯობესების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გაწლილი სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის II კვარტალის შედეგების შესახებ

განიხილა რა ელექტროენერგიის მომჭირნეობისა და სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს „ფი“) გაუმჯობესებისათვის გაწლილი სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის II კვარტალის შედეგები და სცნობს რა ელექტროენერგიის მომჭირნეობისა და სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს „ფი“) გაუმჯობესებისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად 1944 წლის II კვარტალის შედეგების მიხედვით შემდეგ სამრეწველო საწარმოებს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეტოვოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პირველი პრემია 40.000 მანეთის რაოდენობით ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილებას.

2. მიეცეს მეორე პრემიები:

ა) სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ინგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატს 15.000 მანეთის რაოდენობით;

ბ) საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფოთის მაცივარს—10.000 მანეთის რაოდენობით.

3. მიეცეს მესამე პრემიები:

ა) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 სამკერვალო ფაბრიკას—5.000 მანეთის რაოდენობით;

ბ) საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომი-

სარიატის ქუთაისის აბრეშუმკომბინატს — 5.000 მანეთის რაოდენობით.

4. აღინიშნოს შემდეგ საწარმოთა კარგი მუშაობა ელექტროენერგიის მომჭირნეობისა და სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს „ფი“) გაუმჯობესების ღონისძიებათა ჩატარების საქმეში:

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ავჭალის ჩაისსაწონი ფაბრიკისა, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ჭიათურის მარგანეცის ტრესტისა, საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკისა, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკისა და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის მაცივრისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 841

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

განათლების სახალხო კომისარიატის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახელმძღვანელოების დროულად გამოშვება ახალი სასწავლო წლისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს „ზარია ვოსტოკას“, „კომუნისტის“, „ტექნიკა და შრომის“, მეცნიერებათა აკადემიის, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობათა და ბიომედგამომცემლობის დირექტორებს, თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ დასდონ სახელგამთან სათანადო ხელშეკრულებანი და უზრუნველჰყონ სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გამოშვება სკოლებისათვის არაუგვიანეს ა/წ 15 სექტემბრისა, დანართში აღნიშნული რაოდენობით.

2. დაევალოს განსახკომს (ამხ. კუპრაძეს) და სახელგამს (ამხ. კიკნაძეს) უზრუნველჰყონ სახელმძღვანელოთა ორიგინალების თავის დროზე გადაცემა სათანადო გამომცემლობებისა და სტამბებისათვის.

3. დაევალოს სახელგამის დირექტორს (ამხ. კიკნაძეს) თავის დროზე უზრუნველჰყოს საჭირო რაოდენობის საბეჭდი ქაღალდის მიცემა სტამბებისა და გამომცემლობისათვის სახელმძღვანელოების დასაბეჭდად.

4. ნება დაერთოს სახელგამის პოლიგრაფიულ საწარმოებს: ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს, მეორე სტამბას და ცინკოგრაფიას შემოიღონ მომდინარე წლის 1 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე ზედმეტ საათებში მუშაობა იმ მუშებისათვის, რომლებიც სახელმძღვანელოების ბეჭდვას ეწევიან.

5. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს აგვისტო—სექტემბრის განმავლობაში სახელგამის პოლიგრაფიული საწარმოების იმ 150 მუშისათვის მეორე ცხელი საკვების მიცემა, რომლებიც ზედმეტ საათებში ეწევიან სახელმძღვანელოების ბეჭდვას. მეორე ცხელ კვებასთან ერთად, როგორც გამონაკლისი, დამატებით მისცეს ამ მუშებს დღეში 100 გრამი პური თითო კაცზე.

6. წინადადება მიეცეს თელასს შეუფერხებლივ მიაწოდოს ელექტროენერგია აგვისტოსა და სექტემბერში ყველა პოლიგრაფსაწარმოს, რომლებიც სახელმძღვანელოების ბეჭდვას ეწევიან.

7. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს წინადადებანი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების პოლიგრაფიულ სკოლაში ასოთამწყობთა კადრების მომზადების გაძლიერების საკითხზე.

8. დაევალოს განსახკომს—ამხ. კუპრაძეს და სახელგამის დირექტორს ამხ. კიკნაძეს დეკადაში ერთხელ მოაწოდონ სახკომსაბჭოს ინფორმაცია სახელმძღვანელოთა ბეჭდვის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

ქ. თბილისის გამომცემლობათა სტამბებში სახელმძღვანელოების დაბეჭდვის განაწილებისა

გამომცემლობათა დასახელება	სახელმძღვანელოთა დასახელება	ფურცლების რაოდენობა	ტირაჟი ეზეკ.
საქართველოს სახელგამი	1. საშუალო საუკუნეების ისტორია მე-6 და მე-7 კლასებისათვის	20	5000
	2. რუსული ენა მე-4 კლასისათვის	7	15000
	3. „ „ მე-6 კლასისათვის	10,5	10000
	4. „ „ მე-3 კლასისათვის	8	20000
	5. „ „ მე-5 კლასისათვის	9,5	10000
	6. ტრიგონომეტრიულ ამოცანათა კრებული მე-9 და 10 კლასებისათვის	9	5000
	7. ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, მე-8 კლასისათვის	20	5000
	8. არითმეტიკულ ამოცანათა კრებული მე-4 კლასისათვის	5,5	10000
	9. ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია მე-8 კლასისათვის	13	5000
	10. არითმეტიკა პირველი კლასისათვის	8	10000
	11. სსრ კავშირის ისტორია, ნაწილი პირველი, მე-8 კლასისათვის	16	5000
	12. ქართული ენა რუსული სკოლების მე-3 კლასისათვის	8	5000
	13. არითმეტიკულ ამოცანათა კრებული მე-3 კლასისათვის	5,5	10000
	14. ალგებრა მე-8 და 10 კლასებისათვის	18	5000
	15. არითმეტიკულ ამოცანათა კრებული მე-5 კლასისათვის	10	10000
	16. დედა-ენა პირველი კლასისათვის	14	60000
	17. ქართული ენა მე-2 კლასისათვის	14	35000
	18. „ „ მე-4 კლასისათვის	20	30000
	19. არითმეტიკა მე-2 კლასისათვის	5,5	10000
	20. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია მე-7 კლასისათვის	4	5000
	21. ქართული ენა მე-3 კლასისათვის	16	30000
	22. გეომეტრია (პლანიმეტრია) მე-6 და 8 კლასებისათვის	14,5	15000
	23. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია მე-6 კლასისათვის	24	5000
	24. რუსული ენა მე-7 კლასისათვის	11,5	5000
	25. რუსული ლიტერატურის ქრესტომათია მე-8 კლასისათვის	19,5	5000
	26 სსრ კავშირის ისტორია, ნაწილი მეორე, მე-9 კლასისათვის	20	5000
	27. ალგებრულ ამოცანათა კრებული, ნაწილი მეორე, მე-8 და 10 კლასებისათვის	12	10000

გამომცემლობათა დასახელება	სახელმძღვანელოთა დასახელება	ფურცლების რაოდენობა	ტირაჟი ეგზემპლარებ.
საქართველოს სახელგამი	28. ფიზიკა მე-10 კლასისათვის	21,5	5000
	29. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია მე-9 კლასისათვის	37	5000
	30. რუსული ლიტერატურის ქრესტომათია მე-9 კლასისათვის	12,5	5000
	31. ორგანული ქიმია მე-10 კლასისათვის	11,5	5000
გამომცემლობა „კომუნისტის" სტამბა	1. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია მე-7 კლასისათვის	21	5000
	2. ქართული ლიტერატურის ისტორია მე-8 კლასისათვის	18	10000
გამომცემლობა „ხარია ვოსტოკას" სტამბა	1. რუსული ლიტერატურის ქრესტომათია მე-10 კლასისათვის	13	5000
გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა"	1. ქართული ენის ქრესტომათია მე-10 კლასისათვის	32	5000
	2. სტერეომეტრია მე-9 და 10 კლასებისათვის	7	6000
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა	1. ალგებრულ ამოცანათა კრებული, ნაწილი პირველი, მე-6 და 8 კლასებისათვის	10,5	10000
	2. ბოტანიკა მე-5 და 6 კლასებისათვის	12	5000
	3. ფიზიკა მე-8 კლასისათვის	14,5	5000
სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა	1. ფიზიკა მე-7 კლასისათვის	13,5	5000
ბიომედგამომცემლობის სტამბა	1. ფიზიკა მე-6 კლასისათვის	14	10000

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 842

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების დებულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 28 ივლისი.

დამტკიცებულია საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 28/VII
№ 842 დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ

§—1

გამოცდები სიმწიფის ატესტატზე ტარდება საშუალო სკოლის კურსის მოცულობით, უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო ცოდნის სისრულისა და სიმტკიცის გამორკვევის მიზნით.

§—2

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან:

ა) მოსწავლეები, რომელთაც გაიარეს საშუალო სკოლის კურსი და აქვთ წლიური ნიშნები მე-10 კლასში ყველა საგანში არანაკლებ „3"-სა, ხოლო ყოფაქცევაში ნიშანი „5";

ბ) 17 წლისაზე მეტი ასაკის პირები, რომელთაც საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ ან იგი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ სურთ მიიღონ სიმწიფის ატესტატი,—ექსტერნის წესით.

შენიშვნა: ექსტერნებისათვის გამოცდების ჩატარების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

§—3

მოსწავლეები, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, აბარებენ გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე საშუალო სკოლის სრული კურსის მიხედვით, შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა;
2. ქართული ლიტერატურა;
3. რუსული ენა;
4. რუსული ლიტერატურა;
5. მათემატიკა:
   ა) ალგებრა;
   ბ) გეომეტრია;
   გ) ტრიგონომეტრია.
6. ფიზიკა;
7. ქიმია;
8. ისტორია:
   ა) სსრ კავშირის ისტორია;
   ბ) ახალი ისტორია;
   გ) საქართველოს ისტორია;
9. უცხო ენა.

შენიშვნა: 1. მოსწავლეები, რომლებიც არაქართულ საშუალო სკოლას ამთავრებენ, აბარებენ გამოცდებს მე-3 §-ით გათვალისწინებულ ყველა საგანში, გარდა ქართული ლიტერატურისა, და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში;

2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, ხოლო არაქართულ სკოლებში აგრეთვე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—გამოცდები ტარდება წერითი და ზეპირი, ყველა დანარჩენ საგანში—მხოლოდ ზეპირი,

§—4

სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ტარდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ—20 მაისიდან 20 ივნისამდე.

§—5

სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს ატარებს საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე), საგამოცდო საგნის მასწავლებელი, 2 ასისტენტი უფროსი კლასების იმავე საგნის (ან მისი მონათესავე საგნების) მასწავლებელთა რიცხვიდან, საქართველოს სსრ განსახკომის ან შესაბამისად—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

შენიშვნა: 1. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი პირები, რომელთაც მიღებული აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება.

2. საქართველოს სსრ განსახკომს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას შეუძლიათ შეიყვანონ საგამოცდო კომისიებში, როგორც ასისტენტები, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტების მასწავლებლები.

3. საქართველოს სსრ განსახკომის, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი, სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ არსებული დებულებისა და ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში, მოვალეა შეაჩეროს გამოცდები და აცნობოს ეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ან შესაბამისად აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სა-

ხალხო განათლების განყოფილების გამგეს სათანადო ზომების მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§—6

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ადგილზე ჩაბარების მიზნით, იმ საშუალო სკოლებში, რომელთაც დამთავრებული უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები არა ჰყავთ, საქართველოს სსრ განსახკომი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება გზავნიან საგამოცდო კომისიას.

იმ საშუალო სკოლებში კი, სადაც უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები არა ყავთ ყველა იმ საგანში, რომლებიც სიმწიფის ატესტატის მისაღებად უნდა იქნას ჩაბარებული, სახალხო განათლების განყოფილებანი გზავნიან სათანადო საგნების მასწავლებლებს.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც სკოლის დირექტორს დამთავრებული უმაღლესი განათლება არა აქვს, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საქართველოს სსრ განსახკომის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

შენიშვნა: 1. საშუალო სკოლებს, რომელთაც გამოსაშვებ კლასში 15-ზე ნაკლები მოსწავლე ჰყავთ—და ამავე დროს არა ჰყავთ სათანადო განათლების მქონე მასწავლებლები—შეუძლიათ მოსწავლეები, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად, გაგზავნონ იმ სკოლებში, რომლებზედაც მათ მიუთითებს საქართველოს სსრ განსახკომი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება.

2. უცხო ენაში, აგრეთვე რუსულ ენაში არარუსულ სკოლებში, სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები შეიძლება ჩაატარონ იმ მასწავლებლებმა, რომელთაც დამთავრებული საშუალო განათლება აქვთ სპეციალობის მიხედვით.

§—7

გამოცდები სიმწიფის ატესტატზე იწყება წერითი სამუშაოთი (თხზულებით) ქართულ ენასა და ლიტერატურაში: წერითი სამუშაოს „3"-ზე ნაკლები ნიშნით შეფასებისას მოსწავლეები შემდგომი გამოცდების ჩაბარებაზე არ დაიშვებიან.

შენიშვნა: არაქართულ სკოლებში გამოცდები იწყება წერითი სამუშაოთი (თხზულებით) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

§—8

ცოდნის შეფასებას სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე განსაზღვრავს საგამოცდო კომისია. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში შეფასების საკითხი წყდება ხმის უმეტესობით, ამასთან უმცირესობის აზრი აუცილებლად უნდა ჩაიწეროს ოქმში; იმ შემთხვევაში კი, როდესაც საქართველოს სსრ განსახკომის, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი ან კომისიის თავმჯდომარე არ ეთანხმება კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას, საკითხს სწყვეტს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგე იმ მასალების საფუძველზე, რომლებსაც უდგენს მათ საგამოცდო კომისია.

§—9

ის პირნი, რომელნიც ჩააბარებენ გამოცდეს სიმწიფის ატესტატზე, ითვლებიან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულებად და სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით საგამოცდო კომისიის ოქმების საფუძველზე იღებენ სიმწიფის ატესტატს სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილში დირექტორის მოადგილისა და მასწავლებელთა ხელმოწერით.

ატესტატში, გარდა საგამოცდო საგნებისა, შეტანილ უნდა იქნას შემდეგი საგნები: ანტიკური ქვეყნების ისტორია, საშუალო საუკუნეების ისტორია, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუცია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ასტრონომია, სამხედროფიზიკური მომზადება, ხატვა და ხაზვა. ყოველ ამ საგანში ატესტატში აღნიშნულ უნდა იქნას მოსწავლის მიერ იმ კლასში მიღებული საბოლოო შეფასება, რომელშიაც ეს საგანი დამთავრდა.

შენიშვნა: მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ ნიშნები „3“ და „4“ იმ საგნებში, რომელნიც არ შედიან სიმწიფის მოწმობის მისაღებ საგამოცდო საგნების რიცხვში, უფლება ენიჭებათ სკოლის პედაგოგიური საბჭოს ნებართვით ჩაბარონ დამატებითი გამოცდები ამ საგნებში უფრო მაღალი შეფასების მისაღებად.

ამ დამატებითი გამოცდების ჩაბარება წარმოებს სწავლების უკანასკნელი წლის მეორე ნახევარში სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების დაწყებამდე, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდებისათვის არსებული ყველა წესის დაცვით.

§—10

სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, მოსწავლეები, რომლებიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდისას გამოიჩენენ საუკეთესო წარმატებას და ყოველ სასწავლო საგანში მიიღებენ „5"-ს, თუ ისინი ამავე დროს წარჩინებული ყოფაქცევისა არიან,—ჯილდოვდებიან ოქროს მედლით.

მოსწავლეები, რომლებიც გამოცდებზე საუკეთესო წარმატებებს გამოიჩენენ და „5" ნიშანს მიიღებენ ყველა საგანში, რომელთა ჩაბარებაც სავალდებულოა სიმწიფის ატესტატის მისაღებად, ხოლო ნიშანს „4" არაუმეტეს, ვიდრე სამ საგანში დანარჩენ სასწავლო საგნებიდან, თუ ამასთან წარჩინებული ყოფაქცევისა არიან,—ჯილდოვდებიან ვერცხლის მედლით.

ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებულ პირთ ეძლევათ განსაკუთრებული ნიმუშის სიმწიფის ატესტატი.

§—11

გამოცდების დამთავრების შემდეგ საზეიმო აქტზე სკოლის დირექტორი აბარებს სიმწიფის ატესტატებსა და მედლებს იმ პირთ, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს.

§—12

იმ პირთ, რომლებმაც სიმწიფის ატესტატი მიიღეს, უფლება აქვთ შევიდნენ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

ოქროს მედლით დაჯილდოებულ პირთ უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად.

ვერცხლის მედლით დაჯილდოებული პირნი, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდები, უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის დროს ჩაირიცხებიან პირველ რიგში.

ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, რომლებსაც მიიღებენ უმაღლეს სასწავლებლებში, უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

§—13

საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არ დაუშვეს სიმ-

წიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე ან რომლებმაც ვერ ჩააბარეს გამოცდები, გადიან სკოლებიდან და იღებენ მოწმობას, ერთ-მელშიაც აღნიშნული უნდა იქნას საბოლოო შეფასებანი სკოლაში გავლილ ყველა სასწავლო საგანსა და ყოფაქცევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პირთ, რომლებმაც ვერ ჩააბარეს გამოცდები სიმწიფის ატესტატზე, უფლება ეძლევათ განმეორებით ჩააბარონ გამოცდები იმავე სკოლაში ერთი წლის შემდეგ.

იმ მოსწავლეებს, რომელნიც არ იქნენ დაშვებული სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე წარუმატებლობის გამო, უფლება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები იმავე სკოლაში ერთი წლის შემდეგ დღიდან გამოცდების ჩაბარებისა იმ საგნებში, რომლებშიაც მათ „3"-ზე ნაკლები ნიშნები ჰქონდათ.

§ — 14

ამ დებულების საფუძველზე საქართველოს სსრ განსახკომი ადგენს ინსტრუქციას სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარი **ვ. კუპრაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 843

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ასსრ-ების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებისა და საქალაქო სავაჭრო განყოფილებების საზოგადოებრივი კვების სექტორების შტატების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საშტატო კომისიის 1944 წლის 7 ივლისის № 8—2514 წერილის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატებისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომების სავაჭრო განყოფილებების შტატები 11 ერთეულის რაოდენობითა და 6150 მანეთის თანამდებობრივ განაკვეთთა თვიური ფონდით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატები

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატებისა და მმრომელთა დეპუტატების თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომების საზოგადოებრივი კვების სექტორებისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულთა რაოდენობა	თანამდებობრივი გასავალი	სულ ხელფასის ფონდი
1. აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საზოგადოებრივი კვების სექტორი			
სექტორის გამგე	1	650	650
უფროსი კულინარ-ტექნოლოგი	1	550	550
ინსპექტორი	1	450	450
სულ	3	—	1.650
2 აჭარის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საზოგადოებრივი კვების სექტორი			
სექტორის გამგე	1	650	650
უფროსი კულინარ-ტექნოლოგი	1	550	550
ინსპექტორი	1	450	450
სულ	3	—	1.650
3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საჯარო განკოფილების საზოგადოებრივი კვების სექტორი			
სექტორის გამგე	1	850	850
უფროსი კულინარ-ტექნოლოგი	1	550	550
ინსპექტორი	1	450	450
სულ	3	—	1.850

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულთა რაოდენობა	თანამდებობრივი გა-ნაკვეთი	სულ ხელფასის ფონ-დი თვეში
4 ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სექტორი			
სექტორის გამგე	1	550	550
ინსპექტორი	1	450	450
ს უ ლ	2	—	1.000
მ თ ლ ა დ	11	—	6.150

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის ივლისის დადგენილებების

		გვ.
748.	სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადაცემის შესახებ	3
749.	ახალქალაქის რაიაღმასკომისათვის ხე-ტყის მასალის მიცემის შესახებ	4
750.	წითელი არმიის საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოსათის მაგარ-ფოთლოვანი ჯიშის ხე-ტყის მიცემის შესახებ	5
751.	კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის მარცვლის, ფქვილისა და გამომცხვარი პურის გაყიდვის და გადაცვლის აკრძალვის შესახებ	6
752.	საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ	8
753.	„ხაგოტზერნოს" საქართველოს კანტორის დიდუბის ბაზაში სამუშაოდ ქალაქ თბილისის არამომუშავე შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ	9
754.	საიდუმლო	
755.	საიდუმლო	
756.	საიდუმლო	
757.	საიდუმლო	
758.	საიდუმლო	
759.	1944 წლის მოსავლის თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის, ყურძნისა და გამხმარი ხილის დამზადებისა და გამოყენების სახელმწიფო გეგმის შესახებ	10
760.	საქართველოს სსრ ზოგიერთი ქალაქის არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1944—1945 სასწავლო წელს ვაჟებისა და გოგოების ცალცალკე სწავლების შემოღების შესახებ	24
761.	ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო ვაგზლების რემონტის შესახებ	29
762.	საიდუმლო	
763.	საიდუმლო	
764.	საიდუმლო	
765.	სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მოლდავეთის სსრ-ში გაგზავნის შესახებ	31
766.	საიდუმლო	
767.	თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დიღმის სანერგის ნერგების ფასის შესახებ	33
768.	საქართველოს ჩაის ტრესტის ჩაისსაწნეხი ფაბრიკისათვის საწნეხი ფორმების კომპლექტების წარმოების მიმდინარეობის შესახებ . . .	34

769. გორის რაიაღმასკომის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციისათვის სატვირთო ავტომანქანების თვითნებური გადაცემის შესახებ 36
770. აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის შუამდგომლობა ქალ. სოხუმის კეთილმოწყობის ღონისძიებათათვის დამატებითი სახსრების მიცემის შესახებ 38
771. ქალ. სოხუმის თეატრისა და ქალ. ჭუთაისის ადმინისტრატიული სახლისა და თეატრის მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის მიმდინარეობის შესახებ 39
772. თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში სამოქალაქო ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის 1944 წლის ივლისის გეგმის შესახებ 42
773. ჯანსახკომის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყველაზე გამოჩენილი ფრიადოსანი სტუდენტებისათვის სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ 45
774. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს დახმარებათა და პენსიათა განყოფილების უფროსი ინსპექტორის ს. ს. მესარქეშვილისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ 46
775. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისათვის ქალ. მოსკოვში ლიტერატურული საღამოების მოწყობის ხარჯების დასაფარავად დამატებითი სახსრების მიცემის შესახებ 47
776. სახალხო მოსამართლეებისა და რაიონული პროკურორების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი კურსების მოწყობის შესახებ . 48
777. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის საწარმოთა მიერ გამოშვებული არყის ნაწარმთა ასორტიმენტის შეცვლის შესახებ 50
778. ამხ. ვ. მ. ბერაძის შვებულების შესახებ 51
779. შენობის შესაკეთებლად თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ 52
780. საიდუმლო
781. თბილისის წყალსადენის ტრესტის 1943 წლისა და 1944 წლის I კვარტალის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის შედეგების შესახებ 53
782- საბჭოთა კავშირის ჰიმნის ტექსტის ქართული თარგმანის შესახებ . . 62
783. 1944 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადების გეგმის შესახებ 65
784. ევკალიპტის თესლის თესვის 1944 წლის გეგმის შესახებ 68
785. ზუჯდიდის ჩაისსაწნეხი ფაბრიკისათვის საწნეხი ფორმების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ 71
786. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1944 წლის 17 ივნისს „სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ ლინდაგებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დაჩქარებისა და ვაგონების გაცდენის შემცირების შესახებ“ მიღებული № 6057-ს დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე 74
787. 1944 წელს ტუნგოს ნერგის ოკულირების გეგმის შესახებ 78
788. საიდუმლო
789. საიდუმლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

790. საიდუმლო
791. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ 80
792. მუსიკალური სასწავლებლებისა და სკოლების აზალგაზრდა შემსრულებელთ მოსწავლეთა სრულიად-საკავშირო დათვალიერების ჩასატარებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოსათვის სახსრების მიცემის შესახებ . . . 81
793. მშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ იმ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის გამოყენების თაობაზე, რომლებიც სეისმურ რაიონებში შენდება ომიანობის დროის პირობებში 82
794. ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 84
795. სავალდებულო ჩაბარების წესით მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 1944 წლის III კვარტალის გეგმის შესახებ 92
796. სახელმწიფო სადაზღვევო ფონდში გამოსაყოფად 1944 წლის მოსავლიდან მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმის შესახებ 96
797. 1944 წლისათვის სარეწაო კავშირის სისტემის კაპიტალურ სამუშაოთა სატიტულო სიის დამტკიცების შესახებ 100
798. ციტრუსოვანი ნაყოფისათვის ბამბუკის ნედლეულისაგან საველე ყუთების დამზადების შესახებ 104
799. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათვის ტყესაკაფის გამოყოფის შესახებ 106
800. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ 107
801. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის შესახებ 110
802. დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწების დროებით გამოყოფის შესახებ 113
803. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქდიატომიტის მიერ დამზადებული ნატეხი და დაფქული დიატომიტის და საქნადეზიტის მიერ დამზადებული ანდეზიტის ფქვილის გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ 115
804. ხე-ტყის მასალების თვითდამზადებისა და რსფსრ სხვადასხვა ოლქიდან საქართველოს სსრ-ში შემოზიდვის განაწილების ღონისძიებათა შესახებ 116
805. ქალაქ სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის კინოთეატრის აღსადგენად და მოსაწყობად სახსრების გაცემის შესახებ 118
806. ტყიბულის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის ხაზით ქვანახშირის მოპოვების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ 119
807. საიდუმლო
808. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სეტყვისაგან დაზარალებულ

	კოლმეურნეობათათვის ერთგვაროვნი დახმარების აღმოჩენის შესახებ	121
809.	ტექნიკუმების (საშუალო სპეციალური სასწავლებლების) ინდივიდუალურ წესდებათა შემუშავების შესახებ	124
810.	საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ	136
811.	საიდუმლო	
812.	გორის, ზესტაფონის, სამტრედიისა და მახარაძის რაიაღმასკომების სამრეწველო კომბინატების მუშაობის შესახებ	137
813.	თბილისის რაიაღმასკომის და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის შუამდგომლობა მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ	143
814.	იმ ჰექტარებზე მოსავლის აღების, შეპახვისა და განაწილების შესახებ, რაც საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით დათესეს საშუალო მოსამსახურეთა ოჯახების დამხმარე ფონდისათვის	144
815.	საიდუმლო	
816.	საიდუმლო	
817.	ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამმართველოსათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ	146
818.	საქართველოს სსრ-ში მცხოვრებ დაღისტნელთა დაღისტნის ასსრ-ში გადასახლების შესახებ	153
819.	საიდუმლო	
820.	სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „1944 წლის მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პოოდუქტები დამზადების შესახებ" მიღებული დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე	158
821.	საიდუმლო	
822.	საიდუმლო	
823.	საიდუმლო	
824.	ამხ. გ. ი. არჯევანიძის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის (მეცხოველეობის დარგში) თანამდებობიდან მოხსნის შესახებ	162
825.	საკოლმეურნეო საჯიშე ფერმებიდან და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებიდან ჯაფშიანი პირუტყვი გაყიდვის 1944 წლის გეგმის შესახებ	163
826.	სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის შესახებ	170
827.	საქვაბრობის, თბილვაბრობის, თბილხილბოსტანვაბრობისა და ცეკავშირის საბაბრო ქსელში ღვინო-არყის ნაწარმის საბაბრო წანამალების ნორმების შესახებ	174
828.	სარეწაო კავშირის შუამდგომლობა მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ნაწილის თავისი სისტემის მუშათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოყენების შესახებ	175
829.	სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ ქვემო-სვანეთის რაიონის კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების მინიჭების შესახებ	176
830.	საიდუმლო	

831. 1944 წლის მოსავლის ბალახთა თესლის შესყიდვის გეგმის შესახებ 177
832. სიმინდის გაყიდვით მიღებული შემოსავლის კვალობაზე გაწერილი საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან ვანის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის განთავისუფლების შესახებ 180
833. საიდუმლო
834. ჩიტახვევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის მიწების გამოყოფის შესახებ 181
835. მანქანაზე გადაწერისა და სტენოგრაფიის სწავლების კურსების მოწყობის შესახებ 183
836. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ორგანიზაციის შესახებ 186
837. საქართველოს სსრ ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების კონტინგენტის ნორმირებულ მომარაგებაზე გადაყვანის შესახებ 193
838. საიდუმლო
839. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა სტრუქტურისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ 196
840. სამრეწველო საწარმოთა მიერ ელექტროენერგიის მომჭირნეობისა და სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს „ფი") გაუმჯობესების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის II კვარტალის შედეგების შესახებ 201
841. განათლების სახალხო კომისარიატის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ 203
842. სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების დებულების დამტკიცების შესახებ 207
843. ასსრ-ების ვაპრობის სახალხო კომისარიატებისა და საქალაქო სავაჭრო განყოფილებების საზოგადებრივი კვების სექტორების შტატების შესახებ 214
844. საიდუმლო
845. საიდუმლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა